

134
002

არლი

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

20 ივნისი
ფასი 80 თეთი

#2
2007



№2 (182) საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი 20 ივნისი

ფასი 80 თეთი

#2
2007

"არლი" - ჟურნალი არის საქართველოს არაერთგვაროვანი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი. ჟურნალის მიზანია საქართველოს კულტურის განვითარების და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. ჟურნალი ასევე უწყობს საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვას და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობას.

ჟურნალის მიზანია საქართველოს კულტურის განვითარების და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. ჟურნალი ასევე უწყობს საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვას და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობას.

ჟურნალის მიზანია საქართველოს კულტურის განვითარების და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. ჟურნალი ასევე უწყობს საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვას და მისი მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობას.

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილი" გამომცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული მისი
განმარტავითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრაღიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მალლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - მიხეილ ჩიტაძე
კომპიუტერული დირექტორი -
გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№2, 20 ივნისი, 2002

ლიტერატურა

ზურაბ კიკნაძე	
ბუკინისტები.....	1
გელა ჩქვანავა	
მოთხრობები.....	4
ბათუ დანელია	
ლექსები.....	9
თამარი ფხაკაძე	
მოთხრობები.....	12
იოსიფ ბროდსკი	
ვერგილიუსი.....	16
პარნარდ მალამუდი	
მოდელი.....	18
გივი ალხაჯიშვილი	
ლექსები.....	20
ნოდარ ებრაღიძე	
ჩელა.....	21
ჩარლზ სიმონი	
"ლამის მატარებელში".....	30
შოთა იათაშვილი	
ლექსები.....	28

ხელოვნება

დავით ანდრიაძე	
სამოთხის სუვენირი.....	30
გიორგი გვახარია	
კანის კინოფესტივალი.....	33

იყო არაბეთს

ჰიბრან ხალილ ჰიბრანი	
იესო - ძე კაცისა.....	35
ნაჰმ ედ-დინ სამანი	
ბომბი.....	41
იუსუფ იდრისი	
მოთხრობები.....	42
ინტერვიუ ნაჯიბ მაჰფუზთან.....	49
ნაჰიზ მაჰფუზი	
შეხვედრა მის აღმატებულებასთან.....	51
ნინო დოლიძე	
რიგითი ჰარისკაცობიდან ინტიმურ პოეზიამდე.....	55

რას ყიდულობს ეს კაცი იმაზე უკეთესს, რასაც ყიდის? ეს კითხვა ხაიამის ერთი რობაის თემას ჰგავს. მაგრამ - სად ღვინო, სად წიგნი? ღვინის გამყიდველს არავინ უშლის სვამდეს ღვინოს და ყიდდეს კიდევ. თითქოს არც ბუკინისტს უშლის თავისი პროფესია წიგნის კითხვას, მაგრამ განა მხოლოდ სმავა მთავარი, ან კითხვა არსებითი? ცდება, ვინც ფიქრობს, რომ წიგნი მხოლოდ ნასაკითხად არსებობს. მისთვის, ვინც წიგნს პრაგმატული თვალთ უყურებს, თუნდაც როგორც ცოდნის მიღების საშუალებას, დაფარულია მისი არსების ეპოქალური სიმბოლიზმი. ის არ არის საშუალება, ის სიმბოლოა.

ყველას უნახავს ეკლესიის კონქში პანტოკრატორის კალთაზე გადაშლილი წიგნი. ჩვენი ცხოვრების გზამ, ჩვენმა წარსულმა და მომავალმა, მთელმა სამყარომ მისი ბედითურთ წიგნის სახე მიიღო. ეს სიცოცხლის წიგნი ნიშანს გვაძლევს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ წიგნურ ცივილიზაციაში ვიმყოფებით, მიუხედავად მუდმივად მზარდი კომპიუტერული საოცრებებისა (ისიც კი ვერ გასცდა წიგნის ფორმას). მომხმარებლურ-პრაგმატული მიდგომა წიგნისადმი პირწმინდად გამორიცხავს მასთან ურთიერთობაში ექსისტენციალურ მომენტს. ადამიანი უნდა ჩანდეს ამ ურთიერთობას, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, სადაც ერთი არის მე, მეორე - შენ. ერთი სწავლულის აზრით, წიგნში მკვდარია მისი ავტორი. და თუ წინ წავალთ, დავასკვნით, რომ მკვდარი ავტორის შემთხვევაში წიგნია ცოცხალი, უფრო ცოცხალი, ვიდრე ზოგიერთი ცოცხალი ავტორი.

ხმარებიდან გამოსული წმიდა წიგნების სხეულს მინაში მარხავდნენ, რათა მათი სული ისევ იმ ცას დაბრუნებოდა, საიდანაც იყო გადმოსული. ყველა წიგნს თავისი სხეული და თავისი ცა აქვს. წიგნის სხეულს, დაფლეთილს და დაძინძილს, საბოლოოდ მიწა მიიღებს. როდის მიაკითხავს უკანასკნელი წიგნის სული თავის ცას?

50-იან წლებში თბილისის არცთუ მრავალრიცხოვან ბუკინისტთა შორის მე და ჩემი მეგობარი რამდენიმე მათგანს დავუახლოვდი. მივენდეთ თავისთავადი გულწრფელობით, უშიშარი გულახდილობითაც კი, რაც იმ ხანებში თვით თანატოლ სტუდენტთა შორისაც არ იყო ადვილი მისაღწევი. პირველთაგან იყო ერთი, ვინც ჩვენს ცნობიერებაში პირველმა შეასხა ხორცი სკოლის ხანაში გაგონილ სიტყვას - "ბუკინისტს". და ის, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ ხელმოცარული კლიენტები უნდა ვყოფილიყავით და ვიყავით კიდევ. იქნებ ამ ხელმოცარვის საკომპენსაციოდ იგი მამაშვილურ რჩევა-დარიგებას არ გვაკლებდა.

"აჰა, ამანაც გააბოლა", იტყოდა სუმბათ ლოტოევი, როცა რომელიმე ჩვენგანი მორიგი სიგარეტის მოსაკიდებლად გადაიხრებოდა მოხუცი ბუკინისტისკენ, რომელიც დაუღალავ ზღურბლს იქით ფილაქნის იატაკზე აძგებოდა. "იუჟინი" მუხდმტუკში ჩასმულ "იუჟინის" აბოლებდა. "იუჟინი" ნახევარი სიგრძისა იყო და ქმნიდა ილუზიას, თითქოს მწვევლს შეეძლო ზედმეტი ნაფაზებისგან თავი დაეზოგა. მაგრამ სუმბათა, დაბალი ტანის, ზომიერად ჩაფსკვნილი, სქელნითელცხვირა მოხუცი ჩვენსავით ზედიზედ ეწეოდა ამ განახევრებულ უფილტრო სიგარეტებს. ჩვენ, რამდენიმე, უფრო ხშირად, ორი მეგობარი, ვერაზე, იმ ხანად ერთადერთ ბუკინისტურ მაღაზიაში ვხვდებოდით სუმბათას. სუმბათა ხალისით შეგვირჩევედა ხოლმე საჭირო წიგნს. რომელი გრძნობით, რა



ინტუიციით ხვდებოდა წიგნის საგარაუდო არსებობას თავის თვალსაწიერში? იყო წიგნები, რომელთაც არასოდეს გაუჭაჭანებია ქალაქში, ეს უტყუარად იცოდა ბუკინისტმა, და იყო წიგნები, სადაც ვიღაცის საკუჭნაოში დაღეჭილი. ბოლო დრომდე ვინახავდი (თანდათან მეფანტებოდა, მეკარგებოდა წიგნთა არდაბრუნების ქართული წესის მიმდევარ მთხოვნელთა გამოისობით) წიგნებს, სადაც, მისი რჩევით, შემძლო ცნობები ამომეკრიფა ფრანჩესკო ასიზელისა თუ ანრი ბერგსონის შესახებ, ვიდრე უშუალო წყაროები გამორჩნდებოდა. სუმბათაც გვაიმედებდა. არ მასსოვს, მას შემოეძლიოს ზერეულ ავტორის უსარგებლო წიგნი. ხშირად დაუშლია კიდევ, როცა გამოუცდელივით, გამოცემის გარეგნული ბრწყინვალეობით მოხიბლულნი, გავინვედით საყიდლად, - "არ გინდა ეგ, არ გინდა. უკეთესი გამოჩნდება". და მართლაც, გამოჩნენილა. იმხანის ბუკინისტურ მაღაზიაში ჩანდა წიგნები. საუკეთესო კერძო ბიბლიოთეკათა გაყიდვის ჟამი იდგა. ყიდდნენ პროფესორთა ქვრივები ან რეპრესირებულთა ოჯახები. ტრაგიკული დროის ექოს ჩვენ ხანამდევ მოელნია. იყო ჟამი ვისთვის განფანტვისა, ვისთვის შეკრებისა.

კვირაში ერთხელ, როცა ახლით ივსებოდა მაღაზიის თაროები, ჩვენ მღელვარებით გავრბოდით ლღავის მოლოდინში. რადგან იყო წიგნებს შორის

საქართველოს
მედიკოსთა
საზოგადოებრივი
ფილიალის
ბიბლიოთეკა

დიდი თევზი და იყო ხამსა, როგორც უნოდებდა მათ სუმბათას მეტოქე ბრაზიანი ბუკინისტი წვრილმან ბროშურებს. თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენს მღელვარებას იმდენად ახლად შემოტანილი განძის ხილვა კი არ იწვევდა, არამედ უფრო იმის მოლოდინი, რომ მათ თვალდახელშეა აგვაცლიდა მდიდარი მყიდველი. ეს გარდაუვალი იყო. იყო ჩვენს დროში თავისებური ძუნწი რაინდი, გვარად პიტოვეი, რომელიც არაფერს გვიტოვებდა გასახარად, იმ ხამსის გარდა, რომელიც დიდ თევზებს მოჰყვებოდა ხოლმე ჩაბარება-მიღების დროს, როგორც იმდროინდელ გულწრფელ ლექსებს "პარავოზად" ცნობილი სტრიქონები. ამ დროს სუმბათა ვერ გვეწველოდა. ბატონი პიტოვეი, დამცრობილი ტანის, მუდმივმოლაპარაკე ბიბლიოფილი ან, იქნებ, ბიბლიოპანი, ნამდვილი პირატი, პირწმინდად ხვეტდა თაროებს და დახლებს. ააგებდა წიგნების კოშკურებს, მჭიდროდ გათასმავდა და გააქანებდა, რათა მიუნჯდომელ კოშკში თავისი ახალგაზრდა (როგორც ამბობდნენ) ცოლის უჩუმრად შეეპარებინა. როგორ შეგვეძლო, გვეთხოვა სუმბათასთვის რომელიმე ღლავის ჩვენთვის გადანახვა? როგორ გადავიკმაღავდა, როცა იქ დარაჯად პიტოვეი იდგა, რომლის თვალს რამდენადმე ყურადსაღები ხამსაც კი არ გამოეპარებოდა. თუ მოვასწრებდით, ხდებოდა იშვიათად, თვალს თუ ჩაეუკრავდით ჩვენს მფარველ მეგობარს, ვანიშნებდით რომელიმე საკბილოზე, რომ როგორმე დახლქვეშ შემოედო რამდენიმე დღით. ჩვენდა სავალალოდ, თართა განახლებისა და სტიპენდიის აღების დრო არ თანხვედებოდა ერთმანეთს, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, შეგვიძენია საოცნებო გამოცემები, მზეთუნახავები, რომელთაც მანამდე მხოლოდ სახელწოდებით თუ ვიცნობდით. "ო, ეს იოდლია", თქვა ერთხელ ჩვენმა სუმბათამ იურისპრუდენციის ერთ წიგნზე იმ ინტონაციით, რომ ამ გვარს - იოდლს დიდი შანსი მიეცა, მნიშვნელოვან და იშვიათ წიგნთა საზოგადო სახელად ქცეულიყო. და, მართლაც, ამის შემდეგ იოდლი საიდუმლო პაროლი შეიქნა. მის გაგონებაზე პიტოვეი ყურს ცქვეტდა, სწრაფად შემოგხედავდა და ისევ დახლზე დახვავებულ იოდლებს მიუბრუნებოდა. არჩევდა, გადაარჩევდა, ყოყმანობდა, დანუნებულს გადაყრიდა. ერთი ნატვრა გვექონდა, შეშლოდა ან ვერ შეეჩნია, ვისუსებოდით როგორც ჭადრაკის მოწინააღმდეგის მცდარი სვლის მოლოდინში. მაგრამ პიტოვეი არ იყო ზერელე, არც გაფანტული. სად ჰქონდა ამდენი შეძლება? ან სად არის ახლა მაშინდელი მისი დოვლათი, ხომ უნდა ეწყოს სადმე ერთად ან ცალ-ცალკე? ვიზიარებ მისი პატრონის (სადაც არის) გულისსუსხილს მათ გამო, სადაც არიან, თუ მრჩობლად, თუ ეულად თუ გამორიშორებულნი.

როგორ მოხდა, არ მახსოვს, მაშინ ვიცოდი, სუმბათა მალაზიის კედლებს გარეთ აღმოჩნდა. იქნებ იმ ბრაზიანი მეტოქის ხრიკები იყო? მეერე ჩვენ იმ ბრაზიანსაც დაეუახლოვდით (თუმცა ხმები რაღაც-რაღაცებს აბრალენდნენ) იოდლების უფსით. ბრაზიანი ბუკინისტი - "ციკლოპა" (ცალთვალახვეულობის გამო), ახლობელთაგან "წელსონად" წოდებული, იმხანად ცნობილი პროლეტარული მწერლის სახლიკაცი იყო და, როცა ერთხელ მისი ძმის ხამსას ვაჩვენებდით ჩასაბარებლად, გაბრაზებულმა შორს მოისროლა (ვინ შეურაცხყო - ავტორი თუ მიმტანი?) და აღარც დაგვლაპარაკებია სხვა წიგნებზე. ცნობდა ციკლოპა. ქართულ წიგნს, განსაკუთრებით რევოლუციამდელს. სუმბათა თავად, პერსონალურად იყო რევოლუციამდელი და სწორედ ამიტომ დარჩენილიყო უმაღლაზიოდ, ეს სუმბათა, ლოსკის მსმენელი პეტერბურგში, ოოო, Основание интуитивизма! ნიკოლაი ონუფრევიჩი!

და ნაღლიანად ილიმოდა. აქ, მისთვის ალკვეთილი, მაღალი ზიის წინ, საზიარო დახლთან იდგა სუმბათა სიცოცხლის ბოლო წლებში, ტკენიდა ტროტუარს და ძველებურად არჭობდა მუნდშტუკში თავის ქონდრის სიგარეტებს და ჰაერზე აბოლებდა. სწორედ ამ ხანებში იყო, რომ სუმბათამ შინ მიმინვია და მე ვისწავლე მისი სახლი ჩულურეთში (თუ სვანეთის უბანში). განა ყველა წიგნი გამოქონდა გასაყიდად? გააცვიფრებდა თაროების სისასვე. აქ იოდლიც იყო და ღლავიც. სუმბათა შრომობდა, აქართულებდა "შარდენის მოგზაურობას საქართველოში". უჯდა სასადილო მაგიდას პურის ნამცეცხვს შორის, რომელთა გადახვეტა ვერ მოესწრო, იქნებ არც უცდია, მის ქალს, რომელმაც არც მისი ქართული იცოდა, არც შარდენის მოგზაურობა ამ ქვეყნად. მიიყვანდა ბოლომდე? ჰქონდა მას სხვადასხვაენოვანი ბიბლიების მცირე კოლექცია. "საკრა ბიბია", იტყოდა, - "ბიბლია არა: ბიბია. ეს იტალიურია". არც ეს ბიბია, არც სხვა რომელიმე ბიბლია არასოდეს გამოუტანია გასაყიდად. ან ვინ წარმოიდგენდა მათ დახლზე სხვა წიგნებს შორის? ნამდვილად არ გარეგდნენ წმიდას რიოში. ეს წიგნი მუდამ ტრანსცენდენტური იყო ყველასგან და ყველაფრისგან, როგორც მას შეეფერებოდა (იქნებ აქ გამოჩნდა ერთადერთიხელ და მისდაუნებურად ათეისტური ხანის ბუკინიზმის სიკეთე?). დაედოდი პერიოდულად სვანეთის (თუ ჩულურეთის) წყნარ უბანში და სუმბათა ახლა აქ მირჩევდა წიგნებს. ვამთხვევდი ხელფასის აღების დროს და ძველებური გულისძგერით ("თუ დამხვდება?") ველოდი კარის წინ მასპინძლის გამოჩენას. ერთხელაც ჯიბილონიერი გავემართე, მივდიოდი შიშით, რომ ჩემს მისვლამდე ვინმე მეკობრე სხვა პიტოვეს (თავად სადღა იყო!) არ გადაედოვა იქაურობა. ჩემს კაკუნზე, კიბის ბოლოს, მცირე შეყოვნების შემდეგ გამოდის ქალი, თალგამის თუ ჭარხლის (ან უფრო რაღაც ბიოლოგიურის, საქონლის ენა თუ იყო) ფხვკით. კითხვაზე "სუმბატ მისხილოვიჩ დომა?" მპასუხობს ცრემლიანი, თავაულებლად: "სუმბატა მისხილოვიჩა ნეტ ბოლშე". მე ვფიქრობ, სუმბათა ლოტოვეი იმ ძველი მოდგმის უკანასკნელი ბუკინისტი იყო, რომლის კუდებსაც შევეცნარი. მათგან თითოეულს თავისი მიდგომა ჰქონდა კლიენტისადმი, გაქანება, მონოდების სიმაღლე, მეთოდები. სად იყო მალაზიები. ერთადერთი ვერაზე. საკუთარი დახლის უქონელნი სახლში იბარებდნენ კლიენტებს. ზოგიერთნი არ ამხელდნენ თავიანთ მისამართს, თავად დადიოდნენ კარდაკარ. იყო მათ შორის ერთი, გამოუცნობი წარმოშობის, შავზე შავი, ნატიფი მანერებით, მექვირე, სრულიად დაუმსახურებლად ცეცხლი ეკიდა მის წიგნებს. იმ გამოუცნობმა, რომლის არც გვარი, არც სახელი აღარ მახსოვს, არც ის მახსოვს, ვიცოდა თუ არა, ამ უგვარო-უსახელომ ნახევარი დღე გაატარა კარადის წინ ჩემს მოსვლამდე. შინ რომ დაებრუნდნი, მითხრეს, იქ "ის" არისო (უკანა ოთახში). "ის" იდგა მუშებიანი კარადის წინ გაუნძრევლად ზურგსუკანხელებდაწყობილი და მოთმინებით შეჰყურებდა წიგნებს, როგორც თევზებს აკვარიუმში. "ის" ამბობდა: ია ნიკოგდა ნე პრიკასაუს კ კნიგამ ბეზ ვედომა ვლადელცა. კნიგი სვიაშჩენნი". და თითქოს ბეჯითად ასრულებდა ამ ნაძალადევ ფსევდოსაკრალურ წესს. იქნებ სხვა სიკეთესთან ერთად, როგორც შინაურებს მოეჩვენათ, იქნებ მოთვალეუც იყო ან მისანი, რომელსაც შეეძლო კარადის მინის მიღმიდან გამოეტანა პატრონის დაფარული ფიქრები, ვინაიდან თქმულა: შენი წიგნები გამოხელენ შენ. ეს სიბრძნე კარგად ვიცოდი, თან უფროსი მეგობარი გვაფრთხილებდა, იოდლი წიგნები შიშვლად არ გვეტარებინა ქუჩაში (სადაც ზოგჯერ დილიდან გვიან ღამემდე გვიხდებოდა სიარული, ვიდრე პირველი სახმილავის "დაიშალეს" ძახილს არ გავიგონებდით), არამედ "კომუნისტ" გა-

ზეთში შეფუთული, რომ ავი თვალისთვის აგვერიდებინა (ნიგნი თუ პატრონი?).

იყო უმაღაზიოთა და უდახლოთა შორის სამადაშვილი (თუ სამადალაშვილი, "ამას ნიშნულთა არა აქვსო", ამბობდა), ვანო. სულმუდამ შინ გეძახდა, გაბატიყებდა თითქოს საქეიფოდ, რომ ენახვებინა თავისი სანაქებო საპატარძლოები. "ედიშერ (გიორგაძე), ნავიდეო ვანოსთან? რა ხანია, გვეძახის". მიხვიდოდი ქაშვეთის ქუჩაზე, ბაღის გასწვრივ, ტროტუარის სართულზე. არ ვიცი, სულმუდამ ასე იყო, თუ ჩვენს მოსვლას მოუსადაგებდა, შუაგულ ოთახში დაგვევდებოდა მიზრდილი ზვინი. და შენ უნდა გექქა იგი, გექებნა გვირაბებში. მასპინძელი კი მაღალი, ელევანტური, ოდნავ მობარბაცე, შეზარხოშებული, თავს ადგა ზვინს და გაუთავებლად ხოტბავდა თავის დოვლათს. ჩანდა, რომ ეს იყო ნაშთი, ნაშთი ძველი დიდებისა, როგორც იქ, იმჟამინდელ ლენინგრადის ქუჩაზე, სადაც პერიოდულად მივაკითხავდით, როგორც კი საიოდლე სახსარს მოვიხელთებდით. სამადალაშვილზე კი დავსძენ, რომ ის არად აგდებდა შემოთავაზებული ნიგნის ნაკულ გვერდებს, "ამას ნიშნულთა არა აქვსო", იტყოდა, "შენ მთელი ნახეო" (იმხანად გავრცელებული ანეკდოტისამებრ). იქ კი, ლენინგრადის მყუდრო ქუჩაზე, თითქოს პეტერბურგული კაპიტალური სახლის მესამე სართულზე გველოდა ჩვენი ხელთი გადამწყობილი ნიგნები მათი თავდაპირველი ფუნდამენტური ყდებით ან თავად მფლობელის მიერ ყდაგადაკრულნი, რომელთა ბოლო გვერდზე ფანქრით ფაქიზად სუმბათას დანესებული ფასი ეწერა. აქ ცხოვრობდა ევროპაში განსწავლული ტექნიკური თუ საბუნებისმეტყველო დარგის პროფესორი, აკადემიკოსი. მისი ქვრივი იმ უზარმაზარ დარბაზში, რომლის კედლები დაფარული იყო ჭერამდე აშენებული კარადებით, ნიავეით შემოდოდა და გადიოდა, თვალეში მუდმივი ცრემლი უკიაფობდა, თითქოს ცრემლად ქვეულიყო თვალი, ახალი თუ იყო მწუხარება, ან იქნებ ეს სულაც არ იყო ცრემლი, არამედ მისი თვალეების თვისება. ქვრივი ადვილმისანვდომ და ამიტომაც მდარე მისტიკაში იყო გადავარდნილი. ხელში სულმუდამ ერთი და იგივე ნიგნი ეჭირა - ედუარდ შიურეს Les grands initiales, გვთხოვდა რუსულ თარგმანს, კარგად არ ესმოდა ფრანგული. ეს დარბაზი ექვსმეტრიანი ჭერით მართლაც მზეთუნახავებს ინახავდა. ჩვენ მივუსწარივთ კუდს, ნაშთს ძველი დიდებისა, რომელსაც ნამდვილად ვერა განძი ვერ შეედრებოდა თბილისში. გამეჩხერებულ თაროებს ეტყობოდა პიტოვის თუ მისი რომელიმე პარადიგმის თარეშის კვალი. მივიდოდით, გადავანყობდით არჩეულ ნიგნებს. ნავიდოდით. როცა იგრძნობდა, რომ საკმარისად დაგროვდა გადამწყობილი ნიგნები, მოვიდოდა სუმბათოლოცი, დინჯი, პატოსანი, შეაფასებდა, დაანერდა ციფრს და ნავიდოდა. საბუნებისმეტყველო თუ ტექნიკური დარგის პროფესორის, გვარად ზავრიევის - ბიბლიოთეკის ნაშთი პირწმინდად ჰუმანიტარული იყო. უკლებლივ ყველა ნიგნში, რომლებიც იმ დარბაზში შევიძინე, მათი მფლობელის ნანაკითხს არეებზე ფანქრით (მხოლოდ ფანქრით) გამოსახული ჩიტები, ნოტაბუნებები, კლაკნილები, შენიშვნები ამხელდა.

კარდაკარ მოსიარულეთაგან, იმათგან, ვინც მარად-ჟამს ვაგაბუნდობდა ამ ქალაქში, იყო ერთი, რომელიც საკუთარი სახელით არავის მოუხსენებია. ეს იყო პეხო, ლეგენდარული პეხო. დაათრევდა სიძველისგან კანდახეთქილ პორტიფელს, რომლის თავდაპირველი ფერი, აქა იქ გამომკრთალი, მისი თმის ბობრ-ნითურ ფერს ესამებოდა. ეს პორტატიული, მის ასევე გახუნებულ პალტოს

შეზრდილი, სათავსი შემთხვევითი ნიგნებით იყო გატენილი. იშვიათად თუ ამოაძვრენდა ლლავს. რატომ? იმ ხანებში ამომშრალიყო ნიგნების წყარო, კერძო ბიბლიოთეკები, როგორც იმ ზავრიევისა, დაცლილიყო, ხოლო ახლანდები კოშკებიდან თუ პიტონის მუცლიდან აღარ გამოდიოდნენ მზის სინათლეზე მზეთუნახავები. გვალვები იდგა. პეხო დადიოდა კარდაკარ დაუზარებლად ხამსების საძებრად, იქნებ სადმე ლლავსაც გადაწყვიტოდა. პეხოს მოსწონდა ჩემი იოდლოთეკა, რომელიც იმხანად პერიოდულ ცვლებადობას განიცდიდა, თუმცა განძი, რაც იყო, მუდმივად რჩებოდა. მიქებდა მას და ეს ნაქები ბირთვი, ვატყობდი, როგორღაც ჩვენი ურთიერთდობის სანინდარი იყო. ვგრძნობდა მის სრულიად არამერკანტილურ დამოკიდებულებას ამ ბირთვისადმი. მაგრამ მე მქონდა მოძულებული საგანძური სარდაფში, საიდანაც პეხოს მოსვლისას ამოვეყრიდი ჩემთვის ყავლგასულთ და პეხო ფლეგმატურად, თითქოს გულგრილად არჩევდა, გადადებდა, მერე მიჰქონდა თავის გზაზე, რათა ქუჩაში (ყოფილი შტაბის წინ), სადაც დახლის ერთი კუთხე ეჭირა, განელაგებინა მყიდველის მოლოდინში. შეკითხვაზე, ვის უნდა, პეხო, ეს ნიგნები-მეთქი, წარმოთქვამდა ბუკინისტურ სიბრძნეს, ყველა ნიგნს თავისი მკითხველი ჰყავსო. ისინი ერთმანეთისთვის იზადებინაო. და მიჰქონდა პეხოს უსარგებლო ხამსა, მისუფთავებდა გადატვირთულ საგანძურს. მაგრამ პეხო იმ კრებულს, ნამდვილ საგანძურს, რომელსაც ხოტბას ასხამდა, არც ეკარებოდა. პირიქით, მონადინებული იყო ნვლილი შეეტანა მის შევსებაში. დღემდე (და მარადის) მის ვალში ვარ პავსანიას ორტომეულისთვის (ახლაც მეჩვენება, რომ იაფად მერგო), როგორც თავად დაურჩა ვალად ერთი რუსი კლასიკოსის მრავალტომეულის პირველი ტომი. პეხო ანუ სერგო მდივანი, ბაქოს საბილიარდობესა თუ საეჭვო სახლებში სიყრმიდანვე ნათრევი, ამ სახელით ვილაც პედერასტის გამო სრულიად უსამართლოდ შერქმეული (თავად ყვებოდა), მეორე მსოფლიო ომიდან ალაფით დაბრუნებული, მაგრამ არა სხვათა მსგავსად საპნის ყუთებითა და სხვა უტილიტარული მატერიათ დატვირთული, ეს პეხო გერმანიის რომელიღაც დარბეული პატარა ქალაქის ბიბლიოთეკიდან ნამოღებულმა ნადავლმა შექმნა ბუკინისტად. მრავალი წელი ასაზრდოვა ამ დამსახურებულმა ტროფეიმ, როგორც იტყოდა. ეს წარსულში იყო და ყვებოდა, როგორც ლეგენდას. პეხო გესტუმრებოდა, ქუდმოუხდელ თავს მაღლა ასწევდა და თვალდახუჭული სკანდირებდა პუშკინის დაუმთავრებელი "ეგვიპტური ლამეების" საკუთარ გაგრძელებას. პეხო ბრიუსოვს ეჯობებოდა და დაჯერებული იყო თავისი იამბების უპირატესობაში. "ი ვოზნოსილი დიფირამბი... "ნეტ, პეხო, დიფირამბი ნე აპოლონუ ვოზნოსილი, ა დიონისუ. პეანი, პეხო, პეანი". "ეტო პრავდა, ტი უფრენ?" პეხო, თვითნება, სხვა ყველაფერში უცერემონიო, არ მიმიზეზებდა პოეტურ ლიცენციას. პეხო, ბილწისტიყვა, არ შეუკურთხებდა არც პეანს, არც დიონისეს. პეხო, ვაგაბუნდი, საკვირველი იყო, პატივს სცემდა კლასიკურ ფუნდამენტალიზმს.


პეხო რომ მოკვდა, ქუჩაში რომ დაეცა, ვიგრძენით, რომ დასრულდა თბილისური ბუკინიზმის ერა. აღარ იყო ლოტოვეი, აღარ იყო ნელსონი, აღარც სამადალაშვილი და აღარც ის გამოუცნობი. მაგრამ დარჩა ერთი, თუმცა ის არ იყო მათი მოდგმისა. სულ სხვა კულტურას ეკუთვნოდა. როცა ის მოვიდა, სუმბათას ყოფილ მაღაზიაში, იმ დღეს ნაყიდ ნიგნს ედიშერმა გულწრფელად წაანერა: "კეთილი იყოს შენი მოსვლა, კიმოთე". ის ნიგნიც ღირდა ამ სიტყვებად, რომლებიც

ძალეზი

დღესაც ამშვენებს მას, თუ კიდევ არსებობს, თუ სადმე თაროზე ჯერ კიდევ იკავებს ადგილს. ჰქონდა კიმოთე მახაურს ბუკინისტის მონოდება? ცოტა უჩვეულო იყო. ცნობდა ნიგნს? ცნობა ჯერ არ იყო, თანდათანობით მოდიოდა. კარგად მახსოვს ის დღე, როცა ახალმოსულმა მარკვიდერსკოე ისკუსსტგო-ს ხელოვნების თაროზე მიუჩინა ადგილი. "ეჰ, კიმოთე, კიმოთე", ჩვენ გვეცინებოდა. კიმოთე კი თანდათან სწავლობდა, ეუფლებოდა ნიგნის ცნობის, შეფასების ხელოვნებას სუბმათასა და იმ ბრაზიანი ნელსონის წყალობით, რომელიც სუბმათას ხანიდან მოყოლებული დირექტორობდა თუ საქონელმცოდნეობდა ამ მაღაზიაში. მაშინ ჩვენ არ ვიცნობდით კიმოთეს სამყაროს - არ ყოფილა მოკლებული მისი არაორდინალური ბავშვობა და ყრმობა დრამატიზმს. კიმოთე მახაური, ფშაველი, შარახველი, მამით ობოლი, დედის გაზრდილი. სოფელ შარახვეში, სადაც გომენრიდან გადმოხვენილი მახაური იყო შეხიზნული, მარაულები მძლავრობდნენ, როგორც ძირძველნი. მათ გვარზე იძულებით ეწერებოდნენ ეული, სუსტი გვარები. მახაური არ ჩაენერა, მაგრამ ვერ გასტყეს, ვერ გადაიბირეს გვარზე. ბოლოს მოიკვეთეს. ასე ყოფილან რევოლუციამდე. გასაბჭოების შემდეგაც მარაულებს არ შეუწყვეტიათ იძულება ობლის შვილზე, რომ მას მიეღო მათი გვარი. მაგრამ დედა მაგრად დამდგარა: მამის გვარი შეუნახა კიმოთეს. გვარიც და სახელიც. სახელიც, რადგან სახელიც ჰქონდათ გამზადებული მისთვის - პავლე, გარდაცვლილი მარაულის სახელი. "იმ პავლეს ძმა მაინც პავლეს მეძახდაო" - იგონებდა. და დარჩა კიმოთე - კიმოთედ, მახაური - მახაურად, და სადღაც პავლე. ხსოვნაშია სურათი: შუა პროსპექტზე დღევანდელ ტელეგრაფთან, სადაც ძველ შენობაში ნიგნების მიმღები პუნქტი იყო, ნიგნების შეკვრით ხელში დგას კიმოთე, გადმოსვლას აპირებს გამოღმა მხარეს, მაღაზიისკენ, სადაც ჩვენ ველოდებით, რადგან ხუთშაბათია, შევსების დღე.

კიმოთეს მოღვაწეობის ბოლო ხანებში იკლო იოდლი-იოდლი ნიგნებმა. გაღარიბდა დახლი და თაროები. მაღაზიაც წაართვეს. ბევრჯერ ატარეს აქეთ-იქით. ბოლოს, ერთ ვინრო დარაბაში შეამწყვდიეს (სასტუმრო "საქართველოს" პირდაპირ). გამრავლდა ხამსა და ნაყარ-წყარი. გვალვა იდგა მთელ ქვეყანაში.

კიმოთეს ბოლო წლები ბუკინიზმის დეგრადაციის წლები იყო. ის მოესწრო მის სულისდაფვას... დგებოდა, დადგა კიდევ ახალი დროება, რომელმაც სრულიად ახალი ურთიერთობანი მოიტანა კლიენტსა და ბუკინისტს შორის, ნიგნსა და პატრონს შორის. გაუჩინარდა ნიგნი, როგორც ნივთი თავისთავად. მას განშორდა იდუმალება, როგორც გარეთ გასულ მზეთუნახავს.



სალამოს, როცა კირის სანვაგი ქარხნის აგურის შილიდან ამოვარდნილი კვამლი შეთხელდებოდა, მივებში ხეტიალით დაქანცული საქონელიც დაიძვროდა სოფლისაკენ, რათა იქ, თავიანთი გომურების წინ სანყალობელი ბლავილი მოერთოთ. მათ თეთრი ქვებითა და ღორღით მოფენილ მათათა კალთებზე უწევდათ ბლოტიალი - სოფლიდან საკმაოდ შორს, რათა კირის მომპოვებელი კარიერიდან ავარდნილი მტვრით გადათეთრებულ ბალახს გარიდებოდნენ და ამიტომ ვერასოდეს იკიდებდნენ ქონს. ხოლო როცა დაბერდებოდნენ (აქ საქონელი ადრე ბერდებოდა) და ისე დასუსტდებოდნენ, რომ სოფლიდან შორს წასვლის თავი არ ქონდათ, იძულებულნი ხდებოდნენ კირიანი ბალახი ეძოვათ და კუჭის აშლილობისგან კვდებოდნენ კიდევ ბოლოს. ფოთოლა აქაურ რძესა და რძის ნანარბს პირს არ აკარებდა - ეჩვენებოდა, რომ ის კირის გემოს დაიკრავდა.

- არასოდეს მოვწველი ამ თხებს, თქვენ რომ ძროხებს უწოდებთ! - უთხრა ფოთოლამ ქმარს, როცა ჭირის ოფლში განურული ცდილობდა ძროხის მონველა ესწავლებინა ახალშერთული ცოლისათვის, რკინის ნერვები უნდა ქონდეს კაცს, ეს ძროხები მოსანველად გაიმეტოს და იმისი არ შეეშინდეს, წველაში არ ამოხდეს სულიო... სადისტობაა ამ ძროხების მონველა!

ქმარმა პასუხად გაუღიმა, თითქოს ძალზე სასაცილო რამე ეთქვას ფოთოლას და ისევ ძრო-



ხის ცურს მიუბრუნდა. თვითონაც ოსტატდებოდა და ცოლისთვისაც უნდოდა ესწავლებინა საქონლის მოწველა. თავიდან მოთმინებით აღიჭურვა და სახეზე მორჩილები-სა და დაღლილობის გამოსახტვით ცდილობდა ცოლის დაყოლიებას. ისინი ყოველ საღამოს ერთად მიდიოდნენ გომურში მეზობლების თვალის ასახვევად - რომ მათ გონებოდათ, თითქოს ძროხებს ფოთოლა წველიდა, მაგრამ ის ერთხელ ნათქვამს არ გადადიოდა - გულს ურევდა კუჭაშლილი და ფერდებზე ნაკვლამიმხარი ძროხები.

ფოთოლას ქმარიც, როგორც სოფლის ნახევარი მოსახლეობა, კირის მომპოვებელ კარიერში მუშაობდა, მაგრამ მათგან განსხვავებით პრივილეგირებული თანამდებობა ეკავა - კირის გამოსანვავ ლუმელს უდგა და მშრალი კირის სუნი ასდიოდა. ხოლო ღამით, როცა მოფერებას იწყებდა, ცდილობდა ფოთოლა აეძულებინა, პირველი ის მიხობებულიყო ქმართან, მაგრამ ფოთოლა არასოდეს დამორჩილებია ქმრის პატივმოყვრულ ტაქტიკას, რადგან ცდილობდა თავის წინამორბედს არ დამსგავსებოდა, რომელიც ალბათ თვითონ მიძვრებოდა ქმართან სანოლში და არც კირის მტვრის მიმართ ჰქონდა აღერგია. ფოთოლას სული ეხუთებოდა ქმრის თმებიდან ავარდნილი ცამომშრალი კირის მტვრის სუნისაგან, მაგრამ მაინც ვადილობდა სიამოვნება არ დაეკლო საკუთარი თავისათვის. ქმრისთვის არც ირჯებოდა, ის კი სიკვდილამდე თავს იტყუებდა, ცოლი ჩემთვისაც ცდილობსო.

ერთხელ, როცა მოეჩვენა, რომ კირის სულისშემსუთავი მტვრისაგან შეიძლება გაგიჟებულიყო, ადგა და პომიდვრები კირგაურეველი შაბიამნის ხსნარით შეწამლა. კირი ისედაც თავზე საყრელად ადევთ ფოთლებსო, განუცხადა მამამთილს, გრძელსახება არსებას, უბებებს ნაცულად ორი ტომსიკა რომ ეკიდა თვალებს ქვემოთ. ის კი მერე ყველას უყვებოდა რძლის ნათქვამს, რადგან თვითონაც ასე ეგონა, რომ ფოთოლა მართლა ფიქრობდა, ფოთლებზე დაყრილი კირის მტვერი შაბიამნის ხსნარში გახსნილი კირის მაგივრობას გასწევდა.

- არც გამოუცდელივით მოსვლია და არც მიხუმრია! - უთხრა ფოთოლამ მამამთილს, მაგრამ მან მაინც არ დაიჯერა და მხოლოდ შემწყნარებლურად გაიღიმა. ერთხელ, როცა ღიამ კითხა, ბაბუა როგორი კაცი იყოო, სწორედ ამ ღიმილის გათვალისწინებით უპასუხა, კარგიო.

- ოღონდ ვერაფრით შეეგუა იმას, რომ მისი შვილი ცოლს მკაცრად არ ექცეოდა. ემინოდა, მეზობლებმა ჩემს შვილს ცოლის ჭკუაზე მავალი არ უწოდონო და ამის გამო სიბერე ქონდა ჩამწარებული, - უთხრა ფოთოლამ შვილს.

- უყვარდი ალბათ და იმიტომ ვერ გექცეოდა მკაცრად, თქვა ღიამ. მას ძალიან უნდოდა ასე ყოფილიყო.

- ალბათ, - დათანხმდა ფოთოლა. ხათრი არ გაუტეხა შვილს.

ღიას ისეთ ზიზლს არ გვრიდა კირქვოვანი მთები, როგორც დედამისს. ეგონა სოფელში დაძრახავდნენ და ზარმაცებად მონათლავდნენ იმის გამო, რომ საქონელი არ ყავდათ. ამიტომ ინდაურები მოაშენა, ჭუჭულებს მოხარშულ ჭინჭარში არეულ ღომს არ აკლებდა და როცა მამალ ინდაურს უსტვენდა, რომ მასში მამრი გაელვდიბინა, ასე ეგონა მთელ მამაკაცთა მოდგმის ხასიათს ამოიცნობდა აფხორილი ინდაურის შემყურე. ბოლოს ციკანიც გაიჩინა, ინდაურში გაუცვალა ვილაცას და ისიც გაიზარდა.

წვიმის დანყებადმდის, ქარი ღრუბლებს რომ გამორეკავდა და მთებით შემორაგულ სოფელში ჩამობნულდებოდა, ძროხები ბლავილს იწყებდნენ, როგორც მზის დაბნელებისას. მხოლოდ ღიას თხა რჩებოდა საძოვარზე გვიანობამდის და შინ ყველაზე გვიან ბრუნდებოდა.

ფოთოლა წვიმის დროს ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობდა, თუ რა მოსაწყენი იყო კირქვოვან მთებს შორის ცხოვრება. წვიმით დანმენდილი სუფთა ჰაერით გამაძლარს თვლენა ერეოდა და სასოებით შესცქეროდა უცაბედად გაჩენილ, ამღვრეულ რუებს.

პარასკევს, ნაშუადღევს, წვიმა წამოვიდა. ინსტიტუტიდან დაბრუნებული ღია ერთიანად დასველებულიყო. სველი ტანსაცმელი გაიხადა და სარკის წინ დედიშობილა მდგარი იმშრალედა თმებს. მამაკაცის ხელს დანატრული, ქალიშვილური მკერდი უთრთოდა და ფოთოლას შვილი შეეცოდა.

- შენს მერე ორჯერ მოვიშალე მუცელი, არ მინდოდა შვილის ყოლა, - უთხრა ღიას. ის შეკრთა და განითლდა, კარადიდან მშრალი ტანსაცმელი გადმოიღო და ჩაიცვა.

- რატომ არ გინდოდა შვილის ყოლა? - კითხა დედას.

- ერთი შვილი მაინც უნდა გგავდეს შენ, რომ ჭკუიდან არ შეირყე, მე კი მუცელშივე ვგრძნობდი, რომ ისინი მამას გავდნენ.

ღია დედის ნათქვამზე ჩაფიქრდა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, როგორ შეიძლება იგრძნო, მუცლადლებული ნაყოფი ვის გაეს - შენ, თუ შენს ქმარს.

- ბიჭები იყვნენ თუ გოგონები? - კითხა დედას.

- არ ვიცი, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ მე არ მგავდნენ, - თქვა ფოთოლამ.

- უცნაური ვინმე ხარ, - თქვა ღიამ, - მამაჩემის პირველი ცოლი როგორი ქალი იყო? - კარგი. ძროხებსაც წველიდა და სხვა ყველაფერი ამდაგვარი.

- შენ კიდევ მგონი კოსტაიას მოსწონდი.

- შენით მიხვდი? - გაეღიმა ფოთოლას.

ჩემით, - უპასუხა ღიამ და ფოთოლაც მიხვდა, რომ შვილი არ ტყუოდა. კოსტა რატომაც თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ის ფოთოლას მოსწონდა. მთელი თავისი ცხოვრება ტერასების შენებით იყო დაკავებული. სემირამიდას დაკიდული ბალის მაგვარი რალაცის აგებას ცდილობდა, თავს არ ზოგავდა და მერე აგებულის გადაკეთებას რომ მოინდომებდა - ანგრევდა და ისევ თავიდან აშენებდა. ბოლოს ისე მიეჩვია სატერასე კედლების ამოყვანას, რომ ქვებისა და ლოდების აზიდვა ყველაზე იოლ საქმედ მიაჩნდა და ტერასებს აგებდა, რომ სხვა არაფერი გაეკეთებინა. ღიამ მისი შრომა სიზიფეს შრომას შეადარა და ერთხელ აუხსნა კიდევ, თუ ვინ იყო სიზიფე და რა შრომასაც ეწეოდა. მას თავისაზე ერთი თავით მაღალი ცოლი ყავდა და ის შორეულ ნათესავად მოუდიოდა. მათი უფროსი ვაჟი მუნჯი იყო. წვიმების დროს კოსტა სახლის უკანა აივანზე იჯდა და იმას აკვირდებოდა, გაუძლებდა თუ არა ნიაღვრებს მის მიერ აგებული ტერასები.

ფოთოლა ამ სოფელში რომ მოვიდა, კოსტა ლურწკაია მაშინ უცოლო იყო და "ვილის" მთელი სიჩქარით დააქროლებდა თავდაღმართებზე, თანაც ისეთი თავგამეტებით, ფოთოლა მიმხვდარიყო მას რომ აწონებდა თავს.

ერთ დღეს ფოთოლა ქალაქის ბაზარში წავიდა, კომპოტის ქილებისათვის თუნუქის თავსახურავეები უნდა ეყიდა. ბაზრიდან გამოსულს კოსტა შეეფეთა. მან თავისი თავდაჯერებული ღიმილით მიახვედრა ფოთოლა, რომ შემთხვევით არ გადაყრია მას და, ფოთოლას იმ აზრმა, რომ მოვიდლომ, შეიძლება ქმარს ვულალატოო, რალაცნარიი შევბა მოჰგვარა და მისდა მოულოდნელად ქმარი შეეცოდა.

- მე არასოდეს მიღალატია მამაშენისთვის, - უთხრა ფოთოლამ შვილს.

- ვიცი, - თქვა ღიამ.

კოსტას ცოლმა დედამთილ-მამამთილი ვერ იგუა. კოსტა ცოლთან ერთად საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა და იქ გაყიდული მანქანის ფულით ცხოვრობდნენ მისი ძმის გარდაცვალებამდე. კოსტას უმცროსი ძმა თევზაობისას სასროლმა ბადემ გადაიყოლა და მდინარეში დაიხრჩო. შვილმკვდარი მშობლები ათვალნუნებულ რძალს შეურიგდნენ და სახლში დაბრუნებულმა კოსტამ ტერასების შენებას მიყო ხელი. სკოლას ამთავრებდა, როცა ლიამ კოსტას ლეგენდა მოუყვა სიზიფეს შრომაზე და სემირამიდას დაკიდულ ბალებზე. ლიამ დედამისს რომ უთხრა, კოსტას უკვე მოვეყვი სიზიფეზე და სემირამიდაზე დურუ მამფორიას დაკრძალვაზეო, ფოთოლა მიხვდა, კოსტას ეგონებოდა ლია ამ ლეგენდებს ჩემი დავალებით მოუყვამო და არც შემეცდარა. ერთი კვირის შემდეგ კოსტაც მოვიდა მათთან სახლში, ყავრის დასასხნელი დანა მოიმიზეზა - შენს განსვენებულ მამამთილს ქონდა და ეს-ლაც ხომ არ გდია სადმეო. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. ფოთოლამ მის თავდაჯერებულ თვალებს ვერ გაუძლო და გაელიძა.

- მსგავსი არაფერი მინახავს არც ახლა და არც ადრე, - უთხრა კოსტას, - შენი მეუღლე როგორ არის?
- არა უშავს! - მიუგო შეცბუნებულმა კოსტამ.
- მოკითხვა გადაეცი ჩემგან და ლიასაგანაც, - თქვა ფოთოლამ და კოსტამ ლიას ინდაურებს გადახედა, თითქოს მათი დათვლა გადაუნყვეტიაო.
- სულელია! - თქვა ლიამ, როცა სტუმარი წავიდა.
- ახალგაზრდობაში "ვილისმა" გაამეტიჩრა, ეგ არის და ეგ! - მიუგო ფოთოლამ.

სალამობით წვიმდა, დღისით მზე აჭერდა, მაგრამ კირქვიანი მთების სველი კალთები გამოშრობას ვერ ასწრებდა და არც კირის მომპოვებელ კარიერს ახდიოდა იმდენი მტვერი. ძროხებმაც მოიკეთეს, ისინი საძოვრებიდან ჩვეულებრივზე ცოტათი უფრო მეტად დანაყრბულები ბრუნდებოდნენ და თავიანთ ბოსლებს მიმდგარნი ისე საწყალობრივ აღარ ბლაოდნენ.

ლიას ინსტიტუტში გამოცდები ეწყებოდა და ის მთელი დღე წიგნებს უჯდა აივანზე. ინდაურების საჭმელს ფოთოლა ამზადებდა, დანარჩენი დრო კი ეზოში ამოზრდილ ბაღებს კრეჭდა ძველა-ძველი, ტყვიასავით მძიმე სეკატორით. ლიას სეკატორის ჩხაკუნი აღიზიანებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. კირის გამოსანავი ქარხნის აგურით ნაგებ მილს გაუშტერებდა ზოგჯერ თვალს და იმ ქარხანაში მომუშავე მამა აგონდებოდა.

ერთ დღეს კი დილიდან წვიმა წამოვიდა და მთელი დღე არ გადაუღია. ინსტიტუტიდან დაბრუნებულმა ლიამ, ქალაქის დრამატულ თეატრთან, შადრევნების წინ, თავის კურსთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები მოიტანა. ფოთოლამ იმ დღეს ინდაურები გვიან ასადილა. ისინი სახლის ქვეშ შეყუყუდიყვნენ და ადამიანებივით სერიოზულად მოეწყინათ.

- როგორ მომაბეზრა თავი წვიმამ, ქოლგა უნდა ვიყიდო! - თქვა ლიამ.
- გაყიდი ინდაურს, იყიდი ქოლგას! - უპასუხა ფოთოლამ. და ფოტოსურათების დათვალიერებას შეუდგა. შვილის თანაკურსელ ბიჭებში იმას ეძებდა, რომელიც მისი ვარაუდით ლიას უნდა მოსწონებოდა.
- ამას არა უშავს, - მიუთითა შვილს ერთზე, რომელიც მზეს თვალს უჭუტავდა.
- ლიამ ფოტოსურათს შორიდან გადმოხედა და არაფერი თქვა, მაგრამ პასუხის გასაცემად მანაც გაეზადა, რადგან იცოდა, რომ დედა არ მოეშვებოდა.
- არ ჩანს ურიგო ბიჭი, - თქვა ფოთოლამ.
- ცოლიანია, - მიუგო ლიამ.
- გასათხოვარ გოგონებში გარეულ ცოლიანებს უფრო არხეინი გამომეტყველება აქვთ, ვიდრე ამას, - თქვა ფო-

თოლამ, ფოტოსურათებშიც კი.

ფოთოლას ჩაეძინა იმ იმედით კმაყოფილს, რომ ლიას ფოტოსურათზე მის მიერ შერჩეული ბიჭი მოსწონდა და ბიჭსაც მოსწონდა მისი შვილი. ნაშუალამევს გამოეღვიძა. წვიმა კრამიტზე ხმაურობდა. ლია საწოლზე წამომჯდარიყო და ლამის შეუქნე კითხულობდა.

- არ მეძინება, - უთხრა შვილმა. მის საწოლთან სკამზე ფოტოსურათები ეყარა. ეტყობა მათ ათვალიერებდა, სანამ ძილის მოსაგვრელად კითხვას შეუდგებოდა.

ფოთოლასაც მობერებოდა უკვე წვიმა. ოთახში გახამებული თეთრეულის მსუყე სუნი იდგა. მიუხედავად ამისა, მანაც ვერ მომყუდროვდა და ამით უკმაყოფილოს ჩაეძინა. ღრმა ძილით ეძინა, გრძელ, თეთრ პერანგში გამონყობილმა შვილმა რომ გამოაღვიძა.

- ვხვრინავდი? - კითხა დედამ და მეორე გვერდზე გადასაბრუნებლად გაემზადა.

- კვილია! - უთხრა ლიამ, - ვილაცა მოკვდა მგონია! აივანზე რომ გავიდნენ, ლაფაროში ანკაპუნებულ წვიმის ხმაურში მართლა მოესმათ კვილი. შინ შებრუნდნენ და ჩაცმას შეუდგნენ. ქარმა წამოუბერა, ფანჯრის მინებზე წვიმა აშხაუნდა და უეცრად მოვარდნილი ქარი რომ ჩადგა, წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ფოთოლას მოეჩვენა, რომ კოსტას ცოლი კიოდა.

- კოსტას ცოლი კივის, - თქვა ლიამ.

ფოთოლა სკამზე ჩამოჯდა და რატომღაც კოსტას მუნჯი ბიჭი დაუდგა თვალწინ.

- კოსტაია ხომ არ მოკვდა?! - თქვა ლიამ.

ჭიშკარს რომ გადიოდნენ, ქოლგა კინაღამ ქარმა წაართვათ. ძველი ქოლგა ქარმა წაღმა ამოატრიალა და კარგა ხანს მოუნდნენ მის გასწორებას.

ქარდავების მჭლე ვენახს რომ გასცდნენ, კვილი უფრო გარკვევით მოისმა. კოსტას ცოლს ხანგრძლივი კვილისაგან ხმაში ხრინჩი შეპარვოდა, მაგრამ იმდენად არა, რომ მისი ხმა ვერ ეცნოთ.

- მართლა მომკვდარა კოსტა! - თქვა ფოთოლამ.

გზისპირა ჭადრებს მიადნის, წვიმა ჭადრის ფართო ფოთლებზე უფრო რიხიანად ხმაურობდა, ვიდრე სხვა ხეთა ფოთლებზე.

ივლიანე ქარდავას გაქუცული ძალი გამოჩნდა და მერე მის თხუთმეტი წლის ბიჭსაც მოკრეს თვალი - ბრენეტის საწვიმარგადაცმული მოტოპავდა გუბებში. ქალები რომ დაინახა, შედგა და უკან მიიხედა. მალე მისი უფროსი ძმაც გამოეყო სიბნელეს.

- რა მოხდა? - კითხა ლიამ ივლიანეს უმცროს ბიჭს.
- კოსტაია მომკვდარა საწყალი, - თქვა ბიჭმა, - ძილში გაპარულა, გულს უღალატია! - თავი სინანულით გადააქნია უფროსებისაგან ნასწავლი მანერით.
- გავბრუნდეთ! - უთხრა ფოთოლამ შვილს.
- ბარემ მივსულიყავით, რაკი აქამდის მოვედით, - თქვა ლიამ, - ცუდად ხომ არა ხარ? - შემოტრიალდა და დედას შემოხედა.

- რატომ უნდა ვიყო ცუდად! - თქვა ფოთოლამ, - თუ მაინცა და მაინც გაცივება გინდა, კახა მიგაცილებს... ხომ მიაცილებ კახა?

- რა დიდი ამბავი ამას უნდა! - თქვა მან.
- მეც გავყვები, - თქვა უმცროსმა ძმამ.
- სახლში წახვალ! - უბრძანა უფროსმა.
- მუნჯი როგორ იქცეოდა? - კითხა ლიამ კახას, მაგრამ კახას პასუხი ფოთოლამ ვერ გაიგო, წვიმის ხმაურმა ჩაახშო მისი ხმა.
- გაცივდება ეს გოგო ამ წვიმაში! - თქვა ფოთოლამ.
- არა და როგორ წვიმს! - თქვა უფროსების წამბაძველმა ბიჭმა, - ძალი კიდევ იმათ გაყოლია, - აღნიშნა ბოლოს ერთგვარი სინანულით.

ლევანია ურჯულოს ვალი

გღვამ ქაფი მოიკიდა, როგორც კათხაში ახალჩამოსხმულმა ლუდმა. მიმოზა აყვავილდა და მისი სურნელისაგან თავატყიებულმა, გასათხოვარმა ქალიშვილებმა ოხვრას უმატეს, რადგან მათ სარკეები და ბეჭდები ეს-იზმრებოდათ - გათხოვების მომასწავებელი ნიშნები.

ლევანია ურჯულოს კი ვალი დარჩა გასასტუმრებელი. მის ჭაობისფერ, სევდიან და ძაღლის ცხვირით მუდამ სველ თვალებში ყველა შურისძიების სურვილს კითხულობდა და ისიც იცოდა ყველამ, რომ ის შურს იძიებდა - თუნდაც იმიტომ, რომ მისგან ყველა შურისძიებას მოელოდა.

იყო დრო, როცა ის ქორწილებში დაუპატიჟებლად დადიოდა, იქ გათენებამდის ჩაჰკირკიტებდა ბანქოს ქალაღდს და შიკრიკის პირით მემუხიკვებს სიმღერებს უკვთავდა, ლევანია ურჯულო ხელზე, ფრჩხილებქვეშ კანს იტყავებდა, რომ დანიშნული კარტი უკეთ ეცნო. კანაჭრილი თითები აუტანლად ტკიოდა, მაგრამ ტკივილს ითმენდა და გულის მოსაოხებლად ყოველ ათ წუთში სიმღერებს უკვთავდა, რომელიც იმ ოთახამდე, სადაც შუღერები ისხდნენ, არც აღწევდა. ლევანია ურჯულო ტკივილს იმით უძლებდა რომ მოგებული ფულის ნახევარს მემუხიკვებს უგზავნიდა და, მანაც და სხვებმაც დანამდვილებით იცოდნენ, მემუხიკვები მის მიერ შეკვეთილ სიმღერას ბოლო ნოტამდე ისეთი გრძნობით იმღერებდნენ, როგორც გედები მღერიან თავიანთ უკანასკნელ სიმღერას.

ერთხელ, როცა თავისი ოცნების ქალს გადაეყარა, უცებ მოსწყინდა სხვის ქორწილებში სიარული და თქვა, რომ მის რვაასკაციან ქორწილში შუღერები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებოდნენ, რადგან იქ ბანქოს ქალაღდს ფულზე არ ითამაშებდნენ და არც ორკესტრი შეასრულებდა ძველბიჭურ სიმღერებს. მას, როგორც არასოდეს, ისე მოუნდა ოჯახური სიმყუდროვით დამტკბარიყო, მოუნდა ტელევიზორის დისტანციური მართვის ცოცხალი პულტი ჰქონოდა ცოლის სახით, სანამ მათი შვილები არ წამოიზრდებოდნენ და ფეხის წვერებზე შემდგარნი ტელევიზორის არხების გადასართავს შესწვდებოდნენ.


ის, ვინც ლევანია ურჯულოს ამჯობინეს, მანდარინების პრინცი და მიხაკებისა და მიმოზების რეგენტი იყო. ის მანდარინს ეზიდებოდა რუსეთში და თითო კილოს თითო მანეთს უგებდა. მან კარგად იცოდა ის საქმე, რომელსაც მისდევდა და არც ერთხელ არ გაყინვია მანდარინი რუსეთში. რაც შეეხება მიხაკებსა და მიმოზის ყვავილებს, ისინი ყოველთვის ახალდაკრეფილებს გადენენ. წყალს, რომელშიც ყვავილებს დებდა, ასპირინსა და კიდევ რაღაცა აბებს ურევდა. მისი ამ ელექსირის დამზადების რეცეპტის გაგება ყველას სურდა, მაგრამ ვერავინ იგებდა - ეს მისი საიდუმლო იყო. ამას გარდა კიდევ ფლობდა ორ საიდუმლოს. პირველი - მისი წლიური შემოსავალი, რომელიც ახალშერთული ცოლისთვის - ლევანია ურჯულოს ყოფილი საცოლისთვისაც კი საიდუმ-

ლოდ რჩებოდა. მისმა ახალშერთულმა ცოლმა ისიც კი ვერ გაიგო, უყვარდა თუ არა თავის ქმარს და სწორედ ეს გახლდათ მანდარინების პრინცისა და მიხაკებისა და მიმოზების რეგენტის მესამე, დიდი საიდუმლო. ერთი სიტყვით, ის კონტრაბანდისტი იყო და სამი დიდი საიდუმლოს მფლობელი სპეკულიანტი.

იმ დღეს ლევანია ურჯულომ ზედიზედ მეექვსედ წააგო ნარდში (ლუდზე თამაშობდნენ მეზობლები, როგორც ყოველთვის და ხინკალზეც, თუ არ ვცდები) და რაჟიკო კეზუმე ჰკითხა, რა მოგდისო (მას ყოველთვის ყველაფერი უკვირდა). ლევანია ურჯულომ პასუხად ისე მწარედ ჩაიღიმა, ყველა მიხვდა, რომ რაღაცა დააშავეს, რომ ეს მათ აძულეს ლევანია ურჯულო შური ეძია. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლევანია ურჯულო მართლაც იძიებდა შურს. რაჟიკო კეზუაც არ იყო ჭოროკანა, ის, უბრალოდ მიაბიტი გახლდათ და ამ ქვეყნად ყველაფერი უკვირდა.

მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, სიყვარულის გახანგრძლივების რეცეპტს მივაგენი-მეთქი. ჩემი აზრით, ამისათვის სრულიად საკმარისი იყო, შეყვარებულს საცოლე გასათხოვებოდა. მაშინ მე ბევრი რამის რეცეპტს ვეძებდი, სიცოცხლის გახანგრძლივების, მაგალითად. ისიც კი მიწოდოდა, ზაფხული არასოდეს დამთავრებულიყო. ელექტრომრიცხველის საიდუმლოს უკვე ჩანვინილი ვიყავი, ვიცოდი როგორ მომეხერხებინა ისე, რომ მას დახარჯული ელექტროენერგია არ აღერიცხა. მაგრამ ლევანია ურჯულოს სიყვარულის მრიცხველი, ელექტრომრიცხველისაგან განსხვავებით პირდაპირ ნერვებსა და გრძნობებზე იყო ჩართული და მისი გაჩერება არაფერს შეეძლო, რადგან მის ძარღვებში ოცდაორი წლის მამაკაცის სისხლი სჩქეფდა. მამაკაცისა, რომელიც თავის სიცოცხლეში, ქალებთან ურთიერთობისას მხოლოდ ორჯერ იყო გულწრფელი. პირველად მაშინ, როცა საკუთარი დედა დაიტირა. მამამისმა კი მისი ცრემლები მონეული ანაშის ზემოქმედებას დააბრალა, როცა მეზობლებმა არ დაიზარეს ლევანია ურჯულოს ცხარე ცრემლები გაკვირვებოდათ.

- მისმინე! - უთხრა მაშინ ლევანია ურჯულომ მამას, - მელნტი არდაშელიას, - ისეთ ნაგავს, როგორიც შენ ხარ, სხვებიც ნაგავი ჰგონია, შენ არ გიყვარდა შენი ცოლი, ეს შენი პირადი საქმეა, ცოლის შეყვარებას ვერავინ დაგაძალებს. მაგრამ დედა-შვილის ამბავში ნუ ჩაერევი, მაინც ვერაფერს გაიგებ, იმიტომ, რომ ნა-



გავი ხარ!.. მე მოვრჩი...

მეორევე კი, ლევანია ურჯულოს ღუღუნე ძაძამიას დისშვილი შეუყვარდა და იმ გოგომ მწარედ მოატყუა - მანდარინების პრინცსა და მიხაკებისა და მიმოზების რეგენტს გაყვა ცოლად. იმ ქალის ხმა ელექტროდენივით უვლიდა ძარღვებში ლევანია ურჯულოს, მისი, ოდნავ მოჭუტული თვალები სულ თვალნი ედგა (ბეცი იყო ის გოგო, მაგრამ სიყვარულიც ხომ ბრმაა) და, როცა მონატრება დარეგდა ხელს, ნათხოვარ სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ნარდსა და კარტში აგებდა.

ლევანია ურჯულოს გამარჯვებული მეტოქე ზაფხულობით ისვენებდა. როგორც მყიდველი დაუკლის ბაზარში დახლებს, ისე ჩამოუვლიდა სოჭში პლაჟებს ქათქათა, თეთრ პერანგში გამოწყობილი. ისე როგორც ყველა ორმოცს მიღწეული მამაკაცი, ქორფა მწვანილს ანიჭებდა უპირატესობას. სიყმანვილეში ქალიშვილების ყურადღებას მოკლებული იყო და მათზე, მათი უყურადღებობის გამო შური რომ ეძია, შამპანურს ასმევდა, ბანანებით უმპინძლდებოდა და მერე ფუფულებოდა. დილით კი, როცა განუცხადებდა, რომ დღეს სხვა, გაცილებით უკეთეს ქალს უნდა შეხვედროდა, მათ სახეზე არდამწნეული, ბოლომდე შელახული პატივმოყვარეობით ტკებოდა. სექტემბრიდან კი მუშაობას იწყებდა და კონტრაბანდული მიხაკებით აახლებდა ქალებზე შურისსაძიებლად საჭირო ფულს მანდარინების შემოსვლამდე.

ლევანია ურჯულოს ძალღის ცხვირივით მუდამ სველ, ჭაობისფერ თვალებში კი შურისძიების სურვილს კითხულობდნენ. ის სახლიდან პურის საყიდლად გამოსულ, მისი სიყვარულის უარყოფილ ქალს დახვდა გზაზე. ლევანია ურჯულო მაშინ მხოლოდ ოცდაორი წლის იყო და მან ქალს გაუღიმა.

- როგორ ხარ? - ჰკითხა ლევანია ურჯულომ ქალს და მიხვდა, რომ ეს ქალი უყვარდა, ნამდვილად უყვარდა, - არ გამოცვლილხარ, თუმცა გათხოვების მერე ყველა ქალი იცვლება!

- შენ კი, გამოცვლილხარ! - უპასუხა ქალმა და ლევანია ურჯულოს მოუნდა, ეს ქალი მისი ყოფილიყო. მისი და მხოლოდ მისი, მის მკლავებს მინდობილი, მთვარის ფაქიზ შუქზე ნაზად და აუჩქარებლად დასაკოცნი არსება.

- ამინდები როგორ მოგწონს? - ჰკითხა მაშინ ლევანია ურჯულომ ქალს, - არ გეგონოს ჩაგისაფრდი, შემთხვევით გადაგეყარე და უკვე დროა მივდიოდე, თორემ ისე მომჩერებინა, თითქოს მთვარიდან ვიყო ჩამოფრენილი... ეგებ სხვანაირად იფიქრონ, მეზობლები ყოველთვის სხვანაირად ფიქრობენ... ჰო, მართლა, მეზობლებზე გამახსენდა, ჩემს მეზობელ ღუღუნე ძაძამიას ხომ არ გადასაცემდი მოკითხვას?

- არა! - თქვა ქალმა და გაჩუმდა. მას მალალი კისერი და თოვლივით თეთრი კანი ჰქონდა. ლევანია ურჯულოს ის ზუსტად ასეთი ესიზმრებოდა, როგორსაც ესლა ხედავდა და მას მაშინ მართლა ასტკივდა გული და მზად გახლდათ ყმული მოერთო.

- კარგი, ასეც ვეტყვი, მოკითხვა არ გადმოუცია-მეთქი. ესლა კი წავედი!

ლევანია ურჯულო გამობრუნდა და ტაბათი გამოუყვა ქუჩას. გზის ავტოსავალ ნაწილს მიუყვებოდა ტროტუარის სიახლოვეს და ცდილობდა უკან არ მოეხედა. ის მამაკაცი იყო და უკან არ მოუხედავს.

ლევანია ურჯულომ იმ საღამოს ჯინსის ახალი შარვალი ჩაიცვა, ჯინსისავე პერანგიც ახალი ეცვა (ის პერანგს შარვალში არასოდეს იყოლიებდა) და სანამ საქმეზე წავიდოდა სანაპიროზე იყიდა ეშმაკის ბორბალთან, "ელბრუსში" ყავის გამყიდველ ქალსაც ეკურკურა ნერვების დასაწყნარებლად. მას ასი მანეთი უნდა მიერ-

თმია ძღვენის სახით იმისათვის, რომელმაც დამგეზავა უშოვა იმ რაიონში, რომელიც თვითონ ისურვა და კიდევ სამასი მანეთი თვითონ დამგეზავისთვის მიეცა.

ამ ქვეყნად ყველა დამგეზავი ერთმანეთს გავს. მათ პროფესია აიძულებთ სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდნენ და ამიტომ სხვებისაგან არაფრით გამოირჩევიან. უამრავი ანეკდოტი იციან და ამიტომ ყველგან კეთილგანწყობით სარგებლობენ. სანამ მომპარავი მათ მიერ მინიშნებულ ბინაში იმყოფება, ისინი ეკლებზე სხედან და სინდისიც აწუხებთ.

ლევანია ურჯულოს დამგეზავი შუახნის მამაკაცი იყო, ის დასაგეზი ობიექტისადმი თავიდანვე უნდობლად განწყობილი იყო და იმ საღამოს, ქალს, რომელთანაც ერთად ცხოვრობდა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომანქანა გამოაძახებინა კარდიოლოგით, რომ ჩავარდნის შემთხვევაში წყალგაუვალი ალიბი ჰქონოდა. მას ყველა თავისი მსხვერპლი ეცოდებოდა და მათ უბედურებას ისე განიცდიდა, როგორც საკუთარს. ოცნებობდა ამერიკაში კბილეების ისეთი პროთეზი გაეკეთებინა, ნამდვილისაგან რომ ვერ გამოარჩევდი. მას მეორე ოცნებაც ჰქონდა - ოცნებობდა, ის ქალი, ვისთანაც ერთად ცხოვრობდა, თავისი ნებით წასულიყო მისგან, რადგან მასზე უარის სათქმელად გამბედაობა არ ჰყოფნიდა საკუთარი თავის წინაშე.

მანდარინების პრინცისა და მიხაკებისა და მიმოზების რეგენტის ბინაში შესული ლევანია ურჯულო მისაღები ოთახისაკენ გაემართა და პირდაპირ სავარძელს მიადგა. სავარძელი ისეთი ახალი, დიდი და რბილი იყო, რომ მასში ფული რომც არ გქონოდა, მაინც მოაწყობდი სამალავს. ის კედლებში მოწყობილი სამალავების აღმოჩენის დიდოსტატი იყო. შპალერის ორნამენტებში მომხდარ ოდნავ ცვლილებასაც ამჩნევდა მისი გამოცდილი თვალი და ოთახში დამკვიდრებული სუნით იქმნიდა წარმოდგენას იქ მაცხოვრებლებზე. სავარძლის საზურგიდან მოდენილ სურნელში ნაცნობი სუნამოს სუნი იყნოსა თითქოს. სავარძელში ჩაეშვა. თვითონაც არ იცოდა რისთვის მოვიდა აქ, მანდარინების პრინცისა და მიხაკებისა და მიმოზების რეგენტის ბინაში, სადაც სახილველში არც ერთი მანდარინი არ იდო და არც საყვავილე ღარნაკში ენყო მიხაკები სხვა ყვავილთა შორის. მან უბრალოდ წარმოიდგინა, რომ ეს ბინა მისი საკუთრება იყო, ბინის დიასახლისი კი მისი ცოლი. მისგან ხელმარჯვნივ, ოთახში, იმ ქალს ეძინა, ვისთვისაც აქ მოვიდა, ხელმარცხნივ კი იმ ქალის დედამთილს, რომელიც ფულს ალბათ ქვეშაგებში ინახავდა.

ლევანია ურჯულომ ბროლის სახილე დაიდგა წინ და გათენებამდის მშვიდად შეეცქეოდა ყურძენსა და ვაშლებს და კედლის საათის ტიკტიკს უსმენდა. ისიც შეიძლება, რომ ფული კედლის საათში ყოფილიყო დამალული (კონტრაბანდისტებს ხომ სამალავების მოწყობის ორიგინალური მეთოდები აქვთ შემუშავებული), მაგრამ იქ ფული არ უძებნია. მას არსად არ უძებნია ფული. როცა კედლის საათი გააჩერა (საათის ისრები სამი საათით უკან გადასწია, რომ ქალს გონებოდა, თითქოს მას იმაზე მეტი დრო დაეყო ამ ოახში, ვიდრე სინამდვილეში იყო), მაშინ ძალიან, ძალიან მოუნდა მძინარე ქალისათვის დაეხედა, მაგრამ თავი შეიკავა. ციფერბლატის მინაზე კი მოკლე, ორსიტყვიანი ბარათი დატოვა - "მე ვიყავი" ეწერა იმ ბარათში. ქალი, დილით, როცა საათს შეხედავდა, ამ ბარათს ნახავდა და ვინ იცის, იქნებ ატირებულიყო კიდევ.

ის სავარძელში იჯდა და თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარულის ნახვის სურვილს ებრძოდა. მან იცოდა, რომ ქალი რძისფერი განთიადის შუქზე უნდა ეხილა და ისიც იცოდა, რომ განთიადამდის გაუძლებდა მისი ნახვის დაუძლეველ სურვილს, როგორც ბანქოს თამაშისას უძლებდა ფრჩხილებქვეშ კანაჭრილი თითების ტკივილს.

გათუ დანელია

თენდებოდა, როცა საძინებელ ოთახში შეიხედა და ის დაინახა. მას მშვიდად ეძინა და ბინდებუნდისაგან ამოღამებული თვალის უპეებით მთლად ისეთი ლამაზი ვერ იყო, როგორც სინამდვილეში. მოუნდა ეკოცნა, მაგრამ არ უკოცინია. არ უკოცინია, არც მანამდის, არც მაშინ და არც მერე. ქალს ძილში თმები გაშლოდა და საკუთარი სხეულის სრულყოფილებით გაოგნებულსა და გათანგულ ქალწულს გავდა, სახეზე კი ისეთი სიმშვიდე ევინა, ლევანია ურჯულო მისვდა, რომ ქალი ორსულად იყო. მოეჩვენა, რომ, ოდესღაც, იქნებ წინა ცხოვრებაში, ან იქნებ სიზმარშიც, ამ ქალისათვის ეკოცნა, რადგან მისი ტუჩებისა და ლოყების გემო იგრძნო და აოფლიანებული ხელისგულებით მისი სხეულის ოვალსა და კანის სინაზეს გრძნობდა.

ნასვლის წინ სიგარეტი მოსწონია, ნამწვი პირდაპირ მაგიდაზე ჩააქრო და იქვე დატოვა. გათენებული იყო, სახლის კარები რომ მიიხურა: იცოდა, ქალის ქმარი ადრე თუ გვიან მაინც გაიგებდა, რომ მის არყოფნაში, როცა შინ სამი თვის წინ შერთული ცოლი ეგულებოდა, ჭიშკრიდან, დილაადრიან, უცხო მამაკაცი გამოვიდა, რომელსაც პერანგი შარვალში არ ჰქონდა ჩატანებული, შარვლის ცალი ტოტი წინდაში ჩაყოლოდა, ხოლო ფეხსაცმლის თასმები პირდაპირ ქუჩაში შეიკრა ნაჩქარევად, მას შემდეგ, რაც ფეხქვეშ წამოედო და ამის გამო კინალამ დაეცა. ლევანია ურჯულოს მხოლოდ პერანგის შარვალში არჩატანების ინსცენირება არ დასჭირვებია - ის ისედაც არასოდეს იყოლიებდა შარვალში პერანგს. ლევანია ურჯულოს ოთხასი მანეთი უნდა ეშოვა სასწრაფოდ - ასი იმისათვის, ვინც დამგეზავი უშოვა, სამასი კი თვითონ დამგეზავისთვის


ღი არქიტექტორისთვის, რომელმაც სახლის პროექტი და ავეჯის განლაგებაც კი დაუხაზა ზედმიწევნითი სიზუსტით გაზეთის ნაგლეჯზე. ასე გაუჩნდა ლევანია ურჯულოს მორიგი ვალი, რომელიც არც პირველი და არც უკანასკნელი ყოფილა. ის იმისთვის მოეგლინა ქვეყნიერებას, რომ ლევანია ურჯულო ყოფილიყო. კიდევ იმისთვის, რომ ვინმეს ვალი ჰქონოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ის, ყოფილიყო ის, ვინც იყო ლევანია ურჯულო. ციხეში იმიტომ მოიკლა თავი, რომ კარტში წაგებული ფული ვერ გადაიხადა.



სარილი

ტირანტი ბრანელის მონოლოგი ანუ პატარ-პატარა ფონები სხვადასხვა ისტორიისთვის

უსიხარულოდ მიდის თითქმის ყველა სიცოცხლე!... აი, ამიტომ სიხარულის ისტორიის წერას შევუდექ და ერთ დღეს ისე აყვავილდნენ ბაღში ნუშები, თითქოს სასწრაფო დახმარებას გამოვუძახე და ექიმები მორბიან ჩემკენ...



რა უნდა ვუთხრა ამ ცხოვრებას! - მან რაზანია ხელი გამიშვა, როგორც ახლად ფეხადგმულ ბავშვს... და მე დავეცი, რა თქმა უნდა, მაგრამ, მგონია, გამიმართლა, რადგან, ვიდრე წამოვდგებოდე, სიხარულის ისტორიამდი, უიღბლობის ისტორია უნდა დავწერო.

ო, ისტორია, არა როგორც გამოვლილი გზა, არამედ, როგორც ისტორია ავადმყოფობის, თორემ ბუზსაც კი აქვს წარსული, რაც იწყება, უსათუოდ, სიბინძურიდან... აქ კი, წლებსა და დღეებს შორის და წუთებსა და წამებს შორის გადებული გვაქვს ჩვენ ხიდეები შეუპოვრობის, მაგრამ როგორც კი გადავიღის მათ ერთი ხსოვნაც, მაშინვე როდი ჩატყდებიან, არამედ ნელა იწყებენ დნობას და წვეთ-წვეთად, ნაწილ-ნაწილად წამოვლენ ქვემოთ და ბურჯიან-მოაჯირიან ჩამოწოლილნი, ქუთუთოებს მოაწვებიან და წამწამების ბურუსიან ხეივანიდან ჩაცვივდებიან წუთისოფლის უძირო ქვაბში, რომელიც წყნარი ოკეანეა კაცობრიობის მწუხარებისა... ჩვენ კი გვგონია, ტყვილა ვტირით, ტყვილა ვღვრით ცრემლებს.

ო, უიღბლობა! - ეს ის შხამია, რომელიც დიდხანს კლავს ადამიანს ანუ, ვით ლანჩას, ისე ცვეთს გულებს, ბედნიერი დღის უწყვეტ ნატვრაში... უიმე! - ნატვრის ისტორიაც უნდა დავწერო!

მე ამ ცხოვრებამ ღირსად ჩამთვალა, რომ ჩემთვის ნატვრის მწვერვალები ცად აეტყორცნა და ლამღამობით, როცა მიწა დაიძინებდა, მე ავლიოდი იმ მწვერვალებზე და ვარსკვლავებს გულში ვიკრავდი და ვტიროდი გულამოსკვნილი, რომ არ შემეძლო მათი შექენა, რადგან ძალიან ღარიბი ვიყავ.

მე სიღარიბის ისტორიაც მაინტერესებს. ეჰ, სიღარიბე, რომ იცოდე, რა საწყალი ხარ! -

ერთი სარკეში დაგანახა შენი ცხვირ-პირი!
გიყურებ: ზურგი ზურგს არ გიგავს და სახე - სახეს.
შენი ბრალია სიხარულის ხეებისა თუ
მცენარეების უნაყოფობა...
შენ მეგობრობის მტერიც ყოფილხარ:
მანათვლინებდა მეგობარი თავის კულრაჭას,
მაგრამ მერე გადაიფიქრა...

მე მეგობრობის ისტორიაც უნდა დავწერო...
როცა სოფელში ჩავდივარ ხოლმე,
დედა ყოველთვის შემეკითხება:
მეგობრები როგორა მყვანან,
ხომ დაცოლშვილდნენ,
ან, მათ ქორწილში ხომ არ შევერცხვი -
უსაჩუქროდ ხომ არ მივსულვარ,
ან, ბავშვები - ვის რა ეყოლა,
მე რომელმა მომანათვლინა...
და მე ვპასუხობ ისეთნაირად,
მის მწუხარ გულს რომ გაუხარდება -
მე მხოლოდ დედას ვატყუებ ქვეყნად.

ო, დედაჩემო, ის მეგობრები
დღეს უკვე ლომებს მეგობრობენ
და ქორწილებშიც
მათ პატიუბენ,
ჰოდა, ალბათ, ამიტომ არი,
რომ, რაც დრო მიდის, თითქოს ვბავშვდები,
თითქოს ომიდან ვუბრუნდები იმ ხანას, როცა
არც სიარული ვიცოდი და არც ლაპარაკი,
რადგან ზედმეტი ტვირთივითაა
სუყველაფერი, რაც საჭიროა
სამაგიეროს გადახდისათვის...

სამაგიეროს ისტორიას მე როგორ დავწერ! -
დედა, მე როგორ გადავუხდი სამაგიეროს
იმათ, რომლებზეც ამბებს ისე მოგიყვებოდი,
როგორც ბავშვები ჰყვებიან ხოლმე -
მთაში, ან ზღვაზე გატარებულ არდადეგებზე...

რომ გაგახარო, დედაჩემო, ხშირად ვატყუებ,
ოღონდ მაშინ თავსაც ვიტყუებ,
აბა სად მყავხარ მოსატყუებლად! -
ყოველთვის ფიქრში გესაუბრები -
მე ხომ შენ ძალზე პაწაწინამ მოგისაკლისე!
დედობა მართლა გამიწია დედინაცვალმა,
მაგრამ ტერენტი გრანელობას
უდედობა ჯობია ბევრად,
უდედობაც და უმეგობრობაც!..

ვის გემეგობროთ, ერთი მითხარით! -
თითო მუჭა ლაფი და ჭუჭყი
აბა რომელმა არ მესროლეთ!
ხელი რომელმა არ მოითბეთ
ჩემი სიმართლის დამცირებაში!
ფეხი რომელმა არ გამოჰკარით
ჩემს მარტოხელა ალაღმართლობას!
ვის გემეგობროთ, ერთი მითხარით!
თუმც აწი უკვე გვიანიცაა -
კარგა ხანია დამავიწყდა მეგობრობის ატრიბუტები,

ისიც არ მახსოვს, რა ფერისაა...
სწორედ ამიტომ დავმარტოხელდი!

მე მარტოობის ისტორიაც მაინტერესებს.
დავმარტოხელდი არა სულით და არა გულით,
არამედ - ცრემლით, რაც იმას ნიშნავს,
რომ ვტირი მხოლოდ საკუთარ თავზე,
რომელსაც სულ ვგრძნობ საკვირველებად
(მე ისეთ მეცხრე ტალღას გავძელ,
არ შეიძლება, რომ არ ვიყო საკვირველება)...

საკვირველების ისტორიაც უნდა დავწერო.
როგორ მიკვირს და როგორ მიკვირს,
რომ არ აკვირვებთ საკვირველი, თითქოს ხუთივე
გრძნობის ის თვალი დაიბრმავეს,
საკვირველებას რომ ხედავს ხოლმე
და ყველაფერი: მთები, ზღვები, მინდორ-ველები,
ყველა ხელი და ყველა საგანი
ქუთუთოსავით რომ ეფარება...

აბა, განა საკვირველი როგორ არაა,
რომ სიცოცხლის სასახლეებს, მიწისძვრასავით
ანგრევს გულისძვრა...
ან მარტოობა მარტოსულზე მაღალი როა,
როგორც მთა ზღვაზე!

მე კი მაკვირვებს, სულ მაკვირვებს,
ჩემს მარტოობას კოჭებამდე რომ ვერა ვწვდები
და, როგორც ბავშვი მამას, ისე
ვეხვეწები ხელში აყვანას...

სადაც დავეცი - ის ადგილი ორმოდ გადიქტა...
და ვზივარ აქ და...

"აქა ვზივარ და სხვანაირად არ ძალმიძს..." მაგრამ
უსაქმოდ მაინც არა ვზივარ -
პატარ-პატარა მეღნისფერ ფონებს
ვქმნი რამერუმეს ისტორიისთვის
და ისე ვჩანვარ აქიდან, როგორც
ქვასანაყი ჩანს როდინიდან...

მე ქვასანაყის ისტორიაც უნდა დავწერო... -
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!


და მე როდინის ისტორიაც უნდა დავწერო... -
ხი-ხი-ხი-ხი-ხი!

და სიხარულის ისტორია სულ დამავიწყდა!

და: ხი-ხი-ხი!

ხა: ხა-ხა-ხა!

უი, სიცილის ისტორიაც...



ბეზია

თვალს ძილშიც შვილზე იცრემლავდა ბებიჩემი.
 ღვიძილში სულ მე ჩამძახოდა: სად ხარ ბახული? -
 ყველს მჭადზე უფრო მეტს ჭამო და თვითონ მაჭმევდა,
 მოკვდა და მერე საჭმელს გემო ვერ ჩავაყოლე...
 სულზეც ისევდა იგი ხსოვნის შავ ჭიანჭველებს,
 თუ წინაღამეს სიზმრად შვილი ჰყავდა ნახული:
 სიკვდილის დღემდე იყო მისი სულის მტანჯველი -
 ქერჩში ჩამქრალი ოცდასამი წლის გაზაფხული...

გოგობაში უქროლია მდიდრულ ეტლითაც,
 მაგრამ ჩამწარდა სიტკბოება თვალბეჭუჭუნას...
 ეღუ, ეღუკი ჩაგანახე - ნისლის თეთრი და -
 ხელში ჩაგვაკვდა მე და დედას უცებ, უჩუმრად.
 ჭირისუფალში არა მდგარა, მაგრამ კედლიდან,
 ჩარჩოში მჯდარი, დასტიროდა მშობელს კუჭულა.

ზამთრის დილა

მინები წერდნენ ზამთრის ანდაზებს
 და გუბეც ზამთრის სახეს სატავდა...
 ერთ-ერთ ღრუბელთან ისე ჩანდა მზე,
 როგორც ბოცვერი მშვიერ აფთართან.
 მოსწავლეს ჩანთა ისე ეკიდა,
 თავად ეკიდა, თითქოს, ჩანთაზე...
 და ჩათვლემილი შორი მთებიდან
 ბრწყინავდა თოვლი - მოფიანდაზე.

ძალიან ხეზე კატა აცოცდა.
 შეშას აპობდნენ სადარბაზოსთან...
 ნიავს მიჰქონდა მკვდარი ფურცლები.
 ეტირებოდათ ჩიტებს, გულწრფელებს.
 მე ამ ყველაფერს ისე ვუთქერდი,
 როგორც ბავშვები მულტფილშს უცქერენ.

სიყვარულის სკოლა

მეთე კლასელ ბიჭთან
 უცნობკლასელი გოგო
 დილდილობით იჯდა,
 როგორც სოკოსთან სოკო...

ეზოს მატებდნენ ნაკვთებს,
 არ მოითხოვდა ის თუმც... -
 ბუნების ნახატს ჰგავდნენ,
 პოსტიმპრესიონისტულს...

და სიყვარულიც მხატვრობს
 და ფერებს ფანტავს უხვად.
 და ღმერთმა იცის, მათ რომ
 ერთიმეორე უყვართ.

ფანჯრებიდან კი ტყვილა
 ისერიან კითხვას მათკენ:

"სკოლაში ყოველ დილა
 ვინ მიღის ასე ადრე?!" -

და მიდიოდა ცისკენ
 მათი ღვთიური ჟრჟოლა... -
 სიყვარულს ერთი ხისქვეშ
 გახსნილი ჰქონდა სკოლა...

ღმერთო! გიმაღლით, ღმერთო!
 გავყვებით ვიწრო ბილიკს,
 დროც ნუ იქნება ერთობ
 საამური და ტკბილი,

ყოველთვის იჯდეს ოღონდ,
 მარადისობის ნიშნად,
 უცნობკლასელი გოგო
 მეთეკლასელ ბიჭთან!



ძაღუბი და სიყვარული


ქალებს არ მოსწონთ კერპი კაცები,
 ქალებს დამყოლი კაცები მოსწონთ,
 არდამყოლებთან მუდამ ქაცვობენ -
 არ მოახვევენ დალაღს და კოწოლს,
 არ აუნთებენ გრძნობათა კოცონს...
 გრძნობებში უყვართ გულის ჩაწობა,
 გადაქცეულებს ალერსის ქოცოდ...

რაც უფრო მაგარ ხისაა კუნძი,
 ცეცხლი მით უფრო ახურებს ბუხარს,
 ცეცხლის ფასი კი ქალებმა უწყით -
 ცეცხლოვან ალერსს ითხოვენ უხვად,
 ცეცხლოვან კოცნის იციან ხუნჯა...
 ქალებს არ უყვართ კაცები ბუნწი,
 ქალებს გულუხვი კაცები უყვართ...



თამარი უსააკაძე

ბადე



გიჟ-გოგის ბადით თევზაობა ამქვეყნად ყველაფერს ერჩია. კაცობრიობისაგან რადრო და ჟამია ამოკვიატებულ კითხვას - რა არის ბედნიერება? - გიჟ-გოგია დაუფიქრებლად უპასუხებდა, - მდინარეში ბადით თევზაობაო.

ბედნიერც იყო. ერთი იმიტიომ, რომ იცოდა, რა აბედნიერებდა. მეორეც იმიტიომ, რომ ის, რაც აბედნიერებდა, არც მიუნვდომელ ნისლებში იყო ჩაფლული და არც მტანჯველად მიუგნებელი.

ჰა ბურთი და ჰა მოედანიო, რომ იტყვიან! ჰა ბადე და ჰა მდინარე... გიჟ-გოგიაც მზის ჩასვლამდე ქსნის პირას დაფუსფუსებდა, წყალში შედიოდა, გამოდიოდა, საათობით იდგა ჩქერში ბადემომარჯვებული. თავისას მხიარულობდა. თავისას აკეთებდა. ლიცლიცა ტალღები ტანზე ერთგულად ეალერსებოდა, სახეში მდინარის ნიავეკარი სცემდა - გემრიელი, ტენიანი, უღალატო... წყალში ჩაღვრილი მზის ბრჭყვიალა ათინათები მის სიმარტოვებს ჯადოსნური სილამაზის ალყაში აქცევდა... თევზების სრიალ-პრიალი და სხმარტალი ხომ სულ ჭკუაზე შლიდა! რომ ჩაცლიდა ბადეს კასრში და ერთმანეთზე ჩაკრულასხმარტალეულ დიდ-პატარა თევზს დახედავდა, ბედნიერი იყო გიჟ-გოგია...

ღმერთი, რჯული, ეს თევზი არც შემწვარი უჭამია, არც მოხარშული. გიჟ-გოგია მაგის მუშტარი არ იყო. თონის პური, პრასი, ლობიო და ცივი წყალი ყველაფერს ერჩია.

ჰოდა, რომ ჩასცლიდა-მეთქი კასრში ბადეს, ცოტა ხანს უყურებდა პირდაფრენილი, მოსხმარტალე თევზების ტანჯვას... სულ ცოტა ხანს... მერე დაავლებდა კასრს ხელს, მდინარეს თავდაღმა ჩაუდგებოდა და... სულ უნდოდა ხმაბალა დაეყვირა, მაგრამ გულში დასძახებდა: "მიჩუქნია თქვენთვის სიცოცხლევე". მოიქნევდა კასრს, და აბა, მაშინ იყო ბედნიერი თუ იყო! კუდს რომ მოიქნევდა თევზი და წყალს გაერეოდა, ჰე, - ჰე, - ჰე, - ჰე, - ჰე, - კასრით ხელში იდგა და ნანყვეტ-ნანყვეტ, ალალი გულით იცინოდა ეს ჩვენი მოაბადი, სოფლის მალხინებელი გიჟ-გოგია. თუმცა, გიჟი რად იყო? განა ცოტას უოცნებია, ნეტა ზოოპარკის გალიები დამახსნევინა და მხეცები გარეთ გამომაშვებინაო... ან ჩიტები, იადონ-თუთიყუშები იმ გამოკეტილიდან მალლა ცაში გამაფრენინაო...

გიჟ-გოგიამ ოცნება ცხადად იქცია. იჭერდა თევზს და უშვებდა. იჭერდა და უშვებდა. კიდევ იჭერდა და უშვებდა...

და ბედნიერი იყო. ერთხელაც, ძილში კაცი გამოეცხადა. ჭარმაგი. დიდებული სანახავი. შიშველ ტანზე წელთან თეთრი ქსოვილი ერტყა. ერთიანად მზით გარუჯულს (თუმცა იმ რუჯს რალაცნაირი, მომწვანო ელფერიც დაჰკრავდა) სხეულზე წყლის წვეთები უბრწყინავდა. ხელში ბადე ეჭირა და ბიბლიურ მოაბადს ნააგავდა. იმ კაცმა გიჟ-გოგიას უთხრა:

- მე შენი პაპის-პაპა ვარ, ბიჭო. თეთრი სპირიდონი. მებადურობას დაესხენ, თორემ მდინარეში დაღრჩობა გინერია ჩემსავით. შენთვის, გოგია, უკეთესი იქნება, თუ...

მაგრამ ცივ ოფლში გაღვრილ გიჟ-გოგიას დაფეთებულს გამოელვია და ეგ იყო, ველარ გაიგო, რა იქნებოდა მისთვის უკეთესი.

მეორე დილას ერთი კი გახედა მდინარეს აღმაცერად და სათოხარში გაჰყვა მეზობელს ფეხების ფრატუნით. სკლამომდე ისე თოხნა, თავი არ აულია.

- ბიჭო, რამ გაგაცოფა, შე ოხერო! თავი ჩააკალით-ქო, გითხარი?! - ხშირ-ხშირად გასძახოდა სალამოსპირისკენ მეზობელი, მაგრამ გოგია უზაგუნებდა და უზაგუნებდა თოხს გამომშრალ მინას, თვალს არ აცილებდა. თავიდან არაფერი და, ნაშუადღევს მერე... გასაკვირია, როგორ, მაგრამ ის მინის შავ-შავი გორბები თანდათან ალიცლიცდა, აბრჭყვიალდა და წყლის პანია ჭავლებს დაემსგავსა. მზის ჩასვლისას ნიავემა უფრო და უფრო ძალუმად რომ დაჰბერა, გიჟ-გოგიამ თოხი დააგდო და თავდაღმართში სირბილით დაეშვა. ქსნის პირამდე არ შეუსვენია. იქ კი მოცელილივით ჩაიკვცა შეგრილებულ რიყზე და მზეზე მობრჭყვიალე წყალს ხარბად, მონუსხულივით მიაშტერდა. გაღმა ნაპირზე დიდი ტირიფი წყლისკენ თითქო უფრო გამომონქილიყო. გეგონებოდათ, ლამაზ ქალს თმა გაუშლია და მდინარეში ალივლივებსო... ბუჩქნარდან ჩიტების სტვენა აღწევდა. მზე წყალს გაჰრეოდა. გამჭვირვალე - ოქროსფერი ჭავლები ნოტიო ნიავს რალაც იდუმალი, მაცდური ბუტბუტით ავსებდა, აბრუებდა.

გიჟ-გოგია რიყეზე იჯდა, მუხლებზე ნიკაპჩამოდებული. თვალეში თავდაპირველი ხარბი ალტაცება თანდათან უნელდებოდა და მის ადგილს ნალველი იჭერდა. თეთრი სპირიდონას სიტყვები გულს უკოდდა.

- წყალში დაღრჩობა გინერია... წყალში დაღრჩობა გინერია...

რიყემ გაიხრიალა. ვილაცამ დაუძახა: - ბიჭო, გიჟ-გოგია არა ხარ შენა?

გიჟ-გოგიამ იმ უდარდელიბისდროინდელი სიალალით გაუკრიჭა:

- ჰო, მე ვარ.
- რალა შენა ხარ, ბადე ხელში არ გიჭირავს და წყალს შორიდან გასცქერი... რაო, დაილია თევზი ქსანში?
- აღარა ვთევზაობ.
- ე! რათა ბიჭო!
- აიმან ეგრე მითხრა... ძილში მოლანდებულმა.
- ვინ მოლანდებულმა, ბიჭო, რაებს ბოდავ...
- თეთრმა სპირიდონმა, აი, ძილში მამელანდა და ისაო... შენაო, მებადურობას თავი დაანებე, წყალში დაღრჩობა გინერიაო...
- ე?!
- ეგრეა...

- მერედა, რა გაგაძლებინებს, შე საცოდაო, დღედა-ღამ წყალში ეგდე და...

- დღესა ვთხოვნი, - შესცინა გიჟ-გოგია.

- ეექ! თავი შეურცხვა იმ შენ სპირიდონასა... - ხელი ჩაიქნია მგზავრმა და რიყის ხრიალ-ხრიალით გაუდგა გზას.

"რათ შეურცხვა... აბა, მაშ არ ეთქვა და დავმღრჩვა-ლიყავი, არა?!" - ფიქრობდა გიჟ-გოგია.

ბინდი ჩამოწვა. მერე დაღამდა. გიჟ-გოგია სიცივემ აიტანა. წამოდგა და შინისკენ წაფრატუნდა.

"ხვალაცა ვთხოვნი, ზეგაცა... მაზეგაცა", - ფიქრობდა გულში.

მაგრამ გათენდა თუ არა, ქსნის პირას დაერჭო, ბადით და კასრით ხელში.

რიყეზე ჩაჯდა. თეთრ სპირიდონაზე ცოტა არ იყოს, გულმოსული იყო.

"ნეტა არ მოსცლოდეს ზოგ-ზოგიერთსა! სადაცა არის, იქ ეტოდეს! რას მამელანდა, რო მამელანდა! მე ველანდები იმასა?!"

ბრაზი თანდათან ერეოდა.

"ისა, არაა, გულზე სკდება რო ის იქაა და მე აქა! ადგა და გულზე გახეთქილმა ყვავივით დამწხავლა თავზედა. ვინა სთხოვა, რო! ვთხოვე, მამელანდეთ-თქო? მიხედოს იმ თავის სამოთხესა! მე, აქა არა, მინდა წყალში დავიღრჩევი და მინდა კიდევ ისა... ცეცხლში დავინვეზი! ეგრე!"

გაბრაზებულმა დასტაცა ბადეს ხელი და თავის საყვარელ ჩქერში შევარდა. ბადე მოისროლა და ჩაფინა თავისებურად.

ოჰო, ჰო, რა ეამა! რა ეამა ის გრილი აღერსი შიმველ ფეხებზე... ის წყლის იდუმალი ბუტბუტი... გახურებულ შუბლზე ის ნოტიო ნიავის ფერება... აგე, თევზიც გასხმარტალდა ბადეში!

"აბა, თუ დავიღრჩე! აბა!" - გაიფიქრა გულმოცემულმა, თითქმის ძველებურად ბედნიერმა გიჟ-გოგიამ და სწორედ ამ დროს, წყალმა ფეხქვეშ მოზრდილი ქვა გამოაცალა და შეუქანდა, შეუქანდა გული და ზუსტად მაშინ მზესაც შავ-შავი ღრუბელი აეფარა... მხიარული ბზინვა-ბრჭყვიალი საშინო ბინდებუნდად იქცა. წყლის რაკრაკა ბუტბუტი რალაც შემპარავი, ბედისწერასავით, იდუმალი ხმით შეიცვალა და დაზაფრულ გიჟ-გოგიას სიცოცხლეში პირველად შეეშინდა თავისი სანუკვარი მდინარის... ბადეც იქ მიატოვა და სლიპინა ქვეზე ბორძიკ-ბორძიკით ნაპირისკენ მიანყდა. გული ყელში მობჯნოდა. მუხლები ეკეცებოდა. მდინარე კი თითქო ჩაფრენოდა და არ უშვებდა.

ძლივს გააღწია. ღონემიხდილი რიყეზე ჩაჯდა და ყურებში აბრაგუნებულ გულის ხმას ჩაულრმავდა.

მეორე, მესამე დღეს ხან ვის ეხმარა სათოხნში, ხან ვის. სოფელს მისი სიზმრის ამბავი მოსდებოდა. ზოგი ეღლაბუცებოდა, ზოგს ებრალებოდა...

ბადრია მენისქვილის დედამ კაკლის ჩეროში გვერდით მოისვა და უთხრა:

- ბიჭო, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი! მართლა იმ მდინარეში ბადის ტურტურს მისტირი ამოდენა კაცი? გიჟ-გოგიამ თავი ჩაჰკიდა.

- რათ აღარ თევზაობ? - არ მოეშვა ქალი.

- განა არ იცო... სიზმარში მოლანდებულმა მითხრა.

- ვიცი, ვიცი. მოგვარი ყური. აქეთ მამხედე, რა გითხრა. დარდი მოგკლამს თუ მდინარე, ერთი არაა? ნეტა იმ სპირიდონას ყრანტალს რა ყურს უგდებ? რასა დნები სანთელივითა! დაიჭი ი შენი ბადე და ითევზავე! გული გაიხარე, ბევრი იცის სპირიდონამა!

გიჟ-გოგიამ კი თქვა:

- ეგრეცა ვქენი, მარა...

- მარა რა?

- მალრჩობდა. რალა რა...

- რაზე შეატყე, რო?

- ქვები გამამაცალა ფეხქვეშიდანა და მივექონდი...

დედაკაცი ჩაფიქრდა. მერე მუხლზე ხელი დაჰკრა გიჟ-გოგიას:

- ბიჭო, როგორ აქამდი ვერ მივხვდი! იმანა, სპირიდონამა, ქსანზე თქვა!

- ქსანზე?

- ქსანზე, მაშ! შენა ქსანზე არ თევზაობ ხოლმე?

- ჰო.

- ჰოდა, შენც ჩადი და მტკვარზე ითევზავე, შე დალოცვილო! მტკვარზე ხო არ უთქვამს!

გაიხარა გიჟ-გოგიამ. მტკვარი რა, იქავე არ იყო? შეყვარებულბივით ზედ იმის სახლნი არ ერთვოდნენ ერთმანეთს მტკვარი და ქსანი?!

მეორე დღეს მტკვარს მიაშურა. ახალი ბადით. გაიძრო შარვალი. ბადე მოიმარჯვა. წყალს მიადგა. თბილი თუაო და ფეხი ნაპირთანვე გააჭყამპალა წყალში. თვალი უფრო იქით გაეცქა. იქით, სადაც მდორედ, თანაბრად მოიზნიქებოდა სქელ-სქელი, საშიში ტალღები.

"სად იყო ამოდენა წყალი... რამდენია, ბიჭოოო..." - ფიქრობდა გიჟ-გოგია. პირდაღებული მიშტერებოდა მდინარეს, თითქოს პირველად ხედავსო. მერე მოტრიალდა, შარვალი ჩაიკვა და რიყეზე დაჯდა.

"მართალია პაპაჩემის პაპაი... დაიღრჩობი მა რა მოგივა ემოდენა წყალში. დროზე არ მითხრა, ბიჭოო?! ან აქამდე როგორ არ დავიღრჩე, ეგაა საქმე... ბედი რო მამელანდა... ბედი!"

გადიოდა დღეები, დრო ისევე თანაბრად, მდორედ მიედინებოდა, როგორც მდინარე.

გიჟ-გოგიამ მოიწყინა. ისე მოიწყინა, გიჟობითაც აღარ მიმართავდნენ, გოგიაობით დაუნყეს მიმართვა.

უფრო ხშირად ქსნის პირას, ერთ ამოჩემებულ ლოდზე იჯდა და ჯოხით სილა-კენჭებს ქექავდა.

ერთჯერ, ასე რომ იჯდა, შორიასლო ბიჭები თევზაობდნენ. ბადე კასრში რომ ჩაცალეს, ერთმა გამოსძახა:

- ჰეი! გოგია! აქ მოდი, ნახე რა ამბავი თევზია!

გიჟ-გოგია წამოიზლაზნა და იქით გასწია.

- ეს ვედრა შენია. მაგ თევზსა, რაც გინდა, ის უყავი! - უთხრა იმ ბიჭმა, რომელმაც დაუძახა. სხვებმაც მხარი აუბეს.

- შენია, შენი. რაც გინდოდეს, ის უყავი.

კარგად იცოდნენ გიჟ-გოგიას გულის დარდი.

გიჟ-გოგიამაც კასრს ხელი წაავლო და ისე, უბრალოდ გაიფიქრა, მოწყენილად: "მიჩუქნია თქვენთვის სიცოცხლეო!" - და თევზებიც უნდილი ტყაპატყუპით ჩაცვივდნენ წყალში.

კარგა ხანს გასცქეროდა იმათ კვალს. მერე კასრი სილაზე დადგა და გამოტრიალდა... მაღლობაც დაავინყდა. სულაც დაავინყდა ის ბიჭები...


მზე ჩადიოდა. გიჟ-გოგია ეზოს ჭიშკართან, ხის მორზე იჯდა. თონის პურს ღიღინდა და სადღაც იყურებოდა... არსად, მისათითებელში, კაცმა რომ თქვას...

ასკილზე შაში შემოჯდა და გალობას მოჰყვა.

ბინდ-ბუნდი ჩამოწვა. უფრო. სულ უფრო. გიჟ-გოგიას თვალზე ცრემლი გაუბრწყინდა. ლუკმას ცრემლი ჩააყოლა. მერე ასლუჟუნდა. თავი მუხლებში ჩარგო და გული ამოუჯდა. მხრები უხტოდა. ერთიანად ცახცახებდა, ახლა თვითონ ჰგავდა ბადეში მომწყვედულ, ასხმარტალბულ თევზს...

სიცოცხლის მჩუქებელი კი არავინ ჩანდა...

ანჯელასთან



სვტობუქმა თვალწინდენელი მინდვრები უკან მოიტოვა და სოფლებისკენ გადაუხვია. თაკარა ზაფხულისგან გამომშრალი მიწის ბულის ნაცვლად ღია ფანჯრებიდან ახლა მწიფე ვაშლის და საგვიანო ვარდის მოტკბო სურნელი შემოიჭრა.

კაფანდარა, მზეჩაქიდულმა დედაკაცმა მის გვერდით დედის მუხლებზე მჯდომ ბიჭუნას ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ჰკითხა:

- დაილაღე, ბაბო?
- ბიჭი დედას მიეტმასნა. მოიღუშა.
- დაიღლებოდი ამოდენა გზაზე. მაშ!

დედაკაცმა ეს მერამდენედ გაპარა თვალი ბავშვის დედისაკენ, მაგრამ ის უწინდებურად ფანჯარაში იყურებოდა და საუბარს არ აპირებდა.

- შენ რა გქვია, დედას ბიჭო? - არ მოეშვა ბიჭუნას დედაკაცი.

- ნიკა.
- სოფელში მიხვალ, ბაბო? შენს ბაბოსთანა, შენს პაპასთანა, არა?

- ანჯელასთან მივდივართ ჩვენ, - ბლევრით თქვა ბიჭმა. - უი! - პირზე ხელი აიფარა დედაკაცმა. - ნიკა! - ფანჯრიდან სახე მოაბრუნა დედამ. - რა უჭირს შვილო, ბაღლია. ამან რა იცის, სად რა თქვას, - აჩქარებით ალაპარაკდა დედაკაცი, - თქვას. განა რა მოხდა. მეც იმ კუდიანთან არ მივეტეები? ჭირი ჩემ თავსა... გული უკან მიმეჭაჩება, ფეხები - წინ. გაქრა იმის თავი! მითომ რამე იცის. რას იზამ! მკითხავ-მარჩიელის საქმე ეგრე... კი ვუფარდებთ ხახაში და...

ახალგაზრდა ქალმა ისევ ფანჯარაში გაიხედა. "იდიოტო! არაკაციო!" - ფიქრობდა ნერვიულად. - "კრეტინო... არაადამიანო... აი, რა დღეში ჩამაგდეს აი, სად ვარ შენი არაკაცობის წყალობით! ახლა ეს უტვინო დედაკაცი გადაამეკიდა. ლმერთო, მალე მაინც მივიდოდეთ! კრეტინო! არაკაციო! მეზიზღები..."

- დე, ნახე, ხბო! - დაჰქანა ბიჭმა.
- დედაკაცი ისევ არატრატდა.
- გიყვარს, ბაბო, ხბო? იი... რა ნიკორა ხბო მყავს, რო იცოდეს! წამო ჩემთან! ეთამაშე ნიკორასა, ჰა? წამოხვალ ჩემთანა?

ბიჭმა თავი გაიქინა. - უი, რათა ბიჭო?! იცი, რა ეზო-კარი მაქ? აფმსისხო ვაშლი... მსხალი... ლეკვიცა მყავს. ორი, განა ერთი!

დედაკაცი გაჩუმდა და ბიჭს მიატკერდა, აბა, რა ლეკვების სხენებამო.

- რა ქვითა... - შეეკითხა ბიჭუნა.
- არც არაფერი. ჯერ არ დამირქმევია.
- ლამაზებია?
- ლამაზები, მაშ!
- იკბინებიან?
- უი, რა დროს იმათი კბენაა, ბაბო! ემოდენები არიან,

აი!
დედაკაცმა ორი მუშტი დაანახა. ბიჭს გაეცინა.

- მაშ, არა მკადრულობ, არ მოდიხარ ჩემთანა, არა? - არ ეშვებოდა დედაკაცი.

ბიჭი აირია. უხერხულად შეიშმუშნა.

- ლეკვი რო გაჩუქო, მაინც არა?

სირუმე ჩამოვარდა. დედაკაცმა ოდნავ გაჰკრა იდაყვი ბიჭის დედას.

- დახე, დახე... ამას დახე, გოგო... ყურის ბიბილიონათ რო განითლდა, ქა!.. დადა-დადა, რა ქნა ლეკვის ჩუქებამა!

- დეე, - თქვა ბიჭმა ვედრებით.

- რა დე! რა დეე! ქალბატონო, არაა საჭირო! თქვენ თქვენი გზით წახვალთ, ჩვენ ჩვენით. ამან კი ერთი წელი ლეკვზე უნდა ინერვიულოს ტყუილუბრალოდ. ისეც არ გვაკლია სანერვიულო...

დედაკაცი გაჩუმდა. მზით გახუხული, ფუსფუსა ხელები მუხლებზე დაიწყო და კაბის სწორებას მოჰყვა.

"ჰმ! ნეტავ ეს რაზე უნდა მიდიოდეს ანჯელასთან?" - ფიქრობდა ახალგაზრდა ქალი, - "ალბათ ძროხა აღარ იწველებ... ან კიტრი არ ისხამს..."

იდიოტო! არაკაციო!

არაკაციო... იმ კახაზე, იმ არაქალზე როგორ გაგვცვალე... რატომ...

რატომ, საყვარელო...

რა დაგაკელი...

ჩემო სიცოცხლე... ჩემო სიყვარულო...

ერთადერთო..."

- ტყუილუბრალოდ რათა... განა მართლა ვერ ვაჩუქებ? - ჩაესმა დედაკაცის ხმადაბლა, დარცხვენილად ნათქვამი. მოუტრიალდა და ძალიან მართალი მზერით დაბნეულმა ჰკითხა:

- თქვენც ანჯელასთან მიდიხართ, არა?

- მეც, მაშ!

- ნეტავ, კარგად მკითხაობს?

- რა ვიცი, შვილო, მაქებარცა ჰყავს და მამაგებელიც. ეგეთ ადგილას, მანამ მიდიხარ, მაქებრებისა უფრო გჯერა. ეგრე...

- ჰო, ეგ ეგრეა.

ავტობუსი სტუნვითა და ჯიყვიციით შეუყვა აღმართს.

- ადრეც ყოფილხართ ანჯელასთან? - ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალმა დედაკაცს.

- არა, შვილო. ნამყოფები ბევრი ვიცი, მაგრამ მე არა ვყოფილვარ. ესლა, ე ბიჭის წერილი რომ არა, ანჯელასთვის მეცხელა?! რთველი კარზეა...

- ბიჭი?

- შვილიშვილზე გუებნები, შვილო, აღმასივით ბიჭი მყავს... შვილიშვილი. დამეჩაგრა, მოუკვდეს ბაბო. დედა არ შერჩა და მამა ცოცხალი... ვაი, ჩემ დღესა.

"ღმერთო ჩემო..." - გაიფიქრა ახალგაზრდა ქალმა.

დედაკაცმა თვალეზე გაისვა ხელი.

- ბაბოს ბიჭია, ბაბოს გამოზრდილი... სამი წლისა დამირჩა ხელზე. აბა, მითხარი, იმას ელაღატებოდა? თორე მე რალათ მინდოდა მზის შუქი ჩემი შვილის დამმარხავსა...

- დანყნადით. - ხელზე ხელი დაადო ახალგაზრდა ქალმა.

- ჰოდა... უმაღლესი დაამთავრა ბაბოს ბიჭმა და შენაო, როგორც საუკეთესო სტუდენტიო, დახვიეს ხელი და სამი თვით გამიგზავნეს... შუა დეკემბრამდის...

- სად?

- სამუშაოდ, შვილო. ცხრამთასიქითა. გერმანიაში.
 - რა უჭირს მერე... რა შორია. ჩემი დისშვილიც იქაა. სწავლობს.
 - ღმერთმა გაგისაროს... ჰოდა, ნუხელის წერილი მომიტანეს. ჩემ ბიჭს მოეწონა, ბაბოო, ესეთი და ესეთი ქვეყანაო... ესეთი და ესეთი სამუშაოაო... კაი ხელფასიო... ყველაფერიო...
 - ჰოდა, აბა...
 დედაკაცი ახლო მიეტმასნა ახალგაზრდა ქალს და შეთქმულივით ჩასჩურჩულა:
 - გოგოებიო!
 - რა?
 - გოგოები ჰყავთ აქა ლამაზებიო...
 - მერე რა?
 - რაღა რა! გადამთიელი ქალისთვინ მინდა შვილო? გადამთიელი ქალი მიმისხედამს ჩემ ნაფერებ ბიჭსა? ბაბოს ბიჭსა?
 - ჰოო...
 - აგე! შენაც ჰოო, მეუბნები. ჭკუაში დაგიჯდა. გოგიაანთ რძალმა კიდევ, მითომ რაო, მადლობაცა თქვას იქაურმა თუ იკადარაო!.. გაუშვი, ბედი ნახოს, აქ წვალეზასა, იცხოვრებს იქ მეფურათო, ქა! გაიგე, შენა?!
 - ჰმ...
 - მაშ! რო აღარ დამუნა პირი! რაღაცის ჯანდაბა ქალაქელობას მისცემენო. მერე როცა უნდა, აქ ჩამოვა, ისე, - იქაური ერქმევაო. ავდექი და ვუთხარი, ჩემ მახოსა არც ქალაქელობა აკლია აქა და არც სოფელელობა მეთქი! უცხო მინაზე რათ უნდა დამირჩეს, მინა არაა ესათქო?! - გაიქნია ხელი ფანჯრისკენ.
 - იქაო, განა ეგეთი წვალეზაა, აქ როაო, გოგიაანთ რძალმა, მითომ გაეგება რამე! უწვალეზელი სამოთხის ბალი იყო და მორჩა ისიცა თქო, - ეგრე ვუთხარი. სულ ენა მეზორკებოდა ბრაზისგანა. ეს ქვეყანა წვალეზისათქო. - ეგრე ვუთხარი, - ჰოდა, თავისას ეწვალოს ყველა! თავისაში ნანვალეზებს უფრო ტკბილ ლუკმასა სჭამს-მეთქი! მაშ!
 - მერე? იმან რაო...
 - რაო! გაიკრიჭა, როგორც არ იცის! შენაო, მოძველებულად ამბობო. მახოსა, სწორედ რო კაი გაფროცქელი უცხოელი ქალი მოუხდებო. მახოსაო, ქალო! ბაბოს ბიჭსა! ძან იცის მერე იმ უცხო გომბიომა ჩემ მახოს წინაკი წინილი ურჩევნიან თუ ნივრისა! რძე მიუტანოს უზომოზედა თუ მანონი!
 სიჩუმე ჩამოვარდა. დედაკაცმა ხელები მუხლებზე დაინყო და ჩაჩუმდა.
 ახალგაზრდა ქალმა ისევ ფანჯარაში გაიხედა.
 "ძროხაში არ ყოფილა საქმე... საქმე მატყილდაში ყოფილა... ან ფრიდაში... ააჰ! მაჰო! მაინ... როგორა აქეთ? მაინ ლიბე... მაინ ისა... მაინ სიცოცხლე... იჰ ლიბე დუ... მაინ საყვარელო...
 ღმერთო! ღმერთო...
 ეს ქალიც ცოდოა... ნუთუ ყველა ცოდოა ამქვეყნად?
 შენც ცოდო ხარ, იცი? ეგ კახაპც...
 ყველა...
 ყველა..."
 ფანჯარაში შემოჭრილმა თივისა და დასიცხული ვარდების სურნელმა გული აუჩუყა. სახე ბიჭუნას თმაში ჩამალა. ახლა შვილის სურნელმა დაათრო. ცრემლი მოერია. ანჯე-ლასკენ სვლა საანის. ბუშტივით ლამაზ ტყუილად და სისულელედ მოეჩვენა.
 "რა ტკბილია ყველაფერი... რა ლამაზია. ეს გზაც... ეს დედაკაციც...
 ნეტა აქ იყო ესლა, საყვარელო...
 შენთან მინდა... შენთან მინდა...
 შენ?
 შენც გინდა... შენც, შენც...
 ეგ გაივლის... გაივლის და ისევ ჩვენთან მოხვალ. ეგ უბრალოდ, სისულელეა...
 ისევ ერთად ვიქნებით, არა, საყვარელო?"

ისევ ერთად ვიქნებით. სულ... სულ..."
 - ეგაა, მოვედით. ჩავდივართ, - თქვა დედაკაცმა. სუფთა ჰაერის სახეზე მოლაშქვინება და მინაზე დაბიჯება ეამათ. ავტობუსი არისრბდა და გზას გაუდგა.
 - ესა, მაღლითა ორ სოფელშიც ავა და უკან ჩამოტრიალდებ, - თქვა დედაკაცმა, - ნამო, შვილო, ერთად ვიართოთ...
 - მე აღარ მინდა, - თქვა ქალმა.
 - რაო, შვილო? - გაუკვირდა დედაკაცს.
 - აღარ მინდა, ანჯელასთან, გადავიფიქრე. დედაკაცმა ერთი-ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა და ცნობისმოყვარედ, გაფაციცებით ჩააშტერდა. მერე ნელ-ნელა გადაქე-გადმოაქნია თავი.
 - დადადადა... ქალის გაჩენის დღე დაინვა, ქალის. ცოტა ხანს კიდევ უყურა, მერე ხალისიანად თქვა:
 - რაკი გულმა ეგრე გითხრა, ეგრეცა ჰქენი, შვილო! ქალის გული ოხერია, ტყუილათ არაფერს იტყვის...
 ბიჭი აქეთ-იქით იბრიცებოდა. მზით გაჯერებულ სიმწვანეს მთლიანად დაეპყრო მისი გულისყური. სიმწიფით, სინოყვირით საესე ჰაერს თითქოს დაეირო.
 - მაშ, არა? - ერთხელაც ჩაეკითხა დედაკაცი ქალს. ქალმა თავი გააქნია.
 - არა, არ მინდა. ისედაც ვიცი ყველაფერი. ის ავტობუსი ჩამოივლის და გავყვებით.
 ბიჭმა გაკვირვებით ახედა დედას, კარგა ხანს ჩუმად იყვნენ.
 - იცი, რას გეტყვი? - თქვა ბოლოს დედაკაცმა, - რალაც, მეც აღარ მიმიწევს გული.
 - "ისედაც ვიცი, საყვარელო" - ახლა გულში გაიფიქრა ქალმა, - "სხვა არაფერი მინდა გავიგო".
 - გული მაინც უკან მექაჩებოდა, აკი გითხარი კიდევ და ამათ ჭკუაზე ვიარო?!
 დედაკაცმა მუხლებზე დაიკრა ხელისგულები.
 - მეც ვიცი, განა! მეც ვიცი! აქა ბრჭყვიალებს ჩემი მახოს ბედის ვარსკვლავი! ბაბოო, ასე მწერს, ნეტავ ერთი ჩვენს ეზოში გამაბარა... მეტკვარზეც მათეგზავა, რთველი მამართველვინაო... ეგრე მწერს, ჩემი მალხაზი! ჩამოვა. იქ რათ დაურჩება ვისმე. აქ ჩამოვა თავის ბებერ ბაბოსთანა... აქა მისი სული და გული და რათ არ ჩამოვა! მე რო ჩემი ბებერი გული მეტყვის ჩემი საქმისას, ი კუდიანმა ანჯელამ რა უნდა მითხრას იმისთანა. რალად მინდა...
 ბიჭს მოუტრიალდა და მხიარულად დასძახა:
 - არაა, ბაბო?!
 ბიჭს ლოყები ავარდისფრებოდა. გაოფლილ შუბლზე ქოჩორი მისწეებოდა.
 - ესლა ჩამოივლის ჩვენი ავტობუსი, ჩავჯდეთ შიგა და ჰეროიო... ნიკორასთან! ლეკვებთან! სახელებიც შენ დაარქვი, ბაბო და მერე, რომელსაც ხელს დაადებ, იმას გაჩუქებ. ჩემი მახო დამეფიცება!
 - დეე... - ახედა ბიჭმა დედას.
 - ძალიან გინდა? - გაუღიმა ქალმა.
 - ძალიან. ნავალთ, დე?
 - ჰო, ნავალთ.
 - მართლა?!
 - ჰო, მართლა, მართლა.
 - აუ, დეეე!
 - ლოგინებიცა მაქ... საბან გობანიცა... მაღლითა ოთახებში დაგანვნი, განა დაბლითაში. დავჯდეთ... ვიქაქანოთ. გემრიელი პურიცა ვჭამოთ. არაა, ბაბო? ამაღამ ჩემი სტუმრები ხართ. ამაღამ რათა!.. მანამაც გავგებარდებათ...
 მზე საძოვრებისკენ გადახრილიყო. ჰაერს ოქროსფერი ბურუსი შეერია. ნიავს შორეული მინდვრებიდან და ჭალე-ბიდან მათრობელი დეა თითქოს ძალიან, ძალიან ნაცნობი სურნელი მოჰქონდა...





დასანანია, რომ იესო ქრისტე არ კითხულობდა რომელ პოეტებს. თეორიულად, მას შეეძლო ლათინური ენა სცოდნოდა, ვინაიდან რომის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ჰქონდა საამისო შესაძლებლობა გააჩნდა. თუმცა, არც პილატე პონტოელი იყო პოეზიის დიდი მოყვარული. მას რომ ლექსები ეკითხა და ვერგილიუსის ეკლოგებს გასცნობოდა (რომლებიც იერუსალიმის მოვლენებამდე კაი სამოცდაათი წლით ადრე დაინერა), უფრო ყურადღებით მოეკიდებოდა იესოს ნათქვამს. პილატეს შეიძლებოდა შეეცნო მასთან მიყვანილი ადამიანი, რომლის გამოცხადება, ზოგი სწავლულის სიტყვით, ნანინასწარმეტყველები იყო ვერგილიუსის “ბუკოლიკებს” მეოთხე ეკლოგაში. პილატეს რომ ეს ლექსი სცოდნოდა, შეეცდებოდა ქრისტე გადაერჩინა. თვით ქრისტეს რომ სცოდნოდა - უკეთეს ხვედრს ირგუნებდა.

რა გაეწყობა, ასე მოხდა: ვინც უნდა წაიკითხოს, ის არ კითხულობს, წამკითხველნი კი არაფერს არ წარმოადგენენ. არც იესომ და არც პილატემ არ იცოდნენ მეოთხე ეკლოგა და ეს ნაწილობრივ აპირობებს ჩვენს ახლანდელ უსიხარულო მდგომარეობას. პოეზიის კითხვა მრავალი ცდომილებისაგან გვიფარავს. ვერგილიუსის პოეზია ამის საუკეთესო ნიმუშია. მის გარეშე ჩვენი ცივილიზაცია უბრალოდ წარმოუდგენელია. ჩვენი აზროვნების წესი შეტანილად შედგება, მიზეზი კი ამ პოეტის ლექსებშია საძიებელი. იესოს ის, ალბათ, მაინც ვერ უშველიდა, მაგრამ სწორედ მან, ვერგილიუსმა თავისი “ენეიდას” მეექვსე წიგნით გამოიხმო სასიცოცხლოდ დანტეს “ღვთაებრივი კომედია”. ეს კი მრავლისმეტყველი ფაქტია.

ვერგილიუსი დაიბადა ქრისტეშობამდე, 70 წელს, მანტუას მახლობლად. გარდაიცვალა ორმოცდაცხრა წლისა, ბრინდიზში. ის ქრისტიანობაზე უფროსი იყო. მისი თანატოლი - შვიდი წლით უმცროსი - გახლდათ ოქტავიანე ავგუსტოსი, თანამედროვენი იყვნენ ჰორაციუსი და ოვიდიუსი. ერთადერთი გამოსახულება ვერგილიუსისა იატაკის მოზაიკაზეა აღბეჭდილი. ეს მოზაიკა მისი სიკვდილის შემდეგ გაკეთდა, სუსაში, ტუნისში. ვერგილიუსი მოზაიკაში მაღალია, გამხდარი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ამშვენებს. ერთდროულად ენტონი პერკინსსაც წააგავს და მაქს ფონ სიუდოვსაც.

ვერგილიუსის პოპულარობის მიზეზები ბოლო ორი ათასწლეულის მანძილზე მის თხრობით ოსტატობაში და წარმოსახვის სიძლიერეშია საძიებელი. სხვა პოეტებთან შედარებით მის ლექსებში ჭარბადაა მოვლენები: მოქმედება “ენეიდას” ფრაზაში უფრო მეტია, ვიდრე ოვიდიუსის “მეტამორფოზებში”. ვერგილიუსი გატაცებით იკითხება. გარკვეული აზრით, ვერგილიუსი ჰომეროსზე საინტერესო საკითხავია, იმ ჰომეროსზე, რომელსაც ის, ალბათ, ბაძავდა კიდევ ჭარბი აღწერითობის გამო. ვერგილიუსის უპირატესობა ჰომეროსთან ის იყო, რომ შვიდი საუკუნით გვიან წერდა. იმხანად ვიზუალური ხელოვნება საკმაოდ განვითარდა, პოეტებს აღარ სტანჯავდათ ხილვადი სამყაროს ზუსტი აღწერის აუცილებლობა.

“ბუკოლიკებში”, ისევე როგორც “გეორგიკაში”, ვერგილიუსი ხშირად აღწერს ბუნებას. თუმცა მისთვის ბუნება კონკრეტულ ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს საგმირო ქმედებათა ფონს. ვერგილიუსის გამოსახული გარესამყარო მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ ჰომეროსისეულ, არამედ თეოკრიტიკულ გარესამყაროსგან. თეოკრიტიკე ბრწყინვალე ალექსანდრიელი პოეტი იყო, მან შექმნა იდილიური პოეზია, როგორც ეპიკური და დრამატული მიმართულებების ანტითეზა, ე.ი. იმ მიმართულებებისა, რომელიც კლასიკური ხანის ბერძნული პოეზიისთვის იყო ნიშნული. თეოკრიტიკე მეშვეობით მსოფლიო ლიტერატურაში ფეხმოკიდებული ნაზი მწყემსები და ნიმფები ვერგილიუსთან უკვე იტალიელი გლეხების ნიშნებს იძენენ. ისინი კვლავინდებურად საუბრობენ პოეზიასა და სიყვარულზე, მაგრამ უკვე ქონებრივი საკითხებისადმიც ამჟღავნებენ ინტერესს.

პირველი ასწლეულის მეორე ნახევარში, ვერგილიუსის მოღვაწეობისას, რომში სასტიკი სამოქალაქო ბრძოლების ჟამი იდგა, იყო ომები, არეულობანი, მიწის კონფისკაციები. ინდივიდის არსებობას საფრთხე ეშუქებოდა ისევე, როგორც ამავე ასწლეულის ოცდაათიანი წლების ბოლოს და ორმოციანი წლებში. ადამიანებს სტაბილურობა და მშვიდობა სწყუროდათ და ამიტომაც ვერგილიუსმა პასტორალური დეკორაცია აირჩია, როგორც თავისი პოეზიისთვის, ისე რეალური არსებობისათვის. მიწა ერთადერთ საყრდენად იქცა “ბუნებასთან საზიარებლად”. ვერგილიუსის პოეზიაში სასონარკვეთილების ის ნოტა აღწერს, რომელიც სიბრძნის დედაა.

ბუნება ვერგილიუსისათვის უფრო მეტად დაკვირვების საგანი იყო, ვიდრე სიმბოლური მნიშვნელობის ფენომენი ან ფიზიკური შრომის ობიექტი. ის იყო პირველი ჯენტლმენი-ფერმერი იმ მრავალ პოეტთა შორის, რომელთა სიაც ჩვენს ასწლეულში რობერტ ფროსტმა დაასრულა. “გეორგიკაში” მოტანილი მცენარეების მოვლა-შენახვის წესები პოეტმა ალბათ მონებს და მებაღეებს გამოჰკითხა. და ეს დეტალები, ზოგჯერ ხელოვნურობის ელფერი რომ გადაჰკრავს, საშუალებას აძლევს პოეტს, პირველ პირში თხრობისგან დაიზღვიოს თავი. ის თითქმის არსად იყენებს “მე” ნაცვალსახელს, რითაც ირიდებს მისივე თანამედროვეების და შთამომავლების თანამდევ ეგოცენტრიზმს. მოკლედ, ვერგი-

ლიუსი ობიექტივისტია და ადამიანს უყურებს, როგორც გამოჩენის მოვლენას და არა როგორც თავის ალტერ ეგოს. მას სავსებით არ ახასიათებს ნარცისიზმი, გაუცნობიერებლად დემოკრატიულია. ამიტომაც არ ატყვია მის ლექსებს აპრიორული პოეტური აპლომბი და ამიტომაც წაიკითხავენ მას შემდეგ ასწლეულში, თუკი, რა თქმა უნდა, ამგვარი ასწლეული დადგება.

ერთადერთი რამ, რის გამოც საყვედურობდნენ ვერგილიუსს შთამომავალნი, ეს მისი თბილი დამოკიდებულება იყო ოქტავიანე ავგუსტუსისადმი. ამის მიზეზი ისევ და ისევ მშვიდობის და სინყნარის სურვილი გახლდათ. პოეტი აღიარებასაც ესწრაფვოდა, რაც ბუნებრივია. და მართლაც, ოქტავიანემ ყოველივე ეს მიანიჭა რომაელებს. ვერგილიუსი ოქტავიანეს იმიტომ აღუვლენდა ხოტბას, რომ მათ სკოლის წლები ერთად ჰქონდათ გატარებული. ისე კი, იმპერატორისადმი პატივის მიგება ჩვეულებრივი ამბავია. ჩემი აზრით, ვერგილიუსს გულწრფელად უყვარდა მასზე უმცროსი ოქტავიანე. ეს სიყვარული, მე მგონი, უფრო შემყნარებლობით და მსუბუქი დამცინაობით იყო შეფერილი და არა ალტაცებით. ვერგილიუსი - მკვლევარი და მჭვრეტელი, მაშასადამე, პასიური საქმიანობის ადამიანი, ცდილობდა ბედის რჩეულ, მოქმედ ოქტავიანესთვის გეზი მიეცა. ოქტავიანე "ენეიდას" კითხულობდა და ამიტომაც დასდეს ბრალი ვერგილიუსს მის ქება-დიდებაში.

ვერგილიუსის ავტოუბიტიფიად მიჩნეულ სტრიქონებში ნათქვამია, რომ მან "უმღერა საძოვრებს, სოფლებს, ბელადებს". აქ მთავარია სიტყვა "უმღერა"; ვინაიდან პროზაიკოსისაგან განსხვავებით, პოეტის ნაწარმოებს შინაარსი არ განსაზღვრავს. განსაზღვრული, ამ შემთხვევაში, ხმის ტემბრია, დიქციაა, შერჩეული და გამოყენებული სიტყვები. ვერგილიუსი სავსებით წინასწარგანუჭვრეტელი პოეტია, არა იმდენად მოთხრობილი ისტორიის, არამედ სიტყვებთან დამოკიდებულების გამო. მისი სიკვდილის შემდეგ ხშირად გამოთქვამდნენ გავრცელებულ აზრს, ერთგვარ საყვედურს, ცხადია, მისივე მისამართით - ეს პოეტი ჩვეულებრივ სიტყვებს უჩვეულოდ იყენებსო. ეს შენიშვნა, უპირველეს ყოვლისა, "გეორგიკებს" ეხებოდა. აქ ვერგილიუსი დამუშავებულ მიწებს, უმღერის და ბოლომდე ანდობს თავს სასოფლო-სამეურნეო ანტურაჟის ალმნიშვნელ ლექსიკას. ამგვარი სიტყვები მანამდე იშვიათად იყო "ამეტყველებული" პოეზიაში. ამ ანტურაჟის მრავალგვარი ნაირსახეობაა ჩამოთვლილი ნაწარმოებში. და რაც მთავარია, ყოველივე ეს სიმბოლური მნიშვნელობით არ არის გამოყენებული.

ჩემი აზრით, ვერგილიუსს სურდა აერიდებინა სტილისტური კლიშეები, ამით იყო განპირობებული ეს ობიექტივიზმი. პოეტური მეტყველება იმხანად უკვე საკმაოდ დახვეწილი გახლდათ. ამ ობიექტივიზმით პოეტი პატივს მიაგებდა თავის სახელოვან წინამორბედ ლუკრეციუსს, რომელსაც ეკუთვნის ლათინურ ენაზე დანერვილ პოემათა შორის საუკეთესო: "საგანთა ბუნებისათვის". ვერგილიუსი, უპირველეს ყოვლისა, რეალისტი იყო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეპიკური რეალისტი, იმიტომ, რომ რეალობა თავისთავად უკვე ეპიკურია. ვერგილიუსისთვის სამყაროს გაგების ერთადერთი გზა ვრცელი ნუსხების შედგენა გახლდათ და რაც გამოტოვა "ბუკოლიკებში" და "გეორგიკებში", "ენეიდაში" შეიტანა. მისი პოეზიის კუმულაციური ეფექტი - მკითხველის საიმისო განცდაა, რომ ამ ადამი-

ანმა სამყაროს კლასიფიცირება მოახდინა. ვერგილიუსის საუბარი მცენარეებსა და პლანეტებზე, ნიადაგებსა და ფიქრებზე, გრძობებსა და ადამიანების ბედზე, მიმზიდველია და მომზიბლავი. პოეტი მსხვილი პლანით წარმოაჩენს ყოველივეს.

ბიბლიას ბევრი ადამიანი წერდა. ვერგილიუსმა კი მარტომ დანერა "ბუკოლიკები", "გეორგიკები" და "ენეიდა". მისი მცდელობა სამყაროს ახსნისა ისეთი ზედმინევენიტი იყო, რომ ჯოჯოხეთში ჩასვლაც კი მოუწია. ვერგილიუსის აღწერები ძალზე დამაჯერებელია, ვინაიდან არცერთ სქოლასტიკურ დოქტრინას არ ეკუთვნის. რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება, რომელსაც ენეასის მამა ანქისე გამოთქვამს, ყალბია: ის არ სცილდება თვითონ პოეტის ცხოვრების ფარგლებს. ვერგილიუსი წარსულს საქებარ ელფერს ანიჭებს და მაინც, სიამაყე რომის მომავლის გამო, რომელიც "ენეიდას" სტრიქონებში გახმინადა, უბრალოდ სიამაყე როდია. ამ სიტყვებში იგრძნობა წარმართი კაცის იმედი. ეს იმედი ნაკლებად ეგოცენტრულია და უფრო ხელშესახებია, ვიდრე ქრისტიანის სასოება.

ო, რომაელო, დაისწავლე გაძლოლა ხალხის, ეს არის შენი ზელოვნება! -- ქვეყნის მოწყობა, მორჩილთ მიაგე პატივი და ურჩნი მოდრიკე.


ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, პოეტს სამი კითხვის გამო უხდება ჩაფიქრება: რისთვის, რატომ და როგორ იცხოვროს. "ბუკოლიკები", "გეორგიკები" და "ენეიდა" პასუხს გვაძლევენ სამივე შეკითხვაზე. და ეს პასუხები ერთნაირად გამოსადეგია, როგორც იმპერატორისათვის, ისე მის ქვეშევრდომთათვის, როგორც ანტიკურობისთვის, ისე ჩვენი დროისთვის. თანამედროვე მკითხველისთვის ვერგილიუსი იქნება ისეთივე მეგზური, როგორიც დანტესათვის იყო სამოთხის და განსანმენდელის გავლის უამს.

თარგმან ანდრო ბუჩინიძემ



ბერნარდ მალამუდი (1914-1986) დაიბადა ბრუკლინში. დაამთავრა კოლექჯი, შემდეგ კი - კოლუმბიის უნივერსიტეტი; მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბენინგტონის კოლექჯში. მის კალამს ეკუთვნის რომანები: "ასისტენტი" (1957), "ახალი ცხოვრება" (1961), "ჯერ იდიოტები" (1969), "დუბინის ცხოვრებანი" (1979), "ღვთის წყალობა" (1980), "რემბრანდტის ქუდი" (1973) და სხვ. მწერალს მიანიჭეს პულიტცერის პრემია, ორჯერ კი - ეროვნული პრემია. 1979-1981 წლებში მალამუდი გახლდათ ამერიკის პენ-ცენტრის პრეზიდენტი. 1981 წელს ამერიკის აკადემიამ და ხელოვნებისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა მწერალი დააჯილდოვეს ოქროს მედლით.

ბერნარდ მალამუდი



მოდელი

სენსის დრო. ცხრა საათს გადაცილებული იყო, როდესაც მან ზარი დარევა და მასპინძელმა მაშინვე შემოუშვა ქალი. მისტერ ელიჰუს, სამოცდაათი წლის ჭალარა ბერიკაცს, ცოტა არ იყოს, აღელვებდა ახალგაზრდა ქალის დახატვის პერსპექტივა.

დაახლოებით ოცდაშვიდი წლის, სადა გარეგნობის მოდელი მხოლოდ ლამაზი თვალებით იპყრობდა ყურადღებას. ლურჯი ლაბადა ეცვა, თუმცა გაზაფხულის უღრუბლო ამინდი იდგა. მან ოდნავ შეათვალიერა მხატვარი და თამამად შევიდა ოთახში.

"გამარჯობა", თქვა მხატვარმა და ქალი საპასუხოდ მიესალმა.

"მშვენიერი გაზაფხულია", შენიშნა ბერიკაცმა, რომელმაც არ იცოდა, რაზე დალაპარაკებოდა მოდელს, "ზეზი უკვე შეიფოთლა".

"ტანსაცმელი სად გავიხადო?", ჯიქურ იკითხა ქალმა. მისტერ ელიჰუმ მისი სახელი იკითხა და გაიგო, რომ მოდელს მისი პერი ერქვა.

"შეგიძლიათ, სააბაზანოში გადაიცვათ, მისი პერი, ან, თუ გნებავთ, ჩემს ოთახში. იქ უფრო თბილა, ვიდრე სააბაზანოში".

მისის პერიმ გულგრილად შენიშნა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, მაგრამ მაინც სააბაზანოში გადაცმა ერჩივნა.

"როგორც გინდათ", გაუღიმა მისტერ ელიჰუმ.

"თქვენი ცოლი აქაა?", დაინტერესდა სააბაზანოსკენ მიმავალი ქალი და ოთახს სწრაფად შეავლო თვალი.

"არა, ქვრივი ვარ", მიუგო მხატვარმა, "ჩემი ქალიშვილი კი დიდი ხნის წინ ემსხვერპლა უბედურ შემთხვევას". ქალმა საუბარი შეაწყვეტინა და ბოდის მოხდით უთხრა, გადავიცვამ და ახლავ დავბრუნდები.

"ნუ იჩქარებთ", უპასუხა მისტერ ელიჰუმ, რომელიც სიამოვნებით ელოდა სენსის დასაწყისს და სურდა, გაეხანგრძლივებინა ეს მოლოდინი.

მისის პერი სააბაზანოში შევიდა, მალე შემობრუნდა და საბანაო ხალათი გაიხადა. ბერიკაცს თვალი მოსტაცა ქალის ნატიფმა მხრებმა. მოდელმა იკითხა, როგორი პოზა მივიღო, მაგრამ მისტერ ელიჰუმ არაფერი უპასუხა. მან ფართო ფანჯრის მახლობლად დადგმული მაგიდის მომინანქრებულ ზედაპირზე საღებავების ორი ტუბის შიგთავსი დაასხა და მათ შერევას შეუდგა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ქალმა სიგარეტს მოუკიდა.

"იმედი მაქვს, საინინალმდეგო არაფერი გექნებათ, თუ დროდადრო მოვწევ?"

"არაფერი, თუ ამას შესვენებისას გააკეთებთ".

"ასეც ვაპირებდი".

თვალებდახრილი მოხუცი დიდხანს ურევდა საღებავებს. მას არც კი შეუხედავს ქალისთვის, ისე სთხოვა, ფანჯარასთან მიდგმულ ყვითელ სავარძელში ჩამჯდარიყო. ფანჯრიდან მოჩანდა ეზო და ახლად შეფოთლილი ხეები.

"როგორ დავჯდებ, ფეხები გადავაჯვარდინო?"

ერთ ადრიან დილას ეფრაიმ ელიჰუ ტელეფონით დაუკავშირდა ფერწერის შემსწავლელ სტუდენტთა ლიგას. მან აცნობა მდივან ქალს, რომ შიშველი ნატურის დახატვა სურდა და ეძებდა გამოცდილ, დაახლოებით 30 წლის მოდელს. "შეგიძლიათ თუ არა, დამეხმაროთ?" - მორიდებით იკითხა მისტერ ელიჰუმ.

"თქვენი გვარი არ მეცნობა", იყო პასუხი. "ადრე ხომ არ გქონიათ ჩვენთან საქმე? მართალია, ზოგი სტუდენტი მუშაობს მოდელად, მაგრამ მათ მხოლოდ ნაცნობ მხატვრებს ვუგზავნი ხოლმე". მისტერ ელიჰუმ მიუგო, რომ უნინ არასოდეს დაკავშირებია ლიგას. ისიც დაუმატა, მოყვარული მხატვარი ვარ და ოდესღაც ამ ლიგაში ვსწავლობდიო.

"სტუდია თუ გაქვთ?"

"მაქვს დიდი, კარგად განათებული ოთახი. ახალგაზრდა არ გახლავართ", საგანგებოდ აღნიშნა მისტერ ელიჰუმ, რათა მდივანს ეჭვი არ შეჰპარვოდა მისი თხოვნის სინრფელეში და არ ეფიქოა, რომ მას ქვენა ზრახვები ამოძრავებდა. "მრავალი წლის შემდეგ კვლავ გამიჩნდა ხატვის სურვილი. მოგეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ფერმწერისთვის შიშველი ნატურის ხატვის დაუფლება. პროფესიონალი არა ვარ, მაგრამ ხატვას სერიოზულად ვეკიდები. თუ საქირთა, შემიძლია მოგანოდოთ ცნობები ჩემი რეპუტაციის შესახებ".

ის დაინტერესდა, რამდენს უხდიდნენ მოდელებს და მდივანმა, პაუზის შემდეგ, უპასუხა, "ექვს დოლარს საათში".

მისტერ ელიჰუ სიამოვნებით დათანხმდა ამ თანხის გადახდაზე. მას სურდა, გაეგრძელებინა საუბარი, მაგრამ ქალმა მხარი არ აუბა, მხატვრის გვარი და მისამართი ჩაინერა, შემდეგ კი აღუთქვა, რომ ზეგისთვის ვინმეს ვაუგზავნიდა.

ეს იყო ოთხშაბათს. პარასკევს კი მხატვარს ესტუმრა მოდელი, რომელმაც წინასწარ ტელეფონით დააზუსტა

“როგორც გირჩევნიათ, ისე მოეწყვეთ, რომ თავი კომფორტულად იგრძნოთ“.

ქალი ოდნავ გაოცდა, მაგრამ მაინც ჩაჯდა სავარძელში და ფეხი ფეხზე გადაიდო. ლამაზი სხეული ჰქონდა.

“ასე კარგია?“

მისტერ ელიჰუმ თავი დაუქნია. “კარგია“, დაუდასტურა მან, “ძალიან კარგი“.

მხატვარმა საღებავთა ნაზავში ფუნჯი ამოუსვა, ბოლოს და ბოლოს თვალის შეავლო მოდელის შიშველ სხეულს და მუშაობას შეუდგა. ის დროდადრო უყურებდა ქალს, შემდეგ კი სწრაფად აცილებდა მზერას, თითქოს შიშობდა, ამით შეურაცხყოფა არ მივაყენო. სახეზე განზრახ განურჩეველი გამომეტყველება გადაჰფენოდა. აშკარად დაუდევრად ხატავდა, მხოლოდ იშვიათად ატყერდებოდა მოდელს. ერთხელ, როდესაც ქალი შეტრიალდა და ხეები შეათვალიერა, ბერიკაცი წამიერად დააკვირდა მას - სურდა, გაეგო, რამ მიიპყრო მოდელის ყურადღება.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოდელი აწრიალდა. მას ეჩვენებოდა, რომ მისტერ ელიჰუმ ახირებულად იტყეოდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ქალს მოთმინების ფილა აეგსო და ის ელდანაკრავივით წამოხტა ყვითელი სავარძლიდან.

“რა მოხდა, დაიღალეთ?“ იკითხა გაკვირვებულმა მოხუცმა.

“არა“, მიუგო მისის პერიმ, “მაგრამ, ღვთის გულისთვის, ამისხენით, რას აკეთებთ. მგონი, ფერწერისა არაფერი გაგეგებათ“.

მისტერ ელიჰუმ ტილოს სწრაფად გადააფარა პირსახოცი და შეიმშუშა. ისე დაიბნა, რომ ერთხანს ვერაფერი თქვა. შემდეგ ოდნავ ამოიოხრა და გამშრალი ტუჩები მოილოკა. ქალი მწყრალად უყურებდა და მოხუცს ისლა დარჩენოდა, ელიარებინა, რომ ფერწერაში სულაც არ იყო დახელოვნებული. მან თავი იმით გაიმართლა, რომ ორიოდ დღის წინ ყოველივე მკაფიოდ აუხსნა ლიგის მდივანს. მისის პერი კვლავ მდუმარედ და რისხვით უმზერდა მას. მოხუცმა დარცხვენით მოუბოდიშა ქალს: “გევედრებით, მაპატიოთ, რომ ჩემთან მოგიყვანეთ. სჯობდა, კარგად გამომეცადა ჩემი შესაძლებლობები და მაშინ დროს არ დაგაკარგვინებდით. ალბათ, მზად არა ვარ, ვა-

კეთო ის, რაც მსურს“.

“სულაც არ მანალვლებს, რამდენ ხანს უნდა გამოგეცადათ თავი“, გესლიანად მიაძახა მისის პერიმ. “განა მართლა დახატეთ ჩემი პორტრეტი? კარგად შევაძწინე, რა ხარბად უყურებდით ჩემს შიშველ სხეულს. არ ვიცი, რა მიზნები გამოძრავებდათ, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, დარწმუნებული ვარ, რომ მათ უმრავლესობას ფერწერასთან არაფერი აქვს საერთო“.

“წინდაუხედავად მოვიქეცი“, ამოიკვნესა მისტერ ელიჰუმ.

“მართლა ასეა“, ქილიკით დაუმომნა ქალმა, კაბა გადაიცვა და წელზე ქამარი მაგრად მოიჭირა.

“მხატვარი ვარ“, განაგრძო მან, “და მოდელად იმიტომ ვმუშაობ, რომ ფული მჭირდება, მაგრამ სიყალბეს მაშინვე ვამჩნევ“.

“უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდი“, ნაილულულა მისტერ ელიჰუმ, “კარგად რომ ამეხსნა სიტუაცია იმ ქალბატონისთვის“.

“ვნანობ, რომ ასე მოხდა“, დასძინა მან ჩახლეჩილი ხმით. “ქალები ყოველთვის მიზიდავდნენ, მაგრამ დაქვრივების შემდეგ არც ერთი მეგობარი ქალი არ მყოლია. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხატვას ხელახლა მოვკიდე ხელი. ნიჭიერებით არასოდეს გამოვირჩეოდი, ახლა კი საერთოდ დამიზინყნია ხატვა და არა მარტო ხატვა, არამედ - ქალის სხეულიც. არ მეგონა, რომ ასე ამაღლეებდით. მაპატიეთ, რომ შეგანუხეთ“.

“შენუხება ამინაზღაურდება“, მკვანედ მიუგო მისის პერიმ, “მაგრამ როგორ ამინაზღაურებთ შეურაცხყოფას?“

“არ მსურდა თქვენი შეურაცხყოფა“.

“მე ასე არ ვფიქრობ“, ჩაილაპარაკა ქალმა და ნუთით დაფიქრდა, შემდეგ კი უეცრად მოითხოვა, რომ მისტერ ელიჰუს ტანთ გაეხადა.

“მე?“ ჰკითხა გაოცებულმა ბერიკაცმა. “რისთვის?“

“უნდა დაგხატოთ. გაიხადეთ შარვალი და პერანგი“.

მისტერ ელიჰუმ გაუბედავად წაიხუმრა, სულ ახლახან მივატოვე თბილი საცვლის ტარებაო, მაგრამ ქალს არ გასცინებია.

მოხუცმა ნელ-ნელა გაიხადა ტანსაცმელი, თავისი სიშიშველისა რცხვენოდა.

მისის პერიმ სწრაფად, ხელის მკვეთრი მოძრაობებით დახატა ბერიკაცის სხეული. როდესაც დაასრულა, შავი საღებავის ნალენთში ფუნჯი ამოუსვა და ნახატი ერთიანად გადაჯღაბნა.


შემკრთალი, ენაჩავარდნილი მისტერ ელიჰუმ ხედავდა, როგორ ზიზღს იწვევდა ქალში, მაგრამ რიდით დუმდა.

ბოლოს მისის პერიმ ფუნჯი საქალაღელ კალათაში მოისროლა და სააბაზანოდან ლაბადა გამოიტანა. ამასობაში ბერიკაცმა გამონერა ჩევი დათქმულ თანხაზე. მისის პერიმ დაუდევრად ჩააგდო ჩევი თავის დიდ ჩანთაში და კარი გაიჯახუნა.

მარტოდ დარჩენილმა მისტერ ელიჰუმ გაიფიქრა, რომ ქალი, თავისებურად, მომხიბვლელი იყო, თუმცა გრაცია აკლდა. შემდეგ, სასონარკვეთილმა, ჰკითხა თავს, “ნუთუ ჩემს ცხოვრებაში მეტი აღარაფერი მოხდება? ნუთუ ეს ყველაფერია, რაც დამრჩენია?“ თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მარტობისთვის იყო განწირული.

შემდეგ მან პირსახოცი მოაცილა ტილოს და შეეცადა, პორტრეტი დამატებითი შტრისებით შეეგსო, მაგრამ ქალის სახე უკვე დავიწყნოდა.

ინგლისურიდან თარგმნა **თამარ ლომიძე**



გივი კლსაიშვილი

რეჰიონი დედას

სად გეჩქარებოდა,
ჩამომჯდარიყავ გზასთან ძელსკამზე
და დედის თხოვნა შეგესმინა,
დაგეცადა ცოტა ხნით მაინც.

ვისთან მიდიოდი, ვინ გელოდა ქალაქში,
სადაც ერთმანეთს ტკეპნიან ქუჩები და ადამიანები,
სადაც ათასი სიფათი ჩასაფრებულა ყოველ ნაბიჯზე,
სადაც ხეებიც ისე იყურებიან ზემოდან ქვევით -
ყოვლისმხილველებივით
და არაფერი აღარ აოცებთ,
არც თვითმკვლევლობა, არც მკვლევლობა
და აღარც კვლამა თანდათანობით,
თანდათან ხომ ყველანი ვკვლებით.
აღარ აოცებთ, არც ისინი ნაგავში რომ იქექებიან
და აღარც წყვილთა მშვიერ მკლავებზე
გადაწვენილი ღამეების ატორტმანება -
ცა რომ უკულმა ამობრუნდება
და ვარსკვლავები როგორ ჩნდებიან
ისიც კი მოჩანს.

სად გეჩქარებოდა,
რა მაგნიტი გიზიდავდა იქითკენ,
სადაც ყოველდღიურად კლავენ ერთმანეთს
და მრავალსართულიანი სახლის ფანჯრები
ველარაფერს ამჩნევენ საკუთარი ჩარჩოების გარდა.

სად გეჩქარებოდა,
ჩამომჯდარიყავ გზასთან ძელსკამზე,
ანდა სულაც,
გზისპირას ამოსულ ნარშავის ყვავილივით გაგელიმა,
კიდევ გეთქვა რამდენიმე სიტყვა
და ეკლები გადაგემალა,
რომელსაც დედა მუდამ ამჩნევდა,
რამდენიმე წუთით გაგეხანგრძლივებინა იქ ყოფნა -
დედის სიახლოვეს და გეყურა
დაკოჭრილ თითებში როგორ მალავდა
ჰაერს ვარდივით.

ცოტა ხნით დარჩი...
ეს სამი სიტყვა ჩაეჭვდა მენსიერებას
და ჩვეულებრივ სამკუთხედივით,
როგორც არ უნდა შეაბრუნო
ხომ სულერთია?!

ნეტავ, შენს კართან ღამე მეთია
და შორიახლოს, ხმაგაკმენდილს ჩემთვის მესმინა,
როგორ ამბობდა შებინდება თავის სათქმელს
შაშვის გალობით,
რა მოწყენილად მშვიდდებოდა პატარა ეზო,
რომელიც მარტო დარჩენილიყო შენთან ერთად
და ჩემს ჯიუტ და უდიერ ნაბიჯს ითვლიდა -
საღლაც, ქალაქისკენ
და ჩვენს შეხვედრას ერთი კვირით
სათუოს ხდიდა.



ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა,
ნახევარი საუკუნე ისე გაგვიქრა,
რომ რიგიანად ერთმანეთს ვერ გავესაუბრეთ,
რადგან მთავარი იყო საქმე -
სიცოცხლეს რომ აღემატება -
ენერგიული ნაბიჯებით
და არაფრისკენ მუდმივი სწრაფვით.

ახლა ვფიქრობ -
ღობის ძირას ამოსული ნარშავი შენ ხარ
და სულს მიკაწრავს შენი ეკლები
და ის ყვავილი ეკლებიდან ამოშვერილი -
არის წერილი,
რომლის წაკითხვა ვერ მოვასწარი,
ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა
და ყულფად იქცა დროის ბაწარი.

სად მეჩქარებოდა,
ჩამომჯდარიყავ ძელსკამზე და შენთვის მესმინა...

ახლა ჩავრგავ დაქანცულ თავს ჩემს ხელისგულში,
რომელიც თითქოს შენი კალთაა,
მერე კი გავშლი ხელეებს, რომ სადმე გადავიკარგო,
ვიდრე უკან დაგიბრუნდები,
ამ წასვლა-მოსვლას რაღაც ჰქვია
და რატომღაც დიდხანს ვუნდებით.

P.S.
მე მიხარია, რომ შენს მზერაში
ზოგჯერ დედაჩემს წავაწყდები,
სწორედ ისეთს,
მე რომ ზღაპარს მიაბობდა
და შენსავით ილიმებოდა.

ზღვის მონატრება

1.
გაგრძელებაა ზღვა ჩემი სიზმრის
და მე არ ვიცი, სად დავმთავრდები,
დასაწყისივით ნაპირი ისმის

და ეზო იწვის ღობის ვარდებით.

ვწევარ, ვისრუტავ სივრცეს უძიროს,
ხან მეჩვენება სივრცე მისრუტავს,
თვალმინაბულმა უნდა ვუცქირო
ყველაფერს, რაც კი არ ამისრულდა.

გადაიფრენდეს ამ ცაზე ქორი
და გაბზარავდეს ცას გაუბზარავს,
გავრცელდეს, როგორც საშიში ჭორი
მაგანმა მაგანს რომ გაუგზავნა.

...და მიმზიდველად გაწვდილი ყელი
ვნებიან თვალის სურვილებს იკრობს,
ისე სწყურია სიცოცხლე ყველას,
რომ უნებლიეთ სიკვდილზე ფიქრობს.

2.

შებინდებისას შენს ლამაზ კისერს
მიეტმასნება ვნების ვარსკვლავი,
დაექებს შენი თვალების გიშერს -
შენს ღამეებში გასანასკვავი.

შენ ამოდიხარ ტალღის ჩქამიდან,
მხოლოდ თვალებით დაგედევნები
და მზეს, რომელიც ზღვაში ჩავიდა,
აქ რჩება სითბო შენი მტკვნების.

უძილობა

არსებობს. მიყვარს. პირველი, ამ ხელით
შევიგრძნობ წუთებს გულში ჩათესილს
და ყველა სიტყვას ფიქრში გამხელილს
შემოუნახავს ხმა უმჩატესი.

ამ ხმას ველური სისხლი ხატავდა,
რომ წაერთმია ხმა სამუდამოდ
ხმისთვის, რომელიც თითქმის გათავდა
და თვალებისთვის იყო უღაო:

რომ ამ ბგერებში ფერთა სიმკვეთრე
ერთიმეორის დამამუნჯები,
სადღაც მაღავენ ჩამქრალ სიკეთეს,
რითაც საესეა ხსოვნის უჯრები.

აქ მუდამ არის ვიღაც მესამე
და იწვლება ისევ ის ღამე,
წუთები ისევ ტკივილს კემსავენ
და გაურკვეველ ნაყოფს ისხამენ.

დაინაწილეთ ჩემი სხეული,
შემსვით, წუთებო და საათებო,
დროო, ღამეში გამოხვეულო,
გაუთევარო ან გასათევო.



ნოღარ ეპრალიძე

ჩელა

“... ღმერთო, ასეთი ხალხიცაა ქვეყნად, ისი-
ნიც ჩვენსავით ადამიანები არიან, არადა შვიდ
საათამდე ლოგინში წვანან; მერე სად? თავის
სახლში, ბინაში. სამსახურშიც დადიან რვა სა-
ათისთვის, იქაც სხედან, ანდა ოთახებსა და
დარბაზებს ჰგვიან, საღამოთი შინ ბრუნდებიან,
სამუშაოსთან. საქმე აღარა აქვთ. მეორე დღე-
საც, კარგა გათენებამდე, სანოლში კოტრიალო-
ბენ. ადგებიან, ჩაის მიირთმევენ, უბატონოდ
ხმას არავინ გასცემს, ჩაიცვამენ და გასწევენ
სამუშაოზე... მე და ჩემისთანებმა რაღა დავაშა-
ვეთ? ღმერთო, მთელი ღამე ამ ალქაჯებს უნ-
და ვაყურადოთ, რამე არ მოინიონ. ოთხი საა-
თისთვის უკვე ზეზე უნდა ვიყო. დავარწყულო,
ბაგაში შვრია ჩავუყარო, გავწმინდო, დავვარცხ-
ნო, შესაბამელად გავამზადო. მერე ბაშტეებს
მივდგე დასასუფთავებლად. იპოდრომიდან მობ-
რუნებული გამოვხსნა და, სანამ არ დაუნყნარ-
დება გულ-მუცელი, ვატარო, გამოვანაბიჯო;
ოფლის შეშრობას ვინ დაექებს, ფერდი არ უნ-
და უფეთქავდეს, თითქოს ახლა გამოვიყვანე
თავლიდანო. თუ შეჯიბრის დღეა, კიდევ უარ-
ესი, თითო საათი უნდა ამათ ჩანყნარებას...”

თედომ გაკვირვებით აიხედა. ეგონა, სხვას
ელაპარაკებოდა ეს მეჯინიბე დედაკაცი, შეუხე-
დავი, კისერჩავარდნილი, სარბოლო თავლის ახ-
ალგაზრდა, ტანად, ღონიერ ქალებს - მეჯინი-
ბეებსაც, მით უმეტეს, ენიოტების - მარბოლარი
ცხენების, ჩორთმავლების, მხედნელების დამხმა-
რეებსაც არაფრით ჰგავდა. არც ჩაცმულობით -
ჩვეულებრივი მუშა, გლეხი ქალის სანიადაგო
კაბა ეცვა. ფეხზე - სოფლური ჩუსტები, თავ-
ზეც გლეხური მანდილი ჰქონდა ნაკრული.

კვირა დღე იყო. სადოლე და ჩორთმავალი
ცხენების რიგითი ასპარეზობა მიმდინარეობდა.
თედო არც ტრიბუნაზე გასულა და არც მინდ-
ვრისკენ მიახლოვებია დოღებსა და რბოლებს.
თავლების ბოლოში პატარა მდელოზე თავისი
თეთრი იაბო ჰყავდა საბალახოდ გამოყვანილი
(მაისი იწურებოდა), აქვე უამებდნენ ონკანებზე
წამოცმული რეზინის მილებით ფეხებს ნაჭენებ
ცხენებს. სადოლე ბედაურები თავლის ბიჭებს
ქვემოთ, ფიჭვის კორომის სიგრილეში ჩაჰყავ-
დათ; მარბოლარებს თავლების წინ ატარებდნენ
მეჯინიბე ქალები. სარბოლო წრიდან ამოსულ
ენიოტს და მის ნარბენ ბედაურს თავლის წინ-
კარში, მანეჟში, მიეგებებოდნენ, გამოსწინდნენ
ორთვალა სარბოლო საკორწიანოდან, თანაშემ-
ნე აღკაზმულ ახალ ცხენს გამოუყვანდა შესაბ-
მელად. მეჯინიბე კი ფილაგში ჩაავლებდა ხელს
გაქაფულ და მფრთხვინავ ნაბრძოლ პირუტყვს
და მყუდრო ადგილს შეურჩევდა გასატა-
რებლად.

ცოტა ხნის წინ ორი წლის ორლოვური

ჩორთმავლების ერთ-ერთი რბოლა დამთავრდა და ამ ლურჯა კვიცს ტუსტუსით მიჰყვებოდა აი ის შუა ხნის ქალი, ფეხს უწყობდა, ოსშივარავარდნილ მკერდს უსწორდებოდა. ულაყს ვერაფერი მოეგო, მაგრამ კარგი კი იყო: ხასხასა ფორაჯები ასხდა ბარკლებზე, ბეჭებზე, ძუა-ფაფარი მუქი ჰქონდა, ნვივები, საოლავები, ფლოქვებიც - შავი; ლამის თედომდე აწვდენდა ნესტოებიდან მობერილ მხურვალე ნასუნთქს; კვიცობა მარტო თავ-ყბის ჯერ გაუმკაცრებელ კონტურებსა და ცენტ თვალებზე ეჩნეოდა. ეტყობოდა, რომ ახლახან გადატანილი რბოლა აბოდებდა, გასსლტომას და კამარის შეკვრას ლამობდა. "მოკლავს ამ ბეჩავ დედაკაცს", - გაიფიქრებდა თედო, მაგრამ ამ გალუულ ქალს მტკიცე ხელი ჰქონდა, დროზე შეხმაურებაც და განწყომაც იცოდა და ცხენიც უმაღლ შოშმინდებოდა; დაბარებულივით, ჩქარი ნაბიჯით გაჰყვებოდა ერთხელ უკვე შემოვლილ წრეს. მეჯინიბე თუმც დანდობილად იკავებდა, მიყოლა ნამდვილად უჭირდა, ქოშინსაც ურევდა თედოსთვის ასე მოულოდნელად წამოწყებულ აღსარებაში.

"...მერე განა ცოტა ხანია? რა რო ომი დამთავრდა. გერმანელები რო შემოვიდნენ სოფელში, არ გამართლდა ძველი ოჯახისვილების ნატვრა - კოლმეურნეობებს მიუხურავენო პარტიელებს. პირიქით... კლიტეები და ლუქები დაადეს სანყობებს და ბელლებს. ბრიგადებიც დატოვეს. ეგ იყო, რო ბრიგადელები აღარ ჩანდნენ,

ფრონტზე იყვნენ გარეკილები, სულ ახალუხალი გრობიჭები დანიშნეს, ბევრიც, ვინც ჩემსავით ავთვალი არ იყო, გერმანიაში წაასხეს, თვითონ დაიყენეს მოჯამაგირებდად, ჩვენზე მაძღრისად იყვნენ ისინი. მერე მობრუნდნენ ჩვენები, ნითლები ესე იგი. ფრონტიდანაც იწყეს ჩამოსვლა ხეიბრებმა. მამაჩემის დალუპვის ამბავი ადრევე მოგვივიდა. მალე უფროსი ძმაც გამოჩნდა - ხელი მოეგლიჯა ნაღმს. სად არ ეთრია ომს, ნანილში ერთი-ორი კაცი გადარჩენილიყო. ხელს ვინ დაეძებს, ძლივს დალოლავდა. ფილტვები ჰქონდა შეჭმული. ტყვედაც ჰყოლოდათ, პარტიზანებშიც ევლო, არაფერი სარიატამდე მიიყვანა კეთილმა ხალხმა - ეგებ, როგორც ომის ინვალიდს, პენსია მოგცენო. ვერაფერი გააწყო. აკი ვთქვი, ფარატინა ქალაღდიც არ მოჰყვა-მეთქი. ისიც კი ურჩიეს, აქეთ აღარ გამოჩნდე, ნატყვევარი კაცი, პენსია კი არა, ციმბირის გზას არ გაგიყენონო. ისიც დედაჩემს დაანვა კისერზე. შიმშილი ჩამოვარდა. მინდვრად სამუშაოდ გასულებს თუ ურიგებდნენ რალაც ულუფას. ჩემს ძმასა და მე ვინ რას მოგცემდა. მეზობლის ყოჩალი გოგო გვყავდა. ქვეყნის ამბებს ადრე შეიტყობდა ხოლმე. ერთ დღესაც მეუბნება, აქ რას უნდა ველოდოთო? თურმე ხარკოვში ბრიგადები დგება. შუა აზიაში მიუდით ხალხი. ჩვენც ვცადოთო ბედი. ვუთხარი დედაჩემს. ულუფიდან რალაც ფეკილი მორჩენოდა, ექვსი ხმიადი გამომიცხო, გზაში იმყოფინეო, მერე, რახან ბრიგადა ჰქვია, იქაც მოგცემენო. გავუდექით მე და მეზობლის გოგო. სამ დღეს მოვუნდით ხარკოვამდე ფეხით ჩასვლას. თითო ხმიადს ვჭამდით გზაში. ბაღებში დაყრილ ხალხს ჩვენც მივემატეთ. გავიდა სადგურზე - არაო, ტყუილი გამოდგა ის ხმა, არც არაფერი ისმისო. იმ ღამეს იქ ვეყარენით, ნაშუალამევეს პარკის მერხებზე წამოწოლაც აღარ დაუშლიათ. დილით ვეუბნები: აბა, ორორი ხმიადილა დაგვრჩა, სანამ დროა, უკან ვიაროთ სოფლისკენ, ეგებ ცოცხლებმა მაინც მივალნიოთ-მეთქი. არაო, - ასე მიპასუხა, - მე იქ მიმბრუნებელი აღარა ვარო. ისევ გავიდა სადგურზე. შენ როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი. ვაგონების სახურავებზე ადის ხალხი და კავკასიისკენ, საქართველოსკენაც მიჰყვებიანო. მეც ასე გადავწყვიტე, შენ რაღას იზამო? არ გავყვი, შინ დაბრუნება ვარჩიე.



იმათ კი ჩააღწიეს. ვინ სად მიეკედლა. ჩემი დობილი საქართველომდე ჩასულიყო. წერილიც კი მოინერა. არა გვიშავსო, სამუშაოც ვიშოვეთ, ქართველები ლუკმას არ გვამადლიანო. მერე აღარაფერი ვიცი. ისე, ზოგი ბედსაც ენია იმ უცხო მხარეში, კუთხე-კუნჭული იშოვეს. ზოგი ოჯახსაც მოეკიდა. აბა, ცოლადაც კი წაიყვანეს იქაურმა გლეხკაცებმა, ბერბიჭებმა და ქალაქის ავარებმა..

კვიცს ოფლი შეშრობოდა. ბაღლის ნაქაშურებივით ზოლებადლა აჩნდა შემხმარი ქაფი ფერდებსა და ილილებში. ხშირ-ხშირად ჩელასაც გა-

კვიცს ოფლი შეშრობოდა. ბაღლის ნაქაშურებივით ზოლებადლა აჩნდა შემხმარი ქაფი ფერდებსა და ილილებში. ხშირ-ხშირად ჩელასაც გა-

მოხდავდა (ასე შეცვალეს ცხენსაშენიდან მოყოლილი უკრაინული სახელი შინაურობაში თედომ და მისმა მწვრთნელმა, ბრწყინვალე თავადების შთამომავალმა, ძველმა ცხენენჯმა(1). ბებერი ჩელა კვიციხე არც იყურებოდა, ხანდახან ახედავდა ხოლმე თედოს, რომელსაც რატომღაც საკუთარი ცხენისთვის ველარ მოეცალა და ყური იმ ცეტი ლურჯას მეჯინებისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

თედომ იცოდა ამ ლურჯა კვიციხის თავლა. ჩუმი, გამრჯე, ამ საქმეს გადამკვდარი ხალხი იყო; თავხედები კი არა, უფრო მორიდებულები ეთქმოდათ. ერთხელ სთხოვეს კიდევ თედოს, ეს ჩვენი ახალგაზრდა ცხენები რომ გამოგვყავს საბანაოდ, მაშინ ნუ ჩაგვივლით თქვენი თეთრი ჩორთმავლითო. ხამ ცხენებს ყოველთვის აფეთებს თეთრი თანამომძეო, უკვირთ უჩვეულო ფერი, რა იციან ამ ლურჯა კვიციხემა, თვითონაც რომ ასე შეეცვლებათ ბალანი და მაგათი ჩავაშლებული ფორაჯებისგან არაფერი შერჩებათო. ჩელას საგვარტომოც დაუდასტურეს. ჰო, ჩვენი ცხენსაშენის ყოფილა, მაგრამ აშკარად ეტყობა, სტრელცოვკური ჯილაგის სისხლი რომ გამოჰყოლია. საგანგებო წაფვით შექმნილი გეგონება მაგისი ფენის ამართვა, საზეიმო ჩორთით გავალაო...

ლურჯა კვიციხე უკვე ბაშტეში შეყვანა ეკუთვნოდა. ახლა იქ უფრო დამშვიდდებოდა, ყლუპ წყალსაც დააღვივებდნენ, თივასაც გაღვებდა. მაგრამ ქალს, ეტყობოდა, კიდევ დარჩენოდა სათქმელი, სულ სხაპასხუპით განაგრძო მოყოლა. ახლა კი ნამდვილად მიხვდა თედო, თავისთავს კი არა, მე მელაპარაკებო. ისე დადგა, რომ თანაგრძობა და ყურადღება მაინც გამოეხატა.

... "მერე მოკვდა ჩემი ძმა. აბა რაღა დარჩენოდა. აღარც კოლნეფრი იყო, აღარც მუშა, არც ომის ინვალიდად ეწერა, არც პენსიონერად; სააქაო ადგილი აღარ დარჩენოდა.

ხარკოვში ცხენსაშენის აღდგენა დაიწყო. ჩემი სოფლიდან ორი გოგო გაიპარა კოლმეურნეობიდან. იქაც ძაან სჭირდებოდათ მუშა ხალხი. აბა, ქალაქელებმა ცხენის ხელი რა იცოდნენ. მეც შემავალიანეს; იქაურ ბრიგადელს უთხრეს, დაგვალული კია, მაგრამ პირუტყვი ეცოდება და მუშაობა არ ეზარებაო. შემეფარეს კიდევ. ხანდახან სოფლიდან, კოლექტივის გამგეობიდან დაგვეცემოდა ვინმე. სათივეზე გვმალავდნენ. "ასე გამოვიდა ხმა, ჩვენი გამბიოები ყოფილანო თქვენთან!" ჩვენი ბრიგადელი მაგრა უხვდებოდა: "ეგ თქვენი კახები სადგურზე და სალუდებში მოიკითხეთ. ჩვენ ასეთ დეზერტირებს არ ვაჭაჭანებთ. აქ რუსული საჩორთმავლო მეცხენეობის დიდება უნდა აღვადგინოთ!" - აბა, სიტყვაც ძაან უჭრიდა. ნასწავლი კაცი იყო: ზოოვეტერინარული ტექნიკუმი თუ მუშაკი ჰქონდა დამთავრებული.

სოფელიც მოლონივრდა ამასობაში. დედაჩემმაც ჩამომაკითხა. შინისკენ მენეოდა. აღარ ვშიშვლილობთო. ეგებ გაგათხოვო კიდევო. ოჯახს ეკიდება ნანანანალები ხალხიო. აღარ ვიკადრე გაქალაქებულმა გოგომ სოფლის ტალახიო..."

თედომ ჩელას გახედა. იცოდა, გარეთ არ უყვარდა მარტოობა. როცა ვინმეს ესაუბრებოდა, ჩელა კისერს განვართავდა, თავს მათ შორის ჩარგავდა; შემსიტყვებლად თუ არა, მსმენელად მაინც ჩადგებოდა ორთა შუა. ახლა კი მშვიდად ბალახობდა. შუა დღის სვატში ტანი მოშვებოდა; ფორნიდან გამოშვებული უბირი სოფლის ცხენივით ძოვდა მაისის წვიმიტა და მზით აყვირებულ ბალახს. უცხო კაცი ვერც იფიქრებდა, რომ იპოდრომის გამორჩეულ სააღლუმო ბედაურს უცქერდა.

შარშან, შემოდგომაზე იყო, კრიალა დილით ჩვეუ-

ლად ადრე რომ მივიდა საჯინბოში, მაშინვე შეუძახა მანეთის უფროსმა (ის მეჯინბებებსაც ასწრებდა მისვლას): "სადა ხარ, თედო, სწორედ შენ გახსენებდი. ახლავე შეკაზმე ჩელა და ქვემოთ, მოედანზე ჩაიდი!" "მერე რა უნდა გავაკეთო იქ?" - გაუკვირდა თედოს. იცოდა, რომ არ უყვარდა ძველ მხედარს უდროო დროს თავლიდან ცხენის გაყვანა. "არაფერი, შენთვის აიარ-ჩაიარე, თავისი ჩორთით გაატარე, სარდალია მოსული, ყველა ზედ ახვევია, ნახოს ჩვენი ცხენიც!"

თედოს გაელიმა. გაეგონა, სამხედრო ოლქის სარდალი ჯდებოდა დილდილობით ცხენზე. ახოვანი, უფრო კავალერგარდის აღნაგობის კაცი იყო, ხალხიანი, შუბლგახსნილი. თავისი მცირე ამაღა დაჰყვებოდა; ზოგი ცხენებთან ხამად არც იყო, ზოგსაც, ეტყობოდა, სარდალის გამო გადაედო თავი. ადგილზეც ხვდებოდნენ გამორჩეული მწვრთნელები. სარდალთან თუ ვერა, შავულვაშა, "პოლიტიკურად დაჭედლი", ცქაფ ოფიცერთან იყვნენ გაშინაურებულნი; ის შუამავლად დასდგომოდა სტუმარ-დამხვდურებს. თედომ დაახლოებული ახალგაზრდა მწვრთნელიც შენიშნა. ის კი ნამდვილად მეუზანგე-ჯილავდრად ეყოლებოდათ. გულიანი, ნაკითხი, გონიერი ბიჭი იყო. სარდალი და მისი ოფიცრობა სჭირდებოდათ: ხან სპორტსმენს ჰქონდა ჯარში განვების ვადა გადასადები, ხან შეკრებიდან იქნებოდა ვინმე გასათავისუფლებელი(2). ამიტომაც თავს ეხვეოდნენ. ზოგი პოლიტიკოს-ოფიცერს მანეთის მწვრთნელზეც ჩანვთებდა ხოლმე სიტყვას: "ძველი დროის კაცია - ნათავადარ-ნაკადეტარ-ნაოფიცრალი, მანეთს არ გვითმობს სავარჯიშოდ. პატარა შესურება მოუხდება". იმას ვეღარ გრძნობდნენ, რომ ეს სიტყვები არცთუ უსიამოდ ჩაესმებოდა აქსელბანტ-პაგონებს უკვე კარგად შეთვისებულ, ძველი სამხედრო დიდებით ყურგახედნილ იარანალს. არც პოლიტიკოსი იმეტებდა. "ამიტომაც ჩამომგზავნა ამ კავალერისტულ პლაცზე", - ფიქრობდა თედო. ერთი-ორჯერ დეზიც გაუტაცუნა ჩელას. მეტი არც უნდოდა 18 წლის ბერკვიცს - ახელფხედა, უმალ პასაყით გაიარა, სადავე რომ მოეზიდა, პიაფსაც დააბაკუნებდა(3), ყალყზე შედგომას და კამარის შეკვრას ხომ ძლივს გადააწვია სათუთი ხელით. ცალი თვალით დაინახა, რომ მოედნიდან უკვე გამოდიოდნენ და მათკენ იყურებოდნენ. "აჰა, ეს უნდა იყოს, ალბათ, ის ჩორთმავალი, თქვენი ბებერი თავადი რომ მიქებდა. მართლა შიხიანი რამე ყოფილა. მაგაზე შეჯდომაც კი ღირს". ცქეტილად ჩამოხდა თავისი ზორბა, ქურანი თრაკვეული უფიყადან. თედოც უკვე უზანგებს უგრძელბედა ჩელას. ეჯავრებოდა ცხენ-კაცზე მორგებული უნაგირის ხელის ხლება და მოსართავ-უზანგ-ალვირის თასმა-აბზინდების გადაადგილება. "დალოცვილს თვითონვე მაინც არ ჰქონდეს კანონად დადებული"; უყვარდა მოხუცს თავისი დროის ნორმების ახლებური შეგონებების კილოზე მიწოდება. "სუთი რამის თხოვება არ შეიძლება: ცოლის, ცხენის, უნაგირის, რევოლვერის და კბილის ჯაგრისის". "ერთიც დაეშაბოთ, რა", - შეეხვენა თედო და საგონებელში ჩაეარდნილ ჭაბუკებს და გოგოებს თვალი აარიდა. "მაინც რა გინდა? ტენისის ჩოგანი!" მწვრთნელი ჩაფიქრდა, "კი, ბატონო, დაუმატე", - და მანაც შეიკავა ღიმილი. მიჰგვარა. სარდალმა სადავეები ნამოპკურდა. იაბომ კისერი მოიშვილდა, მაგრამ ტანი გვერდზე წაიღო. "არ მიქაროს რამე; ნახეს, რა ამათაც დრო!" - იჭვით და ბლვერით გამოსცრა შავულვაშამ. ახალგაზრდა მეჯილავე მეორე მხრიდან მიუდგა, გავაზე ხელი ნაუთათუნა. შეთქმულივით გახედა თედოს და სარდალიც უნაგირს მოველო. ლო-

ნიერი ქუსლი ამოჰკრა. ჩელა კვლავ ახელფებდა, ას-
ფალტს ნაპერწკლები გააყრევინა. ერთი-ორი კამარა კი
არა, დაოთხებაც მოასწრო. უმაღლ იგრძნო თავმოყვარე
და გამოცდილი მხედარი.

“ეს რა მაღალი ჩორთი და ნავარდი სცოდნია! - გა-
იოცა უნაგირზე შებურთავებულმა მხედარმა. - მართ-
ლა მაგარი ყოფილა. ყოჩაღ, ბებერო!” ეს, ალბათ, ორ-
ივეს ეხებოდა - ჩელასაც და მწვრთნელსაც.

“ეს ცხენი სტრელცოვკური ჯიშის სისხლს უნდა ატ-
არებდეს, - ახლა თედომ იხელთა დრო. XIX საუკუნის
რუსეთში, მალოროსიაში, სტრელცოვკის ცხენსაშენში
გამოიყვანეს ასეთი ცხენი - ორლოვის ჩორთმავლისა
და არაბულების, აგრეთვე როსტოპჩინის ჯიშის შეჯვა-
რებით, სამეფო კარისა და გენერალიტეტის საჯდომად.
მოგესხენებათ, მაღალი, ზორბან ხალხი იყო“. სარდალმა
ჩაიცინა. შავულვაშა მოიჭმუნა. მისი იპოლოგიური
ცოდნა “წმინდასისხლას“ იქით აღარ მიდიოდა. მის მამ-
რძანებელსაც(4) აკმაყოფილებდა ეს. საათზე დაიხედა, -
ულვაშამ, გველიანო, - რიდით მოახსენა მხედრული
იერის ჭალარა ოფიცერს. “მაღლობა გადაეცით თქვენს
მოხუცს, ამაზე შეჯდომა ნამდვილად ღირს, ყველა
ვერც შერჩება უნაგირს“, - თედოს მიუბრუნდა სარდა-
ლი, როცა კვლავ მარდად ჩამოხდა. კისერზე ხელიც
დაუტყაპუნა. “ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს ფაშის-
ტური ჯვარი საიდანღა გაჩნდა?“ - უცებ გაუმკაცრდა
ხმა. თედო სპორტულ უნაგირზე სამკერდეს უკეთებდა
ჩელას. თვითონ შეკერა ძველი პალდუმის თასმებით.
ბოლნური ჯვარი კი თავის უბანში ძველ დამრტყემელ-
სა და ფეხბურთელს, უმცროს ძმაკაცს სთხოვა და იმ-
ან ამოუტვიფრა სპილენძის მრგვალ ფირფიტაზე. თუმც
გალოთებული იყო, ასეთი რამ ემარჯვებოდა. თედომ
ქალაღმდეგ გამოუხატა წრეში ჩასმული ჯვარი და იმ-
ანაც მშვენივრად ამოუჭედურა. უხდებოდა ჩელას ქათ-
ქათა მკერდს ჩაჟანგებული სპილენძის ბოლნური ჯვა-
რი.

“ეგ ფაშისტების არაა! ძველი ქართული ჯვარია!
ხმელთაშუაზღვეთის სხვა ქვეყნებშიც იყო გავრცელე-
ბული. ამიტომ მალტური ჯვრის სახელითაა ცნობილი.
გერმანელებმაც იქედან გადმოიღეს“, - გული ამოუჯდა
თედოს.

“ვიცი, ვიცი!“ - შეანყვებინა სარდალმა. უკვე მანქა-
ნებს ამუშავებდნენ. ოფიცრები წყნარად ელოდნენ. ცქა-
ფი, დაჭედილი პოლიტიკოსი ილიმებოდა. ზოგიერთებს
გამორჩევით ეპატიჟებოდა ჩასასხდომად. თედოს ასე
მოეჩვენა, რომ ჰაერში ხინკლის, ქაბაბის, ბასტურმის,
ჭაჭა-კონიაკის სუნი დატრიალდა. ჩელას და მას იქ აღ-
არაფერი ესაქმებოდათ. ნელა დაუყვანენ თავლისკენ.

“აჰა, ჩემო ჩელა, ნამდვილი ორლოვის ტანის გენე-
რალიც ხომ შეგაჯდა. მართლა სამეფო ცხენი ყოფილ-
ხარ“... მაგრამ, თუმც კაცის ლაპარაკი უყვარდა, ჩელა
დანაწევრებულ ცნებებს ვერ აღიქვამდა. მისთვის ადა-
მიანების ენა, ისევე როგორც ხელის შეხება, მთლიანი
გუნება-განწყობილების წარმმართველი ძალა იყო, თავისი
არსების ყოველი ნაკვთისთვის ხალისის, პატრო-
ნის სამსახურის სურვილის მომნიჭებელი. ხშირად კი
იგივე ხშიანობა გულს უმღვრევდა, ერთბაშად იგრძ-
ნობდა უქმურის ჩაბუდებას, მაშინ კი თუ თედო ან მო-
ხუცი მწვრთნელი გვერდით არ ეგულებოდა, ბენჯი ავ-
ად ეშლებოდა, ყურები ელურსებოდა; თუმცა კეთილ-
შობილი სისხლი ნიხლის კვრასა და ებილების გადმოყ-
რას არ ანებებდა. ახლა კი, კისერმოღერებული, ნალე-
ბის წკარუნით მიჰყვებოდა თავლისკენ თედოს,
გრძნობდა, რომ ის რიოში ხმები, უცხო მძიმე ტანი და

ქუსლის უდიერი ამოკვრა ჩავლილი იყო, როგორც ბე-
რჯერ გადახდენოდა თავს, და კვლავ თავის ჩვეულ გა-
რემოს უბრუნდებოდა.

კარებში მწვრთნელი შემოხვდათ. ორივეს გაუღიმა.
ჩელას ყურებში კონოლი ჩამოჰქაჩა და შუბლზე ჩა-
მოუფოცხა ნატიფი თითებით. “ხომ ნახა იმ ატამანმა,
რა ბიჭებიც ვყოფილვართ მანქაში!“ - და მეჯინიბე
ყმანვილს შეუნყრა, ბარემ ბაშტეც გამოგეხვეტაო.


...ქალი ისე მარდად ვეღარ მიჰყვებოდა ქარამოლე-
ბულ ცხენს. ყურსაც უკვე იპოდრომის სარბოლ წრეს
აპყრობდა. გუმანით სცნობდა სტარტის აღებას, რბო-
ლის სიმუხთლეს. ფეხის შეშლას, ფინიშის ჟივილ-ხი-
ვილს. “ახლა გეყოფა შენ. სხვებიც არიან. დაისვენა, თა-
მაში მოუნდა. ერთი მეც მკითხოს. შენს თეთრ ცხენსაც
უბღვერს. კიდევ კარგი, ვერ აიყოლია. ბებერია, ჭკუა
უჭრის... არა, რო დაფიქრდები ხოლმე და წარმოვიდ-
გენ, რომ ისეთი ცხოვრებაც არის, საცა ხალხი ექვს-
შვიდ საათამდე ლოგინში წევს, სძინავს, გაიღვიძებს და
კიდევ შეუძლია, ერთი პირიც ნაიძინოს. დიდება შენ-
და, ლემერთო, ყველას თავისი გზა ჰქონია“...

(1) თედო ჯერ “თეთროს“ ეძახდა. არაო, - ურ-
ჩია მწვრთნელმა, ხედნაში “ჩელა“ აჯობებსო.
ბარიერის წინ რომელი უფრო ადვილი შესა-
ძახებელიაო?!

(2) გულიანები უფრო შორსაც იყურებოდნენ:
“რა იცი, თედო ბატონო, რა მოხდება; ეგებ
რალაც სიკეთე დაამახსოვრდეს და ტანკებით
მაინც არ გადაგვიაროს!“

(3) ეს ფრანგული წარმომავლობის ტერმინები
ცხენის უმაღლესი განვითარების მოძრაო-
ბებს გამოხატავენ. “პასაჟი“ მაღლა აკრეფი-
ლი მუხლებით ჩორთის გავლას; “პიაფე“ ას-
ეთი სვლის ადგილზე შესრულებაა. “ახელფე-
ხება“ ქართულ ლიტერატურაში (თანაც სწო-
რედ თამაშ-თამაშით სიარულის, ყალყზე
შედგომის აღსანიშნავად) უკეთილშობილესმა
მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ შემოიტანა.

(4) ეს სიტყვა ამ ფორმით თედოს მხოლოდ თა-
ვისი მოხუცი მასწავლებლისა და მეგობრის
პირიდან ჰქონდა გაგონილი.



ჩარლზ სიმიკი

“ღამის მატარებელში“

მარკ სტრენდის პოეზიის შესახებ



ველად
ველის არარსებობა ვარ
და ყოველთვის
სადაც არ უნდა ვიყო
ის ვარ, რაც არ არსებობს
კვკვეთ სივრცეს
რომელშიც მივდივარ
და ის ყოველთვის
იკვრება
ზურგს უკან
მოძრაობის მიზანია
მიზნობრიობა

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ის არაერთხელ მიაკუთვნეს ხან სიურრეალისტებს, ხან კი - მოდერნიზმის ნაცად კალაპოტში მომუშავე პოეტებს. სტრენდი “არათანამედროვეა“, რადგან იგი ღრმად და დარწმუნებული, რომ მთელი პოეზია (ბერძენებიდან და რომაელებიდან მოყოლებული), ნებისმიერი თანამედროვე ბრუკლინელი ან კანზასელი შემოქმედისთვისაა აქტუალური. ესეების ახალ წიგნში იგი განმარტავს: “ჩემი აზრით, ნებისმიერი პოეზია ფორმალურია იმ გაგებით, რომ ის გარკვეულ ჩარჩოებში არსებობს, იქნება ეს ტრადიციებისადმი ერთგულება თუ ენის კანონები. თავის მხრივ, ეს ჩარჩოები ფუნქციონირებენ იმ ინდივიდუალური პოეტური კონცეფციის საზღვრებში, რომელიც ააშკარავებს, რა არის, და რა არ არის ლექსები“. პოეზიის თვითრეფლექსირებადი ბუნება - სტრენდის მთავარი თემაა. მომავალი მკითხველი პოეტის შემოქმედებაში თითქმის ვერ იპოვის თანამედროვე ამერიკას. მისი ლექსები ჩაკეტილია, აბსოლუტურად ჩაკეტილი.

უიტმენით დაწყებული, ამერიკელი პოეტები ყოველნაირად ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ ლიტერატურული მკითხველის წინაშე პირმოთნეობა აიძულებდა მათ, ესელმძღვანელათ ემერსონის იდეით იმის შესახებ, რომ პოეტი ჩვეულებრივი ადამიანია. “ჩვენც თქვენნაირები ვართ“ - წერდა უიტმენი 1855 წელს “ბალახის ფოთლებისადმი“ ნამძღვარებულ წინასიტყვაობაში. სტრენდი მას არ დაეთანხმებოდა.

ის უაღრესად ელიტარული და ლიტერატურულია. მისი მკითხველი - ესაა მავანი იდეალური და სრულიად იდუმალი მკითხველი, რომელიც, შესაძლოა, ჯერ არც დაბადებულა. სტრენდის ნებისმიერი წიგნი წააგავს ღამის მატარებელს, რომლის ერთადერთი მგზავრი პატარა ფარნის შუქზე კითხულობს თავისი ცხოვრების წიგნს. ის რაღაცას ლულულულებს და, ამასთან, იმედოვნებს, რომ ვინმე ფარულად მიაყურადებს მის სიტყვებს:

მარკ სტრენდი დაიბადა 1934 წელს კანადაში, პრინც ედვარდის კუნძულზე, სამარსაიდში, ამერიკელთა ოჯახში. მამამისი “პეპსი-კოლას“ კომპანიის თანამშრომელი გახლდათ და ოჯახთან ერთად ბევრს მოგზაურობდა. ისინი ცხოვრობდნენ ჰალიფაქსში, მონრეალში, ნიუ-იორკში, ფილადელფიაში, პერუში, კოლუმბიასა და მექსიკაში. 1960-61 წლები მან (ფულბრაითის სტიპენდიის მიღების შემდეგ) იტალიაში გაატარა და, ამასთან, მონაწილეობა მიიღო აიოვაში გამართულ მწერალთა სემინარში, შემდეგ კი იქვე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა (1965 წლამდე). მომდევნო წლებში სტრენდი ცხოვრობდა ბრაზილიაში, ირლანდიაში, იტალიაში, ნიუ-იორკში, ნიუ-ჰევენში, შარლოტსვილში, კემბრიჯში, ბალტიმორსა და ჩიკაგოში, სადაც ასწავლიდა ლიტერატურასა და სამწერლო ოსტატობას. ამერიკელ პოეტთაგან ალბათ მხოლოდ ელიზაბეტ ბიშოპმა მოიარა უფრო მეტი ქვეყანა და ქალაქი, ვიდრე სტრენდმა და ამიტომ ის მოხეტიალე პოეტის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. იტალი კალვინოს “უჩინარი ქალაქების“ გმირის, მარკო პოლოს მსგავსად (რომელიც აზიის ყოველ საზღაპრო ქალაქში მშობლიურ ვენეციას ეძებდა), სტრენდი ყველგან საკუთარ თავს აწყდებდა. ესაა პოეტი, რომელიც შინ, ხალათსა და ფლოსტებში გამოწყობილი, მაინც ტრანზიტულ მგზავრად რჩება.

სტრენდს პირველად 1967 წელს შეეხვდა, ნიუ-იორკში, პოეტურ სემინარზე, რომლის ორგანიზატორმა, პოლ ქეროლმა წარმოადგინა ანთოლოგია “ახალგაზრდა ამერიკელი პოეტები“. მაღალი, ლამაზი, ძალზე ელევანტური სტრენდი სულაც არ ჰგავდა პოეტს. მეორე მხრივ, პოეტების უმრავლესობა სწორედ ასეთია. უფრო სავარაუდოა, რომ ამგვარ ტიპს აღმოაჩენთ დამკრძალავი ბიუროების მფლობელთა ან ყვავილების მაღაზიის თანამშრომელთა შორის.

სტრენდი და მე მივეკუთვნებით იმ ამერიკელ

პოეტთა თაობას, რომლებმაც საკუთარი თავისთვის აღმოაჩინეს როგორც ევროპული, ასევე სამხრეთამერიკული პოეზია. 60-იანი წლები მთარგმნელობითი მუშაობის გაფურჩქვნის პერიოდს წარმოადგენდა. თვით სტრენდი თარგმნიდა ესპანური და პორტუგალიური ენებიდან. გათავისებულ იქნა პაბლო ნერუდას, სეზარ ვალიესოს, ვასკო პოპას, პაულ ცელანის, რაფაელ ალბერტის, რაინერ მარია რილკეს, ფერნანდო პესოსა, ზბიგნევ შერბერტის და სხვათა შემოქმედება. ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები (რომელთაც, უკეთეს შემთხვევაში, ზედაპირული წარმოდგენა აქვთ საზღვარგარეთული ლიტერატურის შესახებ) ჩვეულებისამებრ, არ ითვალისწინებენ მათ მნიშვნელოვან შემოქმედებას ჩვენზე. ნებისმიერი ასაკის პოეტისთვის აქტუალური მარადიული პრობლემა - როგორ უნდა მივაღწიოთ ცხოველმყოფელობა ლექსს - იძლეოდა ურთიერთგანსხვავებული, იმდროინდელი ამერიკული პოეზიისთვის უცნობი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. უპირველეს ყოვლისა, აღგვაფრთოვანებდა ზემოჩამოთვლილი პოეტების ექსტრავაგანტური შედარებები და მეტაფორები, მათი "ველური" წარმოსახვა. "ის ყოფითობის კოსმეტოლოგიაო", ამბობს ნერუდას შესახებ სტრენდი ესეების ახალ წიგნში.

ამასთან, თუ ამერიკელი პოეტების უმრავლესობა, ნერუდას კვალობაზე, კმაყოფილდებოდა მეტაფორების დახვევაებით, სტრენდმა თავის პირველ წიგნში "მიზეზები გადაადგილებებისთვის" (1968) სხვა გზა აირჩია. ის იღებდა ერთადერთ ხატს და თხრობას მის საფუძველზე აგებდა, ისე, სიზმრად რომ ხდება ხოლმე. განწყობილება ახერხებს სიზმარში ხატის გამოჩნრევას, შემდეგ კი ეს ხატი ჰყვება თავის ამბავს. სტრენდიც ასევე იქცეოდა.

ლექსების მომდევნო კრებულმა "უფრო ბუნდოვანად" (1970) გამოაშკარავა, რომ სტრენდი გატაცებული იყო ამერიკელი პოეტებით - უოლეს სტივენსითა და ელიზაბეტ ბიშოპით. მას სიბლავდა ამ შემოქმედთა სწრაფვა სიურრეალიზმისა და ბუნდოვანებისადმი. სტრენდი წერს: "სტივენსთან ლოგიკა წყვეტილია, ფარული, იდუმალი, ან ის, უბრალოდ, არ შეიმჩნევა. მთავარი რამ, რაც სტივენსის ქმნილებებს ახასიათებს, ესაა სიტყვის ან ფრაზის ჯადოსნური ძალმოსილება". სტრენდიც ამისკენ მიისწრაფის. ყოველ წიგნში ის მიზნად ისახავს სრულყოფილი მოკლე ლირიკული ლექსის შექმნას.

როდესაც ვსაუბრობ "ლირიკული ლექსების" შესახებ, ვგულისხმობ ისეთ ქმნილებებს, რომელთა საფუძველს მუსიკა წარმოადგენს, მაგრამ ისინი განკუთვნილია საკითხავად ან სანერად და არა - სამღერლად. ჩვეულებრივ, ესაა მოკლე ლექსები, რომლებიც იშვიათად მოიცავენ გვერდს ან ორ გვერდს და გამსჭვალული არიან იმ ემოციური გზებით, რომელიც ამ წარმოებების გარდაუვალი შექმნის საფუძველია. მათ შორის საუკეთესონი ასახავენ აზრისა და გრძნობის შეუმჩნეველ, ხშირად კი - ეფემერულ ცვლილებებს, რომელთაც ენობრივ სიცხადესა და გასაგებობას ანიჭებენ, ეს კი მოუნვდომელია ჩვენი ყოველდღიური გამოცდილებისთვის. ლექსები, ამგვარად, გვარწმუნებენ მათ ღირებულებასა და სიმართლეში. ლიტერატურულ უანრთა შორის ლირიკა ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებებს. მისი თემები ემყარება ადამიანის არსის მდგრადობას და, ანტიკური ეპოქიდან მოყოლე-

ბული, ურთიერთთან აკავშირებს სუბიექტურ-პირადულსა და უნივერსალურ სანყისებს.

"უფრო ბუნდოვანად" - წიგნი ჭაბუკისა, რომელიც საოცრად შეპყრობილია სიკვდილზე ფიქრით. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ სიკვდილი - ლირიკული პოეზიის მთავარი თემაა. დედ-მამის ადრეული გარდაცვალება და ამ სამუდამო დანაკარგის განცდა არ ასვენებს პოეტს. სტრენდის აზრით, ლირიკა - იმ მომავლის ამსახველი ელეგიაა, რომელიც წარსულს დასტირის. "ლექსები ზეიმობენ მწუხარე მომენტს, როდესაც ჩვენ ისტორიად ვიქცევით" - ამბობს სტრენდი ჩარლზ რაიტის ლექსისადმი მიძღვნილ ესეში, მაგრამ ეს პათოსი სამართლიანია მის მიმართაც. სტრენდი - საკუთარ თავში დევნილია. მისი ლექსები მაგონებს იმიგრანტის ძველი საოჯახო ფოტოსურათებით გატენილ ჩემოდანს, რომელსაც დროდადრო ათვალიერებენ, სანამ არ პოულობენ ახალ, ადრე შეუმჩნეველ, გულის ამაჩუყებელ დეტალებს. უცნაურია, მაგრამ ალბათ სწორედ ამაში მდგომარეობს საქმის არსი: წარსულისადმი ნოსტალგია ჭეშმარიტად ის იდუმალი საშუალებაა, რომელიც მეტ შთამბეჭდაობასა და რეალობას ანიჭებს ანმყოს. ლექსში "წინასწარმეტყველება" ვკითხულობთ:

ამ დამით მთვარე მიეხეტებოდა ტბორის თავზე,
რქედ აქცევდა წყალს, ხოლო ტოტებქვეშ
ხეებისა, ცისფერი ხეებისა,
სეირნობდა ქალწული, და წამიერად

მან განჭვრიტა თავისი მომავალი:
აწვიმს ქმრის საფლავს,
ბალახში მოთამაშე ბავშვებს,
ქალი კი ღრმად ისუნთქავს ცივ ჰაერს,
უცნობი ადამიანები მკვიდრლებიან მათ სახლში.

მის ოთახში ვილაც წერს ლექსებს,
რომლებშიც შემოეხეტება მთვარე,
ქალი სეირნობს ხეებქვეშ,
და ფიქრობს სიკვდილზე,
ფიქრობს იმ კაცზე, ვინც მასზე ფიქრობს,
და იწყება ქარი, და მიაქვს მთვარე,
ეს ფურცელი კი ბნელში რჩება.

სტრენდის მეორე თავისებურება ისაა, რომ პოეტი ერთგვარად ანელებს დროის დინებას. ეს-ესაა დაწყებული ლექსი უილაჯოდ ყურდება ისე, თითქოს ანტონიონის რომელიმე ფილმს ვუყურებდეთ. სტრენდის მიხედვით, უსასრულო სამყაროში დასაწყისი ისევე აზრსმოკლებულია, როგორც - დასასრული. ორივე მათგანი ჩქმალავს საგანთა არსის ღრმა სიჩუმეს. გახანგრძლივებული, მოვლენებისაგან დაცლილი ანმყო, რომელიც გაჯერებულია მხოლოდ წინასწარი ნიშნებითა და ინტუიციებით - აი პოეტის წარმოდგენა სამოთხის შესახებ. მისტიკოსია თუ არა ის? დიას, მაგრამ მეტად თავისებური. სტრენდს აინტერესებს არა მომენტის მეტაფიზიკა, არამედ - მისი ესთეტიკა.
ის იმედოვნებს, რომ შეძლებს ამ დიდებული გა-

მოცდილების თანხლები მშვენიერების ასახვას.


სტრენდის მომდევნო ნიგნი, "ჩვენი ცხოვრების ისტორია" (1973) სრულიად განსხვავებული ხასიათისაა. აქ ნარმოკვიდგება ვორდსვორთის "პრელუდით" გატაცებული პოეტი, რომლის ლექსების ავტობიოგრაფიულობა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ვრცელია და თითქმის ყველა ნაწარმოები თხრობითი ხასიათისაა, მაგრამ ეს თხრობა უჩვეულო, არაპირდაპირი ხერხით ხორციელდება. ლექსებში კვლავ და კვლავ ცოცხლდება მოგონების ერთი და იგივე ფრაგმენტი. სტრენდი ნააგავს კრიმინალისტს, რომელიც ადიდება ფოტოსურათს ამა თუ იმ პიროვნების ამოსაცნობად ან არსებითი დეტალების დასაზუსტებლად. ნეტავ შემეძლოს, თითქოს ფიქრობს ის, ხელახლა დავუბრუნდე იმ დაკარგულ წამს. მაშინ თავიდან დავიწყებდი ჩემი ცხოვრების ისტორიას, თითქოს ის ჯერ არ იყო დანერგილი. "განუმარტავი", "ელეგია მამას", "ზეიმი", "ოთახი" და ლექსი, რომლის სათაური ემთხვევა ნიგნის სახელწოდებას, - სტრენდის ყველაზე შთამბეჭდავ ქმნილებებს განეკუთვნება.

ნიგნში "გვიანი საათი" (1976) ის უბრუნდება უფრო მოკლე, თავისუფალი ფორმის ნაწარმოებებს, მაგრამ მათი დიაპაზონი კვლავ შეზღუდულია. "დედაჩემი ზაფხულის მინურულის საღამოს" ძალზე ამაღლებელი ქმნილებაა, ისევე, როგორც ლექსი მეთევზეების მიერ მოკლული ვეშაპების შესახებ. ამავე ნაყოფიერ წელს სტრენდმა გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ნიგნი - "ძეგლი"; ის შედგება ფრაგმენტებისგან, შენიშვნებისგან პოეზიის, მუზეუმების, რელიგიის შესახებ, აგრეთვე - ანეკდოტებისგან, რაც პროზაული ფორმით გადმოცემულ ლექსებს ნააგავს.

"ადამიანის სიცოცხლის საიდუმლო, - ამბობს სტრენდი, - უნივერსალური, ძირეული საიდუმლო, ესაა სიცოცხლის გასანგრძლივებისადმი ლტოლვა". პოეტმა იცის, რომ ეს შეუძლებელი რამაა. "საბრალო ძეგლო! სიზმრად აღმართულო ვეება არარაობავ.." - წერს ის. "ო, ბედნიერო ძეგლო! ვეება არარა განგრეგს!"

ნიგნებში "სიცოცხლე გრძელდება" (1990) და "ბნელი ნავსაყუდელი" (1993) სტრენდი ცდილობს, გააფართოს თავისი რეპერტუარი. კომიკური ელემენტები, რომლებიც გვხვდება "ძეგლში" და კრებულში "მისტერ და მისის ბები და სხვა ისტორიები" (1985), ახლა უკვე ბევრ ლექსში შეიმჩნევა. ერთი მხრივ, პოეტი კვლავ სრულყოფს ფილოსოფიურ ლირიკას, რომლის კვლევის საგნებს დრო და მესხიერება წარმოადგენს, მეორე მხრივ კი - წერს იუმორისტულ ლექსებს, ფარსულ ბაღდადებსა და სატირებს. უნდა ვაღიარო, რომ უპირატესობას ვანიჭებ სტრენდის პირქუშ ქმნილებებს, თუ მათში პოეტი არ მიმართავს მასხრულ ან თვითგანმარტებელ კილოს - დიდი რაოდენობით ეს ძნელად ასატანია.

"რატომაა, რომ გამუდმებით ცდილობს საკუთარი თავის შეცნობას?" - კითხულობს სტრენდი. მართლაც, რატომ? ვფიქრობ, ის მიპასუხებდა, რომ სხვა არაფერი დაგვრჩენია. ემილი დიკინსონმა საგულდაგულოდ გამოიკვლია თავისი სულიერი ცხოვრება (რაც აისახა მის მიერ დანერგილი 1775 ლექსის უმეტეს ნაწილში) და ამის შემდეგ დატოვა სააქაო. შენ თვითონ ხარ უზენაესი გამოუთქმელობა ორივესთვის.



მაიკლ რაი

სტრენდის უკანასკნელი ნიგნი "ქათამი, ჩრდილი, მთვარე და სხვა" ხან ერთტაეპიანი ლექსების კრებულს ნააგავს, ხან კი - ეპიგრამათა კრებულს. ნიგნის თითოეული კარი გაერთიანებულია რომელიმე განმეორებადი მარტივი სიტყვით. მაგალითად, "სამოთხისეული" გვერდი შეიცავს იმგვარ გამონათქვამებს, როგორიცაა: "სამოთხეში სათამაშოები თვითონ იქოქებიან" და "სამოთხეში უბედურება ფრთაშეკვეცილია", ხოლო "ხელისადმი" მიძღვნილ გვერდზე ვკითხულობთ: "თოვლის ცივი ხელი ბორცვის კალთაზე" და "ხელი, რომელიც აკავებს ბანქოს ქალაქებისგან აგებულ სახლას". ბევრი გამონათქვამის არსის წვდომა ძნელია, მაგრამ სათანადოდ გააზრებისას ისინი გვატკბობენ პოეტური ფანტაზიითა და მჭევრმეტყველურობით. თავის ლექსებში სტრენდი მიმართავს არარეგლამენტირებულ სასაუბრო მეტყველებასაც და დახვეწილ პოეტურ ფორმასაც. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო სწრაფვა (ერთი - წესრიგისკენ, მეორე - წარმოსახვის თავისუფლებისკენ) განსაზღვრავს მისი, როგორც პოეტის, იერსახეს. "ქაოსის ჩრდილი - წესრიგია", - წერს სტრენდი, და განაგრძობს: "დაბრუნდი, ჩრდილო ჩემი სიყრმისა, შემითარე და მითხარ, სად ვიყავი".

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



პოეზია

პო გეზია

თრობა, თრილერი... ტანჯულნი ვართ და თან ნეტარნი,
ხილვებში კვინთავთ და გვაბოდებს, რომ პო გეზია -
თანამედროვე გვსურს რომ ვიყოთ? შლეგ ამერიკელს,
დეტექტივმომტანს ვეყმით და ვთქვათ, რომ პო გეზია

მარადიული, ნაცადი და გალაკტიონს რომ,
თვით გალაკტიონს მტკიცედ სწამდა, რო პო გეზია,
ეს მრავალს ნიშნავს, ეს ნიშნავს რომ უნდა გაფვითრდეთ,
როს მოგვესმება ლიგვასგან, რომ პო გეზია



გიორგი გვცელაშვილი

სულმთლად ბოლომდე, მალსტრემში და შიშში
დანთქმამდე,
რითმების თქმამდე, ვერლიბრამდე ო, პო გეზია,
ხოლო მას მერე, უკვე ცხენთა შეჯიბრებაზე
კი - დარეკე და დაუბარე - რომ პო გეზია

შენი მერნის და უნდა ჰკრა და იქ გააჭენო,
სადაც სუყველა მხედარია და პო გეზია -
თრობა, თრილერი.. - ვართ ტანჯულნი და თან ნეტარნი,
და ღმერთმა ნუ ქნას, აღარ გვწამდეს, რომ პო გეზია!

ანაზელს გლლი

გლლი.
დიდი ხნის
წინ მოხდა ეს -
ტალახში შენი აზელვა -
და გლლი მას შემდეგ,
ანაზელს გლლი.

ქალწული ხარ,
და წყლის პირას ცხოვრობ,
იქ, სადაც ზომალდი

ედგა პორტთან
ჩვენღმერთს,
იქ, საიდანაც
სიყვარულის ტალახს
გზავნიდააგზავნიდა და
გზავნის დღესაც
დიდ სამეფოებში,
სამყაროს ოთხივე მხარეს.

ტალაპ! -
ხელებაღმართულან მიწაზედღაცემულნი
და მადლობას სწირავენ საკუთარღმერთს.
ტალაპ! -
აკლდამებთან გროვდებიან შენიანები
და შენღმერთს სთხოვენ,
ერთმანეთს დაგვაშორონ ჩვენ.

დიდი ხნის წინ
მოხდა ეს -
მე წყლის პირს ვიყავი,
იქვე გაგთხუპნე სიყვარულის ტალახით
და საცოლე გიწოდე იქვე.

ფრთიანმა სერაფიმებმა,
წყლის ბოროტმა სულეებმა,
ამაყმა შენიანებმა კი -
ვერაგინ შეძლო,
განეყო ჩვენი სულეები და -
ტალაპ! -
ანაზელს გლლი მას შემდეგ,
ანაზელს გლლი.

ლირიკა

შენი თოჯინაა ლირიკა,
კაბას ხდი და აცმევ, ვარცხნი,
იჭერ ცალი ხელით და აყირავებ,
რათა მინაბოს თვალები,
მეორე ხელის თითებით კი
აპრეხილ წამწამებში წასწვდები ხოლმე
და ცალ თვალს ახელინებ,
ცივად მომზირალს,
გაუგებარი ფერისას -
ახელინებ ახუჭინებ და
ახუჭინებ ახელინებ,
მოგწყინდება და ისევ წინ ისვამ,
მაგიდაზე,
ძველებურად თვალებდაჭყეტილმა
რომ შემოგხედოს,
შენი კი დააწყვიტო კიდურები და

ხელები ფეხების,
 ფეხები კი ხელების
 ადგილას მიაბა -
 ჰო, შენი ასეთი თოჯინაა ლირიკა,
 მოშლილი მუცლით,
 ისეთი მოშლილით, რომ
 როცა აყირავებ,
 ტირის კი არა,
 საერთოდ აღარ იღებს ხმას,
 მხოლოდ ცალ ქუთუთოს ამოძრავებს,
 თვალს აპაჭუნებს თითქოს და
 რაღაც საიდუმლო - იქნებ ცხოვრების? - იცის,
 შენ კი შენს საექიმო ყუთს
 ხსნი საპასუხოდ,
 და გულს უსინჯავ ფონენდოსკოპით,
 და შპრიცს უკეთებ
 ბარძაყის ადგილას მიბმულ მკლავში -
 უკეთებ და გრძნობ,
 როგორ მშვიდდება იგი,
 და მშვიდდება შენც,
 ხელები რადგანაც,
 ასეთი თოჯინა უნდა იყოს შენი ლირიკა,
 თმაგაწეწილი და
 ალუბლის მურაბით გაწებილი
 კაბით შემოსილი,
 ცალთვალამოგდებული,
 მუცელმოშლილი და
 ხელფეხარეული.
 ასეთი თოჯინა უნდა იყოს შენი ლირიკა,
 სანამ თავს არ დაანებებ
 სიყვარულს,
 შპრიცს,
 თოჯინებს...
 თოჯინებით თამაშს.

მხოლოდ აქლა ვდგავარ შუალამობით,
 კომენდანტის საათის დროს
 ნინოშვილის ქუჩის ბინადართან ერთად
 მარჯანიშვილის მოედანზე
 და მონაცვლეობით მოაქვთ ქარებს
 კატორღელების ციმბირული სიცივე და
 ლესბოსელების ნერვიული სიმხურვალე.

გულის ამოჯდომასავითაა,
 გულიანი სიცილივითაა
 10 წლის წინანდელი ჩემი ეს სიზმრები,
 მხოლოდ აქ რომ შემომრჩა,
 აქ - სადაც ვიბაგუნებ მუშტებს და
 ვცდილობ, გამოვიბერტყო ოქროს მტვერი,
 განვთავისუფლდე ამ ძველი ცეცხლისაგან,
 მაგრამ არა -
 ჯიუტად, კიდევ ერთხელ
 იძინებს ჩემი გული
 და მე ვხედავ
 სოფელ დიღმის მაცხოვრებელ პოეტს,
 რომ დაფრინავს თავის მელოტ მეგობართან ერთად
 ქალაქის თავზე და
 თავის კოტიტა, მელნიან თითებს
 მიქნევს და მიქნევს.

მკერდი

ზურაბ რთველიაშვილს

მხოლოდ აქ შემომრჩა
 10 წლის წინანდელი სიზმრები,
 მხოლოდ აქლა დაფრინავს ხოლმე
 სოფელ დიღმის მაცხოვრებელი პოეტი
 თავისის კოტიტა თითებით და
 წყლით სავსე სათლი უჭირავს ერთ ხელში,
 მეორეში კი ჯვარი;
 მხოლოდ აქლა იზარავენ ხმას და სახეს და
 გულწრფელ მონოლოგებს ამბობენ
 ჩემი რუხი, საოცარი სამზარეულოს მუდმივი სტუმრები -
 დაწაფებულნი ღვინოს,
 მისეულნი შავ პურს და ზღვის კომბოსტოს კონსერვს;



ღაპით ანღრიამე


სიმბოლო ევროპელების "გამოგონილი" პოეტური ფიგურაა; აღმოსავლეთი ამგვარ "მკვდარ მეტაფორას" არ ცნობს. მკვდარი მეტაფორა კი, რიჩარდ რორტისა არ იყოს, მეტაფორა აღარაა.

არაბესკაც, როგორც ვიზუალური რიგის პოეტური ფიგურა - თავისებური მეტაფორაა.

არაბულ კალიგრაფიას, და საერთოდ, ისლამის *écriture*-ს, როგორც ესთეტიკურ არტიფაქტს, ეთიკური შინაარსიც ახლავს...

შემთხვევითი არაა ორი სიტყვის - "დავათ" და "დავლათ" - სემანტიკური სიახლოვე; "დავათ" სამელნეს ნიშნავს; "დავლათ" კი, წყალობას...

ასე ხორციელდება გრაფიკის ზოგადპოეტოლოგიური მნიშვნელობა...



მერაბ აბრამიშვილიც კაცია დავათიანი; და დავლათიანიც... მართალია, ალუდა ქეთელაურივით, არც საფიზვნოს თავში წამოჯგვიმა სჩვევია და არც სიტყვა მაუდის წყლიანი, მაგრამ დავათ-დავლათიანი მხატვარი ნამდვილად ეთქმის.

ის ევრაზიული ტიპის საკრალურ-ანთროპოლოგიური ხელოვნების ადეპტია, მე, როგორც ამგვარი არტ-დეკოს მჭვრეტელი, ვისაც შიგადაშიგ "მავიწყდების სანუთროება", იმასაც ვგრძნობ, რომ ანთროპომორფული ფორმა მის სურათებში ბოლომდე ვერ კისრულობს საკრალურ ფუნქციას და მხატვარიც, თავისი შესაქმე-ხელსაქმის პროცესში, ამიტომ ჩაუნაცვლებს ხოლმე არაბესკებსა და ნაირ-ნაირ იდეოგრამებს. ამგვარი, როგორც დავით კაკაბაძე იტყოდა, "ხაზულობების" კვაზიეთიკური მნიშვნელობა აყალიბებს (არ მინდა ვთქვა - აკონსტიტუირებს-მეთქი) მათსავე ესთეტიკურ უნიფორმას და იმპერსონალურ ავტორს საშუალებას აძლევს, თავისებურად სცადოს მიწუმათებელი ლოგოსის სიმბოლური ვიზუალიზაცია.

ის, ელემენტარულად, სილამაზეს ეძებს, უფრო ზუსტად, სილამაზის ტოპოსს... დიას, ლამაზ კი არა, სილამაზის ადგილებს "ჩითავს", ასეთი ადგილი კი, უწინარეს ყოვლისა, სამოთხეა, სახელდობრ, სამოთხის მეტაფორული ხატი. სამოთხისა, რომლის "ტოპიკაც" და "კალოსიც" ადეკვატურად გარდატყდება მისი, როგორც ევრაზიული ინტერტექსტუალობის მიჯნებზე მყოფი არტისტის ვიზუალურ მახსოვრობაში; თანაც, სტატისურად ჩაკეტილ პლასტიკად კი არა, ექსცენტრულ დინამიკად წარმოგვიდგება, ზეთის საღებავებით დატიკნულ მძიმეონიან ტილოდ კი არა, მსუბუქ ფირფიცრად შეგვრჩება ხელთ, ბატიკასავით, გამჭვირვალე, აურატიულ იკონო-გრაფემულ

სამოთხის სუვენირი

მერაბ აბრამიშვილის ევრაზიული
არტ-დეკო ჰარამხანული ლიზერტინაჟით

ინტონაციად გვევლინება, ორნამენტულ სტროფად კი არა, ნახტისმაგვარ სტრიქონად გვესახება. სხვათა შორის, შემთხვევითი არაა, რომ ოსიპ მანდელშტამი თავის "დანტეს შესახებ საუბარში" ორნამენტსა და ნახტს სწორედ სტროფული და სტრიქონული სტრუქტურებით განასხვავებდა...

ჩემთვის, მერაბ აბრამიშვილი *par excellence* მაინც ედემის ბალის ტოპოგრაფიკოსია, თუმცა, პარიზსაც ხატავს, პარიზის გიგანტურ გზამკვლევს - ამ მრუმე ლაბირინთს... ეს კი, ნამდვილი ჯოჯოხეთია!

"უცხო სამოთხეები" სულ სხვაა... ისინი ვიზუალურ კალეიდოსკოპში დატრიალებულ სახილველსაც მაგონებენ. ამ ჯადოსნურ კალეიდოსკოპში დაკვირვებული თვალი თანდათან ასწორებს "ობიექტის", ნელ-ნელა ალაგებს გამოსახულებით სეგმენტებს, წარმოსახვით გადასწვებს ერთმანეთზე ნაფენილ "ალმებს" და თანმიმდევრობით იმსჭვალება საავტორო ინტენციებით, ანდა, უბრალოდ, იმგვარი ხედვით, მხატვრის თვალ-საზრისთანაც რომ გვაახლოებს და მის მჭვრეტელობით კვაზიმისტიკასთანაც გვაზიარებს.

ზემოთ "ალამი" ვახსენე და სანამ კალამი შორს არ გააქცევია, ბარემ განვმარტავ: ეს არაბული სიტყვა (ზოგადსემიტურად - "ოლამ") "დაფარულსაც" ნიშნავს და "დაფარულსაც"; თავის მხრივ, "ოლამ" - დრო-სივრცის კონტინუუმსაც გულისხმობს ანუ ისტორიას, რომლის არსებობის პირობაც წინაპრისა და შთამომავლის ერთიანობაა. ამ გაგებით, მხატვარი, თითქოსდა, ერთმანეთზე ნაფენილ დრო-სივრცეებსაც სინქრონულად წარმოგვიდგენს, როგორც გამჭვირვალე ფარდათა (ალამთა) წყებას და ჩვენც მოგვინოდებს, ამ "ოლამის" შიგნით ვიცხოვროთ ყველა იმათგანის ცხოვრებით, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ, ამჟამად ცხოვრობენ ანდა იცხოვრებენ მომავალში; სამოთხიდან განდევნილთა ცხოვრებით იცხოვრებენ...

ახლა კი, მშვიდად განვაგრძობ:

აბრამიშვილის საქმე (თუ ხელ-საქმე) სულაც არაა ყოფიერების გრძნობადი ხატის მოხელთება, ამიტომაცაა, ასე ფრთხილად რომ მიეახლება საგანს, აუარება ვიზუალური თუ პარავიზუალური პრედიკატებით ჯავშნავს თავისი "ტრფობის" ობიექტს და ჩვენი უშუალო, გამთვალავი მზერისგან შორს გადაისვრის. თუმცა, პარადოქსული ისაა, რომ რაც უფრო "შორით მწველი და შორით მდაბველია" ეს გამოსახულება, მით უფრო ახლოდანაა იგი ნასაკითხი, მით უფრო ინტიმური, და იმავდროულად - დაუნტერესებელი ჭკრეტისთვისაა განკუთვნილი.

კულტურის ენათა უამრავი ძღვენი არსებობს. ამგვარ "გლოსოლალიაში" ერთი უმთავრესი - "სემიტური ენაა", რომლის თანახმადაც, საგანი თავისთავად არ არსებობს, საკუთრივ საგანს აღარ მიენერება თვითკმარი არსებობა, საგანი მოცემულობა კი არა, ორი შემოქმედებითი ნატურის შეხვედრის ადგილია. ამ გაგებით, საგნის ტრანსცენდენტური არსის მიღმა კონკრეტული არტისტული ნება (თუ ძალისხმევა) იგულისხმება და არა იმდენად ჭკრეტას,

რამდენადც დიალოგს უფრო უახლოვდება.

აბრამიშვილისეულ ევრაზიულ "გლოსოლოლიაში", ერთი მხრივ სემიტური, ხოლო მეორე მხრივ, ინდოირანული მსოფლ-გაგებები სინთეზირდება. იქ, სადაც ებრაელი და არაბი ხედავენ დიალოგს, ირანელი, ინდოელი და ბერძენი მჭვრეტელობით სანყის აფიქსირებენ. სხვათა შორის, როდესაც მარტინ ბუბერი თავის თავის ფილოსოფიურ რეფლექსიებს დიალოგურ სანყისზე აგებს, ეს საგებობით გასაგებია, ხოლო როცა ბუბერისაგან ნასესხები, იგივე დიალოგიკა ბახტინის მიერ დოსტოევსკისთან იქნება "ალ-მოჩენილი", უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს მასალაზე უნატიფესი კულტუროლოგიურ-ესთეზიოლოგიური ძალადობის ფაქტთან.

შესაძლოა, ჩემი მხრიდანაც, ანალოგიურ ძალადობად იქნეს აღქმული (და კვალიფიცირებული) აბრამიშვილის არტ-დეკორზე გაკეთებული ჰერმენევტიკული მარგინალიზები, თუმცა, ალბათ, ისიც ფაქტია, რომ არაბთა სემიტურ და ირანელთა არიულ სულისკვეთებათა ურთიერთგამსჭ-



ვალვა არაერთ ყურადსაღებ პარალელს გაგვლენინებს "საგნის" ყოფიერების განსხვავებულ თემშარათა იმ მხარის-ტრალურ გზად გაფართოებისათვის, მთლიანობაში, სამყაროს სურათს რომ აღ-გვაველენინებს.

მოკლედ, მის სურათებში არაფერი არ "არის", უფრო ზუსტად, იმდენად ბევრი ფერია, რომ საბოლოო ჯამში არა-ფერია, ისევე, როგორც, ძველ სემიტურ ენაში, სადაც ზმნა - "ყოფნა" არ არსებობს, წინადადების წევრებს აკავშირებს პაუზები და, ამდენადვე: "ყოფნა" პრედიკატთა - "იყოს რაღაც", იყოს რაღაც-წაირ მდგომარეობაში და ა.შ. - არსებობის პირობად გვევლინება იმ დროს, როცა ძველ ბერძნულში, "ყოფნა" თავად კი არ გვევლინება პრედიკატად, არამედ ზემოხსენებულ პრედიკატთა არსებობის პირობას წარმოადგენს. ამას ჯერ კიდევ ემილ ბენვენისტი აღნიშნავდა.

აბრამიშვილისეულ სურათებში ყველაფერი (და ყველა ფერი) გვევლინება არა საგნად, არამედ პრედიკატად - "იყოს რაღაცნაირი", "რაღაცისფერი"... იყოს არა იმდენად ლეოპარდი (ანდა, ებრაულად-ნიმრა), არამედ ლეოპარდისნაირი, იყოს არა იმდენად ლომი, არამედ ლომისნაირი... ეს - რაც შეეხება აბრამიშვილისეული ბიბლიური ზოოპარკის ბინადართ, ახლა ფლორა ავიღოთ, აქაც იგივე სიტუაციაა: მხატვარი ხატავს არა, ვთქვათ და, ასკილს. თუნდაც ასკილის "მასალას", როგორც სამოთხის მეთაფორას, არამედ ასკილისნაირს, ანდა, უბრალოდ - ასკილის ნირს... რა ვუყოთ, რომ ხანდახან, ეს ნირი წამხდარიცაა.

იგივე - "სამოთხე"... ისატება არა სამი-ოთხი ფერით, არამედ სამოთხისნაირი ფერით, ანუ ისევე და ისევე, სამოთხის ნირით, სამოთხის აურით, სამოთხის მო-ჩითვით, სამოთხის გა-ნაბვით, სამოთხის გარინდებით, სამოთხის რიტმით, სამოთხის სივრცის ვარდისფერი თოვლით, სამოთხის "დოვინ-დოვენ-დოვლით", ანუ იმ ირაციონალური აუდიოვიზუალური მუსიკით, რომელსაც ყოველდღიურ ჯოჯოხეთში ვერ მიაყურადებ.

მოკლედ, პარადიზში "არის" გამორიცხვულია, ანუ გამოსახულება, როგორც ასეთი, "ბრჭყალებშია" ჩასმული, რაც დაახლოებით, იმგვარ სიტუაციას ჩამოჰგავს, როდესაც საგნისა და მისი პრედიკატის დამაკავშირებელი სიტყვა - "არის" - წინადადებაში არ ჩანს...

დიახ, საგნები იმდენად არიან ჩაძირული სურათში, რომ ადგილი აღარც კი რჩება "ყოფნისათვის", ანუ განკერძოებული "საგნისათვის". შემთხვევითი არაა (ნეტავ, რაღაა შემთხვევითი?!), რომ ნასირ ხოსროვი წერდა: "თუკი მკითხავენ, რა არის ხატის (სურათ) ჭეშმარიტება, მე ვუპასუხებ: "ნებისმიერი საგნის ხატი არის ისეთი, როგორიცაა მასში მყოფი საგნის ყოფიერება (ბა-დან ასტ.). მარტინ ჰაიდეგერი კი ასე იტყოდა: "ყოფიერება ნიშნავს დასწრებას" (Anwesen); ყოფიერების შეგრძნებების მოთხოვნილება, დიახაც, საგნის უშუალო მოცემულობაა, "საგანში" კი, დაუყოვნებელი დასწრების განცდა, რამაც არიული სიბრძნისა და ბერძნული ფილო-სოფიის საზიარო წყაროსკენაც უნდა მიგვანიშნოს.

ასე რომ, აბრამიშვილისეულ ევრაზიულ არტ-დეკორშიც შეიძლება განვჭვრიტოთ ერთგვარი "ორი კალმის" პრინციპი ცნობისათვის: ეს თეორია ყაზი-ახმადის მიერ 1596-97 წლებში დაწერილი, ძველი ირანელი კალიგრაფებისადმი მიძღვნილი ტრაქტატისთვის დაწერილ კომენტა-რებში იქნა სახელდებული პროფ.ხაზოდერის მიერ.

ერთი მათგანი - ლერწმის კალამია, მეორე - ფერწერული. ამგვარი კომპრომისული პრინციპი კარგად ახასიათებს ჩვენს "მხატვარ-კალიგრაფს", რომელიც სემიტურ ლოგოსფეროს უკანონოდ (ხოლო, მხატვრულად-კანონიერად!) აქორწინებს არიულ იკონოსფეროსთან და ასე ქმნის ბიბლიურ სამოთხეს, რომელიც ქრისტიანუ-

ლი "ხატის" ნიშნებთანაცაა ნილნაყარი და ისლამური "სურათის" თვისებებთანაც. იგი ევროპულ "შორსმჭვრეტელობასთანაცაა" ნაზიარევი და აღმოსავლურ "ახლომხედველობასთანაც".

აბრამიშვილისეული "ორივე კალამი" თანაბრად ღირებულია, თანაბრად საქები, თუმცა, შეიძლება თავად ავტორი მოკრძალებულად ფიქრობდეს: "ორი კალამი, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში?"

ტაში იქით იყოს და "ორი კალამით" ნახატ "სურათებში", ხატი, როგორც ასეთი, ერთგვარი ნაყმით იქსოვება. სიტყვა "ნაყმ"-ხატის" ეკვივალენტაცაა და "ნახატის", "გამოსახულების", "ნაკვალევის" სინონიმიც, რაც მეტაფორულად ერწყმის "წინასწარმოხაზვის", "ბედის" ანდა უკეთ: "ბედისწერის" სემანტიკურ-ჰერმენევტიკულ რიგს, თუნდაც, ობობას ქსელის მაგვარ ბადეს, რომელიც, სწორედაც, ბედისწერასავით შეგვიტყუებს თავის პროვიდენციადღურ-ჰომოლოგიურ ტექსტურაში...

და მაინც, მხატვრული სახე (ძველმოდური ტერმინია, არა?) ხომ, მისი შემოქმედის მდგომარეობათა (ახვალ) ბედისწერაცაა, ანუ სტასისის ექს-სტასისია, მისი შემდგომი ყოფიერების წინასწარი მონახაზია. არც ის უნდა იყოს შემხვევითი (Sic), როცა "ფერწერის ნესებში" (კანუნ ას-სუფარ) სადიკ-ბეკ აფშარი, ზემოხსენებული ყაზი-ახმადის ეს თანამედროვე წერს: "არავის ძალუძს განჭვრიტოს, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე, მიზანი ისაა, რათა ეს ხატი დარჩეს ჩვენს სახსოვრად".

ნესითა და კანონით, არც მერაბ აბრამიშვილმა უნდა უწყოდეს, თუ როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე; მისეული ევრაზიული არტ-დეკოც ამიტომაც განწირული სამახსოვროდ...

ეს სახსოვარი კი, უზენაესის სახელით დგინდება, და ამდენადვე იგი სუვერენული; და სუვენირულიც..

სუვენირი ხომ სახსოვარს ნიშნავს, სამახსოვრო საჩუქარს?! რაც მთავარია, აბრამიშვილისეული სამოთხისეული დისკურსი, მიუხედავად ერთგვარი ანაქრონიზმისა, მაინც პოსტთანამედროვე კულტურის ტანის აღმწერი აგრეგატია, ეს ტანი კი დაცლილია სისხლისგან, პრინციპულად ანემიური და სტერილურია, მით უფრო, რომ "სამოთხეში" ყოფნა ნიშნავს, ხედავდე, გაგების გარეშე (ეჩერნი). თანამედროვე ("სამოთხური"?) დროის ნიშანი კი, მრავალფეროვანი საზრისის საპალნისაგან დაღლილობაა, ყოველ შემთხვევაში, ეს საპალნე არტ კრიტიკას აქვს გადალოცვილი და თავის "სამოთხეში" განმარტოებული ავტორიც, კრიტიკის განმარტებითი (ჰერმენევტიკული) ინვესტიციებითა სულდგუმლობს.


აბრამიშვილისეული ევრაზიული არტ-დეკო თავისი "ცარიელი ადგილებით" იმასაც გვკარნახობს, რომ დღეს "ღვთაების ვაკანსიაც" თავისუფალია, რომ "ღმერთი მკვდარია", ოღონდ, მაინც არსებობს რაღაც აბსტრაქტული, რაღაც უფორმო რელიგიურობა, სამყაროში არტ-დეკორატიულად განფენილი რელიგიურობა. ამგვარ ჰორიზონტში უნდა აღვიქვათ მისი ბიბლიური "პროსტიტუტების" ერთგვარი პორნოლატრიულობა ანუ ბატაისეული "ცოდვათათყვანისცემა". ესაა ცოდვილობისა და გარყვნილების საკრალური პლანი, ის პოსტმოდერნული კონფიგურაცია, რომელსაც, ისევ და ისევ ძირძველ რელიგიურ ტრადიციასთან მივყავართ. იგივე ჟორჟ ბატაი თავის ნიგნში - "ეროტიზმი" წერდა, რომ ძველ პროსტიტუციად შქონდა ადგილი შეცდომილი ქალის ერთგვარ განწმენდას, თანაც განწმენდას - აკრძალვის დარღვევის აქტში; და ამ "დარღვევაში" მუდმივად ვლინდებოდა სქესობრივი აქტივობის ტაბუირებული ხასიათი. "ძველი ბოზის" მთელი ცხოვრება ხომ ერთ "საკრალურ" მიზანს ეძღვნებოდა - ტაბუს დარღვევას; და აქედანვე მომდინარეობს ღვთაებრივი პროსტიტუციის უძველესი პრო-

ფესიული ინსტიტუტი, ინსტიტუტი შეცდომილი ასულისა, რომელიც საკრალურს იმავე ტოპოსებში ეზიარებოდა, რა ადგილებშიც ქურუმები ეზიარებოდნენ ხოლმე..

ამ გაგებით, ბატაისეული ბინარული წყვილები: "წმინდანი - მეძავე" (დონ ამინადო - სიმონა, რომენრ ს. - ეპონინა და ა.შ.) უძველეს ტრადიციებში ენერებიან და საკრალურის სფეროსთან ზიარების კანონიერ პარტნიორებად გვევლინებიან.

საკრალურთან მოზიარე "წმინდანების" კანონიერი პარტნიორები არიან აბრამიშვილის "პროსტიტუტებიც", თუმცა, საკითხავია, მაინც ვინაა ამ ევრაზიული ჰარამხანის პერსონაჟი - სადისტური ლიბერტენი, თუ ბატაისეული გარყვნილი. არადა, ამ ორ გათახსირებულ არსებას და მათი ცხოვრების ორ წესს შორის პრინციპული სხვაობაა: ლიბერტენი ეკონომისტია, შემოსავლის მაძიებელია, ანუ სხეულით მოვაჭრეა, მეძავეა ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით. დემომიორი კი, უბრალოდ, გარყვნილია, სხეულის "უპრაგონოდ" მხარჯველია; debauchee-ის არსი - შემოსავალი კი არა, გასავალია. აქედან: ლიბერტენი - კაპიტალისტური "შესაქმეა", გარყვნილება კი "სოციალისტურ-ნიჰილისტური". თუმცა, როგორც უკვე მივანიშნე, აბრამიშვილი, როგორც ყველა ნამდვილი ესთეტი, "ახლომხედველი" მხატვარია, და ამდენად, მისგან არც უნდა მოველოდეთ საკუთარი "ჰარამხანის" ტიპოლოგიურ კონკრეციას, და ვერც ნივთიერბორცილ საფუძველს შეიძლება ვხედავდეთ მისი ოპუსების თხზვის უშუალო აქტში, რადგანაც ეს, "სურათები" ერთგვარი არტენოგენეზის, ანუ "არასქესობრივი" ესთეტიკური ჩასახვის - ვეგეტარიანული გამრავლების პრინციპით უფრო იქსოვება, ირთვება, ლამაზდება... და შესაძლოა, ამის გამოცაა ასე არამინიერად, ანუ სამოთხისეულად მიმზიდველი, ალბათ, "სუვერენული ტანიც" (ისევ ბატაის ალუზიამ), ამიტომაც არ იზიდავს მხატვარს... და მისი შესაქმეც ამის გამოა მით უფრო სუვერენული, ანუ უზენაესს ნაზიარევი; და სუვენირულიც, ანუ სამოთხის სამახსოვრო ძღვენი...

იქნებ, ხელოვნება მართლაც, სამოთხიდან გამოგზავნილი საჩუქარია, "მოკითხვამდე" გამოგზავნილი სუვენირი?!



იესო - ძე კაცისა



რანის სათარგმნელად მოიცილიან, მე მგონი, ქართველ მკითხველს ეს ფრაგმენტებიც დააინტერესებს.

თვითონ რომანი ჯიბრანის ფანტაზიით აღდგენილი იესოს თანამედროვეთა მონათხრობების კრებულს წარმოადგენს. მისი ძირითადი წყარო "ოთხთავია", თუმცა გულუბრყვილობა იქნებოდა, მკითხველს ჯიბრანისაგან მხატვრულ ნაწარმოებში სახარების ყველა დეტალის განუხრელი დაცვა მოეთხოვა. ჯიბრანს სახარების დაუმთავრებელი ფრაზები, სიუჟეტები და კოლიზიები უფრო აინტერესებს, რომელთაც მერე საკუთარი ფანტაზიის მეოხებით ავრცობს და ასრულებს. ეს ადამიანების თვალთ დასახლები იესოა, წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი და ძალიან საინტერესო. ამიტომაც ჰქვია რომანს "იესო - ძე კაცისა".

მისარგმნელი

ანა, მარიამის დედა, იესოს დაზავების შესახებ

ქ, ნაზარეთში, იანვრის თვეში შეეძინა ჩემ გოგოს იესო. სწორედ იმ ღამით, როცა ის დაიბადა, ჩვენთან ერთი აღმოსავლელი კაცი ჩამოხდა და თან პილიგრიმები მოიყვანა - სპარსელი მოგვები, რომლებიც ეგვიპტეში მიდიელთა ტომების მოსანახულებლად მიეშურებოდნენ, გზად კი პალესტინაზე გამოვევლოთ. დასასვენებლად ადგილი ვერ მოეძებნათ; ჩვენთან მოვიდნენ და ღამის გასათევი ითხოვეს. - მობრძანდით-მეთქი, - კი დავპატიჟე, მაგრამ თან მოვუბოდიშე კიდევც: - ჩემ გოგოს ამ ღამით ბიჭი შეეძინა და იმედია, მაპატიებთ, თუკი როგორც დიასახლისი; საკადრისად ვერ გიმასპინძლებთ-მეთქი. მადლობა მითხრეს მასპინძლობისათვის, ივანშემს და მკითხეს - თუ შეიძლება, ახალშობილს ვნახავთო.

მარიამის ძე ულამაზესი იყო და დედამისიც საუცხოო მშვენებით ბრწყინავდა.

ხოლო როცა მოგვებმა იხილეს მარიამი და მისი ძე, ამოიღეს აბგებიდან მცირედი ოქრო, გუნდრუკი და მური და ყველაფერი ახალშობილის ფეფებთან დააწყვეს. შემდეგ მუხლი მოიყარეს და რომელიღაც უცხო ენაზე, მე რომ არ მესმოდა, ლოცვა აღავლინეს.

როცა იმ ოთახისაკენ წავუძებნი, მათთვის რომ გავამზადე, ისე მიდიოდნენ, თითქოს, შეძრწუნებულნი იყვნენ იმით, რაც იხილეს. დილით კი, ჯერ ხეირიანად არ ერიურაჟა, რომ დაგვტოვეს და განაგრძეს თავიანთი სავალი - ეგვიპტისკენ. თუმცა, სანამ დაგვმორდებოდნენ, გამომელაპარაკნენ და მითხრეს:

- ჩვილი ჯერ ერთი დღისაც არ არის. ამის მიუხედავად, მის თვალებში ჩვენი ღმერთის ცეცხლი, ღანცებზე კი უფლის ღმერთის ათინათი შევამჩნიეთ; ამიტომაც, გთხოვთ, უპატრონოთ, სანამ გაიზრდება და ყველას ერთად გვიპატრონებსო! - საუბარი რომ მო-

დიდი არაბი მწერლის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შესანიშნავი რომანი "იესო - ძე კაცისა" ინგლისურად დაინერა. ჯიბრანი, რომელიც გასული საუკუნის ორენოვანი არაბი მწერლების ჯგუფს ეკუთვნოდა, ერთნაირი წარმატებით წერდა როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ ენებზე. რომანი, რომლის დედანიც ინგლისური კულტურის კუთვნილება გახლავთ, ქართულად დოქტორ სირვათ აქაშას მიერ შესრულებული არაბული თარგმანიდან გადმოვიღე და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა უარი ვთქვი პრინციპზე - არაფერი მეთარგმნა შუამავალი ენის მეშვეობით. ამის მიზეზი მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ ინგლისური არ ვიცო. ეს ერთგვარი პროტესტიც არის ლიტერატურული ბილინგვიზმის წინააღმდეგ, რადგან მჯერა, მწერალი მხოლოდ მშობლიურ ენაზე ახერხებს საკუთარი თავის სრულყოფილად გამოხატვას. ამდენად, დოქტორ აქაშას მიერ არაბულად თარგმნილი "იესო - ძე კაცისა" შესაძლოა უფრო ხალილ ჯიბრანი იყოს, ვიდრე ამ წიგნის ინგლისური ვარიანტი. მით უფრო, რომ ცნობილი არაბი მწერალი და ლიტერატურის თეორეტიკოსი ქამილ აშ-შანავი რომანის არაბული თარგმანის შესახებ შენიშნავდა:

"დოქტორ სირვათ აქაშამ მოახერხა თავის თარგმანში ინგლისური ჯიბრანი ჯიბრანის არაბული სტილით გადმოვიღო. ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნა წყლის ერთი ჭურჭლიდან მეორე ჭურჭელში გადასხმას ნაავგავს, როცა მოძრაობისას აუცილებლად იკარგება რაღაც, თუნდაც რამდენიმე წვეთი. თუმცა, როგორც ჩანს, დოქტორმა აქაშამ "იესო - ძე კაცისას" თარგმნისას რაღაც მეტაფიზიკური "ძაბრით" ისარგებლა და ჯიბრანი ინგლისური ჭურჭლიდან არაბულ ჭურჭელში უკლებლივ, შესამჩნევი დანაკარგების გარეშე გადმოვიღო."

მე არ ვიცი, როგორ მოვახერხე იმავეს გაკეთება "არაბული ჭურჭლიდან" "ქართულ ჭურჭელში"; მაგრამ ვიდრე ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტები ჯიბ-



ათავეს, აქლემებზე ამხედრდნენ და ამის შემდეგ მათთვის თვალი აღარ მოგვიკრავს.

მარიამს კი იმ წუთიდან ისეთმა ძრწოლამ და შიშნეულმა გაოგნებამ დარია ხელი, რომ ამ გრძნობამ შვილის სიხარულიც კი გადაფარა.

რამდენჯერ ყოფილა, თვალს ჯერ ბავშვს შეავლებდა, მერე ფანჯრისაკენ მიბრუნდებოდა და მზერას შორეულ ჰორიზონტს მიაპყრობდა, თითქოს, რაღაც ხილვას უყურებო.

და სწორედ ამ დროს იყოფოდა ჩემი გული მისი გულისაგან.

ბავშვი სიჭაბუკეში გადადგა. ტანი ისე აიყარა და სულიერადაც ისე მოძლიერდა, რომ თანატოლებს არაფრით ჩამოჰგავდა. მარტოობისაკენ ისწრაფოდა; რთული ბუნებისა იყო და მორჩილებას ვერ ეგუებოდა. ერთ დღეს თვითონ მეც კი ხელიდან დამისხლტა. ამის მიუხედავად, იგი მთელ ნაზარეთს უყვარდა და ბუნებრივია, არც ეს ამბავი გამოეპარვია.

რამდენჯერ ნაულია სახლიდან ჩვენი სარჩო, რომ ვილაც უცნობი მოგზაურები დაეპურებინა.

რამდენჯერ სხვა ბავშვებისთვის უჩუქებია ის ტკბილეული, მისთვის რომ მიმიცია; ისე, რომ თვითონ გემოთიც კი არ გაუსინჯავს.

რამდენჯერ ამძვრალა ჩვენი ბალის ხეებზე ხილის დასაკრეფად, თვითონ კი არ შეუჭამია.

მეშურნეები ასწრებდნენ მტრობაში. თუმცა, მათზე სხარტი იყო, გამიზნულად აყოვნებდა და უნდოდა, მეტოქეებს თავიანთი გულისნადილი მასზე უნინ აესრულებინათ.

დროდადრო, როცა დასაძინებლად ვანვენდი, მეტყობდა ხოლმე:

- ნუ გაუმხელ დედაჩემსა და სხვებს, რომ ჩემი არსებიდან მხოლოდ სხეული იძინებს, სული კი ადამიანებთან რჩება, რათა წარუძღვეს მათ იმ დილისაკენ, რომელიც მეთნევა.

რამდენი საოცარი სიტყვა უთქვამს სიყმანვილეში, მაგრამ აბა, საიდან უნდა მახსოვდეს ახლა, როცა სიბერის გულმავინყოფა მომძალებია.

მეუბნებიან, რომ მისი ნახვა თვალებს აღარასოდეს გამოიცისკროვნებს! - მაგრამ როგორ დავიჯერო, რასაც ამბობენ.

ჯერ ისევ მესმის მისი სიცილი, მისი ნაბიჯის ჩქამი. ის დაღის ჩვენი სახლის გარშემო.

როცა ჩემ გოგოს ღანვებს ვუკოცნი, გულში მისი სურნელი მიტრიალებს, თვალწინ მისი სახეა დამიდგება და მკერდი მისი არსებით მევესება.

მაგრამ განა უცნაური არაა, რომ ჩემი გოგო არაფერს მეუბნება თავისი უფროსი ვაჟის შესახებ?!

ზოგჯერ ჩემი სიყვარული მისდამი თვით ჩემი გოგოსადმი სიყვარულსაც კი აღემატებოდა. ახლა კი, როცა ჩემი შვილი დღის შუქზე გამოვა და ტანმალალი, ბრინჯაოს ქანდაკს მოჰგავს, გული სიბრალულით მევესება და ცრემლების ნიაღვარი მომდის...

იქნებ, ჩემმა გოგომ იცის, რაც არ ვიცი და ნეტავ კი, მეტყობდეს, რა იცის...

იერუსალიმის ბანაპირას მცხოვრები კაცი იუდა ისპარიოტელის შესახებ

იმ პარასკევს, პასექის დღესასწაულის დამდეგს, მოვიდა იუდა ჩემს სახლთან და კარს ბრახაბრუნი აუყენა. სახლში რომ შემოვიდა, შევხედე: სახეზე მინისფერი დასდებოდა და ხელები ისე უცახცახებდა, როგორც გამხმარი ტოტები - ქარში. ტანსაცმელი ერთიანად მტვერში ამოგანგვლოდა, თითქოს, მდინარის შლამიანი ფონი გამოეცლო.

ცივი, სუსხიანი საღამო იდგა.

შემომხედა: თვალის ფოსოები ორ ბნელ გამოქვაბულს მიუგავდა, თვითონ თვალები კი უცნაურად ჩასისხლიანებოდა.

მითხრა: - იესო ნაზარეველი მის მტრებსა და ჩემ მტრებს ჩავაბარე! - მერე მხრები აიჩენა და თქვა: - იესო ამბობდა, რომ თავის მტრებსა და თავისი ერის მტრებს ერთიანად მოსრავდა. მეც დავუჯერე და მის გზას შევუდექი. პირველად რომ მოგვისმო, დაგვპირდა - ვრცელი, ძლიერი სახელმწიფო გვექნებო, - და ჩვენც, მომეტებული თანხმობითა და მორჩილებით, მისი უსაზღვრო სიყვარული დავიმსახურეთ; უკვე მის სამეფო კარზე მაღალ თანამდებობებსა და ხარისხებზე ვოცნებობდით, საკუთარ თავს მბრძანებლებად ვსახავდით და გვეგონა - რომაელებს ისე დავჩაგრავდით, როგორც ისინი გვჩაგრავდნენ ხოლმე.

იესო ბევრს საუბრობდა თავის სამეფოზე. მე კი ვოცნებობდი, რომ ლაშქრისა და მეომრების სარდლად დამნიშნავდა. მონდომებით ვუდექი კვალში და არც კი მიფიქრია, რომ მისი სამეფო არ არსებობდა; რომ მას აზრადაც არ მოსვლია ჩვენი დახსნა რომაელებისაგან. მისი სამეფო სხვა არა იყო რა, თუ არა გულის სახელმწიფო.

ვუსმენდი: საუბრობდა სიყვარულზე, სათნოებაზე, მიმტევებლობაზე და აღტაცებით უგდებდნენ ყურს გარსშემოკრებილი ქალები. მე კი გული მისივდებოდა სიმ-



წრით და კავშირით.

ერთხანს, იგი იუდეველთა აღთქმულ მეფედ მივიღე და შევიყვარე, როგორც სხვა ჩემმა თვისტომებმა. მასში ვხედავდი ჩემს ოცნებებსა და უცხოელთა ბატონობისაგან გათავისუფლებას.

მან კი ერთი სიტყვაც არ ისურვა ეთქვა და ხელიც არ გაატოკა ჩვენს დასახსნელად. პირიქით - მოგვიწოდა: მიეცითო კეისარს - კეისრისა.

აი, მაშინ კი საშინელმა სასონარკვეთამ დამრია ხელი, ყველა იმედი მომიკვდა გულში და ვთქვი:

- იგი რომელმაც მომიკლა იმედი, ღირსია, მოიკლას!
- რამეთუ იმედები ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასია!

იუდამ კბილები გაახრჭიალა, თავი ააკანტურა და როცა საუბარი განაგრძო, თქვა:

- გავეცი და დღეს ჯვარზეც გააკრეს... მაგრამ ჯვარზეც კი მეფურად მიიცივალა. მოკვდა ქარიშხალში, ისე როგორც კვდებიან მართალნი. სული რომ ამოსდიოდა, იქუხა და ცას ბინდი წაეფარა. გული თანაღმობით შქონდა სავსე. ვეცოდებოდი მე, რომელმაც გავეცი იგი.

ვუთხარი: იუდა საშინელი ცოდვა გიქნია!

მომიგო: მაგრამ იგი მოკვდა, როგორც მეფე. თუმცა, ამ ქვეყნად ხელმწიფესავით არ უცხოვრია... მერე აგერ, ამ სკამზე ქვასავით ჩამოჯდა. მე კი ოთახში ბოლთის ცემას მოვეყვი და კიდევ ერთხელ ვუთხარი:

- რა საშინელ ცოდვაში ჩაგიდგამს ფეხი!

იუდას სიტყვა აღარ უთქვამს. დუმდა, როგორც მიწა. ცოტა ხანში ფეხზე წამოდგა, სახე სახესთან მომიტანა და ამ დროს იმაზე მალალი მომეჩვენა, ვიდრე იყო. ხოლო როცა ლაპარაკი წამოიწყო, ხმა დამსხვრეული ჭურჭლის ზრიალს მიუგავდა:

- არა მჯერა, რომ გული მატყუებდა! მე მის სამეფოს ამაღამ დავანგრევე, წარვსდგები მის წინაშე და შენდობას ვითხოვ. ის მეფესავით მიიცივალა, მე კი ცოდვილივით ჩაეძაღლდები. გულის სიღრმეში მწამს, რომ იგი აუცილებლად მაპატიებს!


ეს რომ თქვა, სამოსის აფართხუნებული კალთები აიკეცა და დასძინა:

- რა კარგი ვქენი, ამაღამ რომ შენთან მოვედი. თუმც კი შეგანუხე, მაგრამ თუ შეგიძლია მაპატიე, შენც მაპატიე... უთხარი შენს შვილებსა და შვილიშვილებს: იუდა ისკარიოტელმა გასცა იესო ნაზარეველი, იმის გამო, რომ იესო თავისიანების მტერი ეგონაო. ესეც უთხარი: იუდა იმავე დღეს, როცა ეს ცოდვა ჩაიდინა, კვალში მიჰყვა ხელმწიფეს - ზეციური ტახტრევენამდე, რათა სული მიეხარებინა და დანაშაული გამოესყიდაო.

მე კი ვიტყვი, რომ ჩემ სისხლს სურდა მისთვის ნასროლ ქვებზე დათხევა და სული ჩემი იმის დახსნას მიენსრაოდა.

იუდა უკან გადაიხარა, თავით კედელს მიეხრინა და თქვა:

- უფალო... შენ, ვისი სახელიც არ აშინებს ადამიანს, ვიდრე მხრებზე სიკვდილის თითები არ შეეხება... რატომ დამბუგე ცეცხლით, რომელსაც შუქი არა აქვს; რატომ აჩუქე გალილეველი დედამინას იმ სიყვარულით, ჩვენ რომ არ ვიცით, არ შეგიძლია... რად დაამძიმე ჩემი მხრები გრძნობით, რომელიც არა სცილდება შინაურების სიყვარულს და კერის ერთგულებას?... ახლა ვინაა ის იუდა, ხელები რომ სისხლით მოსვრია?! მომეცი ხელი, რომ ჩემზე თავი შორს მოვისროლო; შემადლებინე ეს ამაღამვე მოვიმოქმედო და შემენიე, ერთხელაც დავდგე ამ საზღვრებს გარეთ! მძიმეა ჩემთვის თავისუფლება, რომელსაც ფრთები არ გააჩნია; ამას ჯობს, უფრო დიდი ციხის ტუსალი ვიყო... ნეტავ, ცრემლებს ნიაღვ-



რად ვცეულიყავი, რომელიც მერე მარილიან ზღვას შეერთვოდა. ნეტავ ის კაცი ვყოფილიყავი, ვისაც შენი წყალობა უწევს, არა-კაცი, ვისი გულიც დახურულია“.

ამას ამბობდა იუდა. მერე კარი გამოგლიჯა და ცივი იამბეთში გადაეშვა.

იერუსალიმი სამი დღის შემდეგ მოვინახულე და შევიტყვე ყველაფერი, რაც მომხდარიყო. ისიც გავიგე, რომ იუდა მალალი კლდიდან გადავარდნილიყო და თავი მოეკლა. ამ ამბებზე მერე უფრო ბევრი ვიფიქრე და კარგად მივხვდი, რა აწუხებდა იუდას... ასე დასრულდა მისი უმნიშვნელო ცხოვრება; გაქრა, როგორც ნისლი - იმ ქვეყნის თავიდან, რომელიც დაეპყროთ რომაელებს დიდი მოციქულის დროს ზეცად რომ ამაღლდა.

ამ კაცს უნდოდა სახელმწიფო, სადაც თვითონ იქნებოდა ხელმწიფე;

იმას კი სურდა ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი მეფე იქნებოდა.

გალილეველი ძვრივი იესოს სისასტიკის შესახებ

ერთი ძე მყავდა; იმის შემდეგ შვილი აღარ გამიჩენია. იგი ჩვენს ყანაში მუშაობდა და კმაყოფილიც იყო ამით, ვიდრე იმ კაცის შესახებ გაიგებდა, იესოს რომ ეძახდნენ, რომელიც ხალხს მოძღვრავდა.

უეცრად შეიცვალა ჩემი ბიჭი. თითქოს სხეულში ავი სული ჩაუსახლდაო. მიატოვა ყანა და ბაღი, მეც მიმატოვა... უმაქნისი გახდა და გაზარმაცდა.

იესო ნაზარეველი ნამდვილ უბედურებად დაგვატყდა თავზე. განა კეთილი კაცი დედას შვილს დააცილებს?!

უკანასკნელად ასე მითხრა ჩემმა ვაჟმა: მე მის მონაფეთხთან ერთად ჩრდილოეთის მხარეში მივდივარ. ჩემი სიცოცხლე ნაზარეველისთვის შემინირავს. შენ მშობე და ამისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევ წასვლას... არ გეცილები ჩვენს მადლიან მი-

წასა და იმ ოქრო-ვერცხლს, რაც გვაბადია. თან არაფერი მიმაქვს, ამ აბგისა და იმ ჯოხის მეტი.

ასე მითხრა ჩემმა შვილმა გამგზავრების წინ.

ახლა კი რომაელებმა შეიპყრეს იესო, ჯვარს აცვეს და კარგად მოიქცენენ.

რადგან კაცი, რომელიც დედას შვილს აცილებს, საეჭვოა, ღვთისმოსავი მორწმუნე იყოს.

კაცი, რომელიც ჩვენს შვილებს არაიუდეველი ერების ქალაქებისაკენ უბიძგებს, საეჭვოა, ჩვენი კეთილმოსურნე იყოს...

დარწმუნებული ვარ - შვილი აღარასოდეს დამიბრუნდება. ამიტომაც, მძულს იესო ნაზარეველი. ის იყო მიზეზი, რომ მარტოდმარტო მეცხოვრა ყანაში, რომელსაც ჩემი შვილის მერე მეურნის ხელი აღარ შეხებია; ბაღში, რომლის ხეებიც ერთიანად გადახმნენ. ამიტომაც, მეზიზღებიან ისინი, ვინც იესოს ამართლებენ...

ცოტა ხნის წინათ, ისიც კი მითხრეს - იესოს უთქვამს:

- ვინც მოისმენს ჩემს შეგონებას და კვალში ჩამიდგება, მე ვიქნები მისი დედაც, მამაც და ძმაცო! მაგრამ რატომ, რატომ მოუწოდებ და შვილებს მიეცოვებიანთ დედები და ცოდევაში ჩამდგარიყვენ?!
ან ჩემმა შვილმა როგორ დაივინცა ჩემი რძის მადლი, რომლის გემოც მის მეტს აღარავის გაუსინჯავს!

როგორ დათმო ჩემი მკლავების მშობლიური სითბო და გაემართა ჩრდილოეთის მხარეს, სადაც სიცივე ჭახხახებს და საშინელი ჰავაა...

დიან, მე მძულს ნაზარეველი და მეძულება სიცოცხლის ბოლომდე...

მარიამ მაგდალინელი იესოსთან თავისი პირველი შეხვედრის შესახებ

იენის იდგა, როცა იგი პირველად ვნახე; პურის ყანაში მიდიოდა მხრებში მოხრილი, მე რომ ჩემს მხეველებთან ერთად პირისპირ შევეჩქე. განსხვავდებოდა სიარულის ყაიდით სხვა კაცებისგან. ისეთი დიდებულით მიდიოდა, ვერავის შეგადრიდი. არასოდეს მინახავს, მაშაკაცებს მასავით სწრაფად ევლოთ. დღემდე ვერ ვხვდები: მიცურავდა თუ მიფრინავდა.

დაქალებს მასზე მივანიშნე და თითოეულმა მეორეს მისი გამოგზავრება დაუწყო შესარცხვენად. მე წამით ხელი ავუწიე მისასალმებლად. მას კი სახე ჩემკენ არ მოუბრუნებია და არც შემოუხედავს. უცებ შემზიზღდა იგი და შევიძულე. თავი შემებრალა და ისეთი სიცივე დამეუფლა, თითქოს, გამყინავი ქარიშხალი დამატყდა და გული შემირყია.

იმ ღამით იგი დამესიზმრა. მერე მითხრეს, რომ ძილში მიკვნესია და ლოგინში მიბორგვია. მას შემდეგ აგვისტომდე აღარ მინახავს. აგვისტოში კი ჩემი ფანჯრიდან მოვკარი თვალი. ჩვენი ბაღის წინ საროს ჩრდილში ჩამომჯდარიყო და ისეთი უძრავი იყო, როგორც ქვისაგან გამოთლილი, ანტიოქიური ან ჩრდილოეთის სხვა ქალაქების ერთი ქანდაკი.

მოვიდა ჩემი ეგვიპტელი მეზობელი და მითხრა:

- ეს კაცი აქ უკვე მეორედ გამოჩნდა. ახლაც მოსულა და შენი ბაღის კიდეზე ჩამომჯდარა!

შეგხედე მას და სულის სიღრმეები შემიდრწუნდა.

ლამაზი იყო. მშვენიერი სხეული ჰქონდა. მომეჩვენა, რომ მისი ტანის ყოველი ასო სიყვარულით იყო გადაბმული. სასწრაფოდ ჩავიცივი დამასკოური აბრეშუმის კაბა, შინიდან გამოვედი და მისკენ გავემართე. ვფიქრობ. მისკენ სიმარტოვებ მიბიძგა, ანდა მისმა გამაბრუნებელმა



სურნელმა მიმიზიდა. იქნებ, თვალი დამეხარბა სილამაზეზე, ანდა მისმა მშვენებამ დამაბრმავა. - დღემდე ვერ გამიგია!

გავემართე მისკენ შრიალა სამოსელში გამოწყობილი, საუცხოო სურნელი რომ ასდიოდა. თავზეც რომაელი მხედართმთავრის ნაჩუქარი დიადემა მიბრწყინავდა. მიკუთხლოვდი და ვუთხარი:

- დილა მშვიდობისა!

მომიგო: - დილა მშვიდობისა, მარიამ!

შემომხედა და სხვა ადამიანზე რომ არასოდეს მინახავს, ისეთი წამწამების ქვემოდან მომზირალი ღრმა თვალებით გამეჭოლა. უეცრად თავი მის წინაშე შიშვლად ვიგრძენი და შემრცხვა. თუმცა კი მას "დილა მშვიდობისას" მეტი არაფერი უთქვამს.

ვკითხე: ჩემთან მოხვედით?

მომიგო: განა სულ შენთან არა ვარ?!

მაშინ ვერ მივხვდი, ახლა ვხვდები, რას გულისხმობდა.

ვკითხე: პურზე და ღვინოზე ხომ არ დამენვევით?

მითხრა: ხო, მარიამ; ოღონდ, არა - ახლა...

ახლა - არა, ახლა - არა... ამგვარად მითხრა...

ზღვის ხმაური ისმოდა ამ ორი სიტყვიდან, ქარისა და ხეების შრიალი და როდესაც ეს ორი სიტყვა მითხრა, სიცოცხლე მკვდრებს დაეღაპარავა.

ნუ გაეკვირდება, ჩემო მეგობარო, მაშინ სწორედ რომ მკვდრებში ვენერე; სულამოცილი ქალი ვიყავი და ცოცხალი მხოლოდ ამ არსებობის გამო თუ მეტქმოდა, რასაც შენ უყურებ. ყველა კაცის სამასხარაო გახლდი, თუმც კი არავინ დამუფლებოდა ჭეშმარიტად. მეძავს მეძახდნენ და იმ ქალად მიმიჩნევდნენ, რომელსაც ცოფიანი ეშმაკები დაპატრონებოდნენ. ვიყავი დაწყველილი და თავს ნაცარნაყრილი... მაგრამ კმაროდა, მისი თვალების განთიადი ჩემს თვალებს შეხვედროდა, რომ უეცრად ჩემ ღამეში ვარსკვლავები აციმციმდნენ და გავხდი მარიამი, უბრალოდ - მარიამი...

ქალი, რომელიც მოსწყდა მინას, რაზედაც იდგა, რა-

თა საკუთარი სულისათვის ახალი ჰორიზონტები გადა-
ეშალა.

ისევ ვთხოვე: - შინ შემობრძანდით, პურზე და ღვინოზე დამეწვიეთ-მეთქი.

მკითხა: ასე დაჟინებით რად მეპატიუები?

თითქოს სხეულის მტვერი ერთიანად ჩამომცილდა, ჩემგან დარჩენილი სული კი მას მოუხმობდა, ვუთხარი:

- იმიტომ, რომ ჩემს კართან მოხვედი!

შემომხედა და მისი თვალების სინათლე დღის შუქი-
ვით დამეფრქვა სხეულზე. მითხრა: - რამდენს უყვარხარ
შენ, მარიამ; შენ კი ჩემ მეტი საყვარელი ვერ მოგინა-
ხავს. ალბათ იმად, რომ ჩემ გარდა, ყველა კაცს საკუ-
თარი თავი უყვარს შენთან შერწყმისას, მე კი... მე შენ
მიყვარხარ!

ჩემ გარდა, ყველა კაცი შენში ხედავს სილამაზეს,
რომელიც მანამდე გახუნდება, ვიდრე თვითონ მათ ასა-
კი გადაუვათ; მე კი შენში იმ მშვენიერებას ვამჩნევ, რომე-
ლიც არასოდეს ცვდება და ფერმკრთალდება.

მხოლოდ მე ვხედავ შენში იმას, რაც სხვათათვის უხ-
ილავია...

მერე ხმადაბლა დასძინა: - ახლა კი წადი. ხოლო თუ
ეს სარო შენი ხეა და არ გემეტება ჩემთვის, რომ მის
ჩრდილში ვიჯდე, მეც წავალ ჩემი გზით!

ვთხოვე: - მობრძანდით ჩემთან, სახლში, ბატონო!
საკმეველები მაქვს, ცეცხლს წავუკიდებ, რომ სახლი მა-
თი სურნელით აივსოს. აუზიცა მაქვს, მოვერცხლილი,
გავამზადებ და ფეხებს დაგბან. უცხოელი ხარ, მაგრამ
ჩვენთან არა ხარ უცხო; გეხვეწები - შინ შემომყევი.

წამოდგა და მზერა დახარა, რომ ჩემთვის დახედა.
შემომხედა, ისე, როგორც წელიწადის დროები აცქერ-
დებიან მიწდვრებს. გამიღიმა და წამლერებით მითხრა:

- შენში ყველა კაცს თავისთავი უყვარს. მე კი შენ-
ში - თვით შენ მიყვარხარ!

მერე წავიდა და დამშორდა.
მე კი სხვა არავინ მინახავს, მისნაირად მოარული.

თითქოს ნიავი იყო, ჩემ ბალს რომ გადაუქროლა და
აღმოსავლეთისაკენ გაემშურა...

არა, - იგი ქარიშხალი იყო, საფუძვლითურთ რომ
არყვეს საგნებს...

არ ვიცი...

მხოლოდ ერთი რამ ვიცი:
იმ დღეს ჩემი თვალების დაისში აგიზგიზდა ჩემს
სულში გაყურსული შეურაცხყოფების ცეცხლი და გავს-
დი მარიამი, მარიამ მაგდალინელი...

პილატა კონტოელი აღმოსავლური რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ

ჩემი ცოლი მანამდეც ბევრს მიყვებოდა ამ კაცზე, ვიდ-
რე თვითონ მას ჩემ წინაშე მოიყვანდნენ. თუმცა მა-
შინ მისი ნაუბრისათვის ყურადღება არ მიმქცევია. ჩემი
ცოლი ჩემი ქალი იყო; გულით უყვარდა აღმოსავლური
ტრადიციები და რელიგიური წეს-ჩვეულებები. იგი გან-
სხვავდებოდა იმ რომაელი ქალებისგან, რომელთაც მის-
ნაირი მდგომარეობა ეკავათ.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ ეს წეს-ჩვეულებები საფრ-
თხეს უქადადა იმპერიას, რადგან სადაც კი ამ წესებმა
გზა იპოვნეს ჩვენი ქალების გულებისკენ, მათში ნგრე-
ვისა და განადგურების თესლი ჩააპნიეს.

ეგვიპტე საბოლოოდ მაშინ დაეცა, როცა არაბულმა
ტომებმა ამ ქვეყანაში თავიანთი უდაბნოებიდან წამოყო-

ლილი ერთი ღმერთის რწმენა გაავრცელეს.

იესოს რაც შეეხება, მანამდე არ მინახავს კაცი, ჩემ-
თან საკუთარი ხალხისა და თანაც რომის მტრობის
ბრალდებით მოეყვანათ.

შემოიყვანეს სასამართლო დარბაზში. ხელები ტანზე
თოკით მიეკრა. მე სავარძელში ვიჯექი. წამოვიდა ჩემ-
კენ ფართო, მტკიცე ნაბიჯებით; აშოლტილი დადგა და
თავი ზემოთ ასწია.


ვერ მოვახერხე, ბოლომდე გამეაზრებინა ის გრძნო-
ბა, მაშინ რომ დამეუფლა. უტყრად ძალიან მომიწდა
(თუმცა, ვერ შევძელი), წამოვმდგარიყავი, ჩამოვქვეითე-
ბულიყავი ჩემი სავარძლიდან და ხელებში ჩავვარდნო-
დი. ისეთი გრძნობა გამიჩნდა - თითქოს კეისარი ის იყო
ამ დარბაზში. რალაც საოცარი დიდებულება ჰქონდა,
რომელიც თვით რომის დიდებულებასაც კი აღემატებო-
და.

თუმცა, ეს გრძნობა სულ რამდენიმე წამით გამიგრ-
ძელდა. მერე კი იგი კვლავ თავისი ერის მოლაღატე კა-
ცად, ხოლო ჩემი თავი მის მოსამართლედ და მსაჯუ-
ლად დავინახე. რალაც ვკითხე და პასუხი არ იწება. მხო-
ლოდ საყვედურით სავსე თვალებით შემომხედა, თით-
ქოს, მოსამართლესა და მსაჯულს თვითონ ყოფილი-
ყოს. გარეთ ხალხის ხორხოცი და ყვირილი გაძლიერდა.
ის კი კვლავ დუმდა; დაჟინებით მომჩერებოდა და თვა-
ლებში თანაგრძნობა და გულმონყალება ჩასდგომოდა.

გამოვედი და სასახლის ბანზე გადავდექი. ხალხმა
რომ დამინახა, უარეს ღრიალს მოჰყვა. ვკითხე: - რას
უშვრებით ამ კაცს? ისე იყვირეს, თითქოს ერთი ყელი-
დან ღრიალებდნენ:

- გვსურს, ჯვარს ეცვას იგი. რამეთუ ის ჩვენი მტე-
რია, რომის მტერია!
- ვილაცამ დაიძახა:
- არ უთქვამს, რომ ტაძრის განადგურება სწადია?!
- არ გამოგიცხადათ, რომ ხელმწიფება მისია?!





- ნურცვინ იქნება ჩვენი მეფე - კეისრის გარდა!
თავი დავანებე და სასამართლო დარბაზში შემოვბრუნდი. დავინახე, იგი ისევ იქ იდგა მარტოდმარტო და თავი კვლავ ზემოთ აემართა. მაშინ გამახსენდა ოდეს-ღაც წაკითხული ერთი ბერძენი ფილოსოფოსის სიტყვები:

ყველაზე ძლიერი ის კაცია, რომელიც მარტოა!
იმ წუთას ნაზარეველი უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი ხალხი.

მის მიმართ სიბრალული არ მიგრძენია, საკუთარი თავი შემებრალა და ვკითხე:

- მაშ, ეს შენა ხარ - იუდეველთა მეფე?!

ხმა არ გაუღია.

ისევ ვკითხე:

- შენ არ ამბობდი - ხელმწიფება მაქვს იუდეველებზეო?!

შემომხედა და მშვიდი ხმით მომიგო:

- შენ თავადვე მიწოდე მეფე. მე კი სწორედ იმისთვის ვარ დაბადებული და იმისთვის მოვედი, რომ დავდასტურო ჩემშარიტება!

განა გინახავთ კაცი, რომ ასეთ წუთებში ჩემშარიტებაზე დაენციოს ლაპარაკი!

შეძრწუნებულმა ნამოვიძახე. ვეკითხებოდი იმასაც და საკუთარ თავსაც:

- და რა არის ჩემშარიტება?! რაში სჭირდება ჩემშარიტება უცოდველ კაცს, თუკი იგი ჯალათის ხელს უჭირავს უკვე?!

დარწმუნებით მომიგო იესომ:

- არავისა აქვს მსაჯულება ამ ქვეყანაზე, სულისა და ჩემშარიტების მეტს!

ვკითხე: - გინახავს განა სულის თრთოლვა?!

მიპასუხა: - შენც კი გინახავს, თუმც არ გიგრძენია!

მაშ, სად არის სულის სარგებელი, ანდა სიმდიდრე ჩემშარიტებისა, როცა მართალს სიკვდილისაკენ ვეჭაჩებთ?! მე ამას იმპერიისათვის ვაკეთებ; ისინი იგივეს სწადიან თავიანთი ტრადიციების ერთგულების სახელით; ამქვეყნად კი, არც ერთ კაცს, არც ერთ ერსა და სახელმწიფოს არ შეუძლია რაიმეს დაეფუძნოს - თვითშემცნების გზაზე სვლისას, ჩემშარიტების გარდა.

და ვკითხე მას ისევ:

- განა შენ ხელმწიფე ხარ იუდეველთა?!

მიპასუხა:

- შენ ამბობ ამას. მე კი ქვეყანა დავიპყარი მოაქეამამდე!

რაც თქვა, ყველაფერში დავეთანხმე, გარდა ერთისა: ეს - რომი იყო, რომელმაც დაიპყრო ქვეყანა!

ხალხის ხმაური ისევ გაძლიერდა. ჩამოვედი ტახტიდან და ვუბრძანე - გამომყევი-მეთქი!

ისევ გამოვჩნდი სასახლის აივანზე და ისიც იქვე იდგა, ჩემ გვერდით! ხალხმა რომ დაინახა, მეხვიით იგრგვინა. მათ ყვირილში კი სხვა ვერაფერი გავარჩიე, გარდა ძახილისა.

- ჯვარს აცვი ეგე! ჯვარს აცვი ეგე!

მაშინ მოვუბრუნდი მღვდელმთავრებს, რომელთაც ჩამაბარეს იგი და ვუთხარი:

- ამ უცოდველ კაცს, რაც გასურდეთ, უქენით! შეგიძლიათ ზედამხედველობისთვის რომელი ჯარისკაცები დაინმაროთ!

გააკავეს იგი. მე კი გადავწყვიტე ჯვარზე, თავს ზემოთ წაენერათ: "იესო ნაზარეველი - იუდეველთა მეფე", თუმცა მიჯობდა - მებრძანებინა: "იესო ნაზარეველი - მეფე".

ტანსაცმელი შემოახიეს. ცემით დააოსეს და ჯვარს აცვეს.

მე შემეძლო, გამეთავისუფლებინა იგი, მაგრამ მის ხსნას უსათუოდ ჯანყი მოჰყვებოდა...

რომის იმპერიის ჩინოვნიკებს მუდმივად გამოადგებათ ეს სიბრძნე: უმჯობესია, არ ჩაერიონ დაპყრობილი ხალხების რელიგიურ საქმეებში.

დღემდე არ მჯერა, რომ ამ კაცს შუღლის გამონვევაზე მეტის გაკეთება შესძლებოდა. ხოლო რაც განვუსაჯე, ჩემი სურვილის გამო კი არა, რომისათვის მოხდა.

ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ სირია დავტოვეთ. იმ დღიდან მოკიდებული, ჩემი ცოლი უჩვეულოდ დადარდინდა. ზოგჯერ, მას აგერ, ამ წალკოტში მივუსწრებ ხოლმე, სახეზე რომ უდიდესი კაეშანი აფენია.

შვეტიცყვე: იგი სხვა რომაელ ქალებს ბევრს უყვება იესოს შესახებ.

საოცარია, კაცი, რომელიც სიკვდილით დავსაჯე, ბრუნდება აჩრდილთა სამეფოდან, რომ მოვიდეს და თავზე დამადგეს.

მე კი გამუდმებით ვეკითხები საკუთარ თავს:

- რა არის ჩემშარიტება და რა არის სიცრუე!

და განა უცნაური არაა, რომ ნაზარეველი მიპყრობს ხოლმე ლამის სიჩუმით მოცულ საათებში.

არა, არა... ეს არ მოხდება...

რომს ევალება, ბოლო მოუღოს ჩვენი ცოლების არეულ სიზმრებს...

არაბულიდან თარგმნა გიორგი ლოპუხანიძემ



ნაჯი ედ-დინ სამანი

ბოზები

ნაჯი ედ-დინ ას-სამანი. სირიელი ნოველისტი და დრამატურგი. დაიბადა 1959 წელს ალექსოპოში. 1976 წელს თეატრის სცენაზე დაიდგა მისი პირველი პიესა "მიმი ქალაქს ეძებს", რომელსაც 1977 წელს მესამე თეატრალურ ფესტივალზე პრემია მიენიჭა. გამოქვეყნებული აქვს ნოველების რამდენიმე კრებული. არის არაბ მწერალთა კავშირის წევრი.

ბებიჩემმა სადიკამ მოცახცახე ხელით ჩამოხსნა შავი მოსასხამის ქამარზე დაკიდებული რკინის დიდი გასაღები და დალილი თვალებით ხის მოჩუქურთმებულ კარზე ბოქლომს დაუნყო ძებნა... ცხრა წლის ბიჭი მის სახლოვებს ვდგავარ. ერთი სული მაქვს შევისუნთქო სურნელი, რომელიც მისი ძველი სახლის კარის გაღებისთანავე დაიფრქვევა და რომელსაც არც ერთი იმ სახლის სურნელება არ წააგავს, სადაც შევსულვარ ან ანი მომიწევს შესვლა... მის ტანსაცმელსაც იგივე სუნი უდის, მის სადღესასწაულო ნამცხვრებსაც; აცხობს და მოწნული კალათებით უგზავნის თავისი ვაჟების, ქალიშვილებისა და მოყვრების ოჯახებს. თანაც მაფრთხილებს, დღესასწაულის შემდეგ ყოველი კალათა დავუბრუნო. მეც ვუბრუნებ ცარიელ, მაგრამ სურნელოვან კალათებს.

გზა დამითმო შესასვლელად. შევედი გაბღენძილი და თავნება.

- გაბრაზებული ვარ შენზე, ბებო.
კარი მიხურა, თითქოს შემოჭრილი სიცხის ტალღა გარეთ მოისროლა. დერეფნის სიგრილე შესუნთქა. თავსაბურავი მოიძრო. ინით შეღებილი მჭიდროდ დანული თმა გამოუჩნდა. საყვედურით დავასწარი:

- არ დამტოვე მეყურებინა დედაჩემისთვის. ის ხომ ჩემს დას აჩენს!
ჩემსკენ გადმოიხარა ღიმილით:
- დედაშენი დაღამებამდე არ იმშობიარებს.
- და მიწა.

თმებზე ხელი მომიცაცუნა.
- ღმერთმა ქნას! ისე კი, მართლა გჭირდებათ სახლში თვალბატულა გოგო, რომ გიპატრონოთ.


დერეფანი სიცილით ჩაიარა. სახლის ეზო გადაკვეთა და მონყევით დაეშვა ღიმილის ხის ქვეშ მდგარ მონწულ სკამზე... არ მოუქცევია ყურადღება, როგორ ამოვიღე მუჭებით ეზოს აუზიდან წყალი და შევისხი სახეზე, კისერზე. თმა დავისველე აგვისტოს თავარა სიცილეში მქროლავი სიოს ძიებაში. ცოტა შევერილდი. ვცდილობ სახლში ატეხილი გინიასი დავივინყო... აღელვებული მამაჩემი ბებიქალის სკამით ხელში. ისიც, უმ იბრაჰიმი, უკან მოსდევს. დედაჩემი - რამდენჯერაც მუცლის ტკივილი წამოუვლის, ყვირის და ოთახში ბოლთასა სცემს. ფაცა-ფუცი გაუდით დეიდეებსა და მამიდებს. ისინი სახლს მეოთხე ძეობისთვის ამზადებენ.

ბებიჩემს ჩავეხუტე:
- დედა მედარდება.

თავზე მისვამს ხელს, რომელსაც იმის სუნი უდის. მას თავისებურად ეხერხება ჩემი დამშვიდება და დაყოლიება მას მერე, რაც ორი წლის ბიჭი თავის სახლში გადამიყვანა საცხოვრებლად, სიმარტოვე რომ გაეხალისებინა ბაბუაჩემის სიკვდილისა და დაქორწინებული ვაჟების ცალკე გასვლის შემდეგ.

- ბებო, როგორ იბადება ბავშვი?
დიდხანს იცინოდა.
- მარტივად, ჩემო კარგო.
- ამ საქმის დასაწყისი სიტუბოება, მისი ბოლო კი, ტანჯვა-წამება.

დღეს ვხვდები კი, რატომ იცინოდა დიდხანს?... იქნებ ნათქვამის მსგავს ისეთ ფრაზას ეძებდა, რომელიც ცხრა წლის ბავშვისთვის გამოცანად დარჩებოდა და იმავე შეკითხვებს გაუჩნდა.



მეც მივაყოლე:
- ბებო, როგორ გავნდი?
- შენ განნდი, როცა ფრანგებმა ქალაქში ბომბი ჩამოაგდეს.

წინ გავეჭიბე:
- ბომბი?!... მართლა?... ბომბი? ქვემეხიდან ისროლეს თუ თვითმფრინავიდან?

- მაშინ თქვეს, თვითმფრინავიდანო. მე თითონ არ მიწა აბუ დიაბის წისქვილის მსგავსი ხმა შემომესმა. ვიფიქრე, ბებიქალის სკამი გადაბრუნდა და იმის ბრახუნია-თქო. ვთქვი... ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! მტერსა და მოშურნეს თვალში ნაცარი... მერე მინა იძრა კარგა გვარიანად. ღმერთო გვიშველე! ვხედავ ქვებიდან წყალი გადმოიქცა პრიმუსზე და ორთქლით გაივსო სამზარეულო. სახლის შიდა ეზოში გამოვედი. ალ-უმარის მეჩეთის მინარეთიდან ღმერთის დიდება შემოგვესმა. ეკლესიაშიც შემოვრეს ზარს. შემდეგ უბანში ხმამ შემოაღწია: იდობის მკვიდრო, ვაჟებო და ქალიშვილებო, მოხუცებო! გადით ვენახებში, გაიქეციო, ფრანგები ციდან გვიშენენ...

ბებიჩემმა სული მოითქვა...
- მერე ბებო, გახვედი ვენახში?

- როგორ გავალ, პირველი წყალი უკვე დაიღვარა. ბებიქალმა ძაფი გასანთლა და გაიქცა. მამაშენს დავუყვირე, ხელი მოეკიდა დეიდაშენებისა და მამიდაშენებისთვის და ბაბუაშენის ვენახში გაქცეულიყვნენ. ქალები იატაკზე მილურსმულელებით დგანან. არც ერთი არ იძვრის. ვუყვირე ვარ მათ... არავინ არ კვდება დროზე ადრე. ნადით... ან დაგკარგავთ ორს, ან დაბრუნდებით და სამი დაგხვდებით. ნავიდნენ. ქალაქში დავრჩით შეიხი, მღვდელი, მე და დედაშენი...

წერწყვი გადაყლაპა:
- მხოლოდ ერთი ბომბი ჩამოაგდეს და ამ დროს შენც დაგვდე პატივი!
აღელვებულმა მის წინ ინახით ჩავიმუხლე.
- დიდი იყო, ბებო?

- არ ვიცი... ორი-სამი დღის შემდეგ ბაბუაშენი რამ ჰამდანის მიმართულებით წავიდა, მეც მასთან ერთად და ხალხიც ჩვენ გამოგვყვა... ვნახეთ სიგრძე-სიგანით ორი წყრთა ორმო. ჩავიდა ბაბუაშენი იმ ამომწვარ მინაში და ამოიტანა რკინის შავი ნატეხი. ხალხმა ყვირილი მორთო... ისმაილ ეფენდი, შეიძლება ხელეში აგიფეთქდეს. მეც ვიშვიში გამიღის. ბაბუაშენმა იყვირა... ვისაც სიკვდილის ეშინია, ნუ მომყვება. გაგვეცალა და ქლაქისკენ აილო გეზი. მე უკან დავედევნე... ჩემი ქმარია და მოვალე ვარ ჯოჯოხეთშიც გავყვე. ფეხის წვერებზე შემდგარი ვსტივარ. ის ნატეხი სახლშია და მე არ ვიცი?!

ბებიანჩემმა ამოიხრა:

- ბაბუაშენის ოთახში იდო მაგიდაზე, სანამ მოკვდებოდა. მერე... კარადაში შევიხანხე.

მივატოვე და ბაბუაჩემის ოთახისკენ გავვარდი. სტომა-სტომით ავლიე საფეხურები და "ოთხკუთხა" კარი შევალე. შევედი. კედლის კარადის პირველი კარი გამოვალე, მერე მეორე და ვიპოვე ის... რკინის შავი ნატეხი. წამახული წვერებით. ორი ნაბიჯით უკან დავიხიე... შემეშინდა ხელი დამეკარებინა ან აშელო. ოთახის შუაგულში მდგარ მრგვალ მაგიდას წრეს ვურტყამ. თვალი შევავლო ბაბუაჩემის კედელზე ჩამოკიდებულ სურათს. წარმოვიდგინე, რომ მამხნეებს: გაბედურონელ-ნელა მივუახლოვდი. ჯერ თითი შევახე. ჟანგის ნებოვნობა ვიგრძენი. მთელი ტანით მისკენ დავიხარე და ხელში ავიღე პირველად... მეორედ კი, ბებიანჩემის სიკვდილის შემდეგ, როცა მამიდები და ბიცოლები ძველი სახლის ნივთებს, მის საიდუმლოებებსა და სულს ინანილებდნენ, ვუთხარი მათ:

- დამიტოვეთ სამახსოვროდ.

გაცეცინათ გაოცებულებს ჩემს არჩევანზე. მივატოვე ისინი და კიბეზე დავეშვი; არაფრად ჩავაგდე მათი დამცინავი შენიშვნები. ჩვენი სახლისკენ გავემართე. რამდენიმე ვინრო შესახვევი გავიარე და ალ-ჯალას ქუჩაზე გამოვედი. არავინ დაინტერესებულა ჩემით და არც იმით, რაც ხელში მეკავა. მხოლოდ ერთმა შეავლო თვალი და ჩამიარა... ჩემს ოთახში შევიტანე და ჩემი სანერი მაგიდის კუთხეში მოვათავსე. ამ წლების განმავლობაში მის დახლქილ ზედაპირს ჟანგი მოშორდა.

აი, ის ახლაც აქაა... მიყურებს ცივად. მეც მას შევცქერი, როდესაც ჩემს მოთხრობას ვწერ. თითქოს ხელს მიშლის შესაფერი დასასრულის პოვნაში... ვტოვებ მაგიდაზე მიმოხნეულ ფურცლებს და ოთახიდან გავდივარ, ღამის ჰაერი რომ შევისუნთქო. სიგარეტს ვუკიდებ. ძველი სენივით მახსენებს თავს ჩვენი ოჯახის ტრადიციული ხუმრობის საგანი.

ჩემს თავს ვეკითხები:

- რა ჭკუაზე იდგნენ გენერალი კატრუ და მისი ინგლისელი მოკავშირეები, რომ ჩემი დაბადების დროს ბომბი ააფეთქეს?

აივანზე ვდგავარ და ჩემთვის ვიციხნი... სანერი მაგიდის კუთხიდან ჩემამდე აღწევს ყრუ ხმა, რომელიც ცივი მეტალის ქვითინს წააგავს და დამწვარი მიწის სურნელი უდის.

არაბულიდან თარგმანა იხმ(ილ)და ბრძმლიმქმ



სკრიბლი

იხსუვ იქრისი

ცნობილი ეგვიპტელი მწერალი იუსუფ იდრისი (1927-1995), პროფესიით ექიმი, პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე ახალგაზრდა ეგვიპტელ მკითხველთა კერპი გახდა. მალე ძველი თაობის მწერალთა ისეთი ავტორიტეტის აღიარებაც კი მოიპოვა, როგორც ტაჰა ჰუსეინი იყო. ეს აღიარება კანონზომიერი გახლდათ, რადგან იუსუფ იდრისამდე ვერავინ შეძლო გადმოეცა ცრუნებისაგან თავისუფალი ახალი თაობის სუფთა და ფარული სურვილები, გაცვეთილი მორალისადმი მათი შეურიგებლობა და ეგვიპტის ნათელი მომავლის რწმენა. მწერალს იზიდავს ერთი თვალის შევლებით უმნიშვნელო, არაფრით გამორჩეული ისტორიები, რომლებიც ხედვის საოცარი სიღრმით, ადამიანური თანაგრძნობით, მსუბუქი ირონიითა და თხრობის სადა მანერით მხატვრულ სრულყოფილებამდე აწყავს. ყოველივე ამის გამო იგი არაბმა კრიტიკოსებმა "ნოველის გიგანტად" მონათლეს.

ჩაზნეძილი ლეიბი

ქორწინების პირველ ღამეს, როდესაც ლეიბი ახალი, მაღალი და ფუმფულაა, იწვა კაცი თავისი ტანადი, მოსულს სხეულით და სინაზესა და სიფაფუკეში ჩაფლული ნებივრობდა. შემდეგ ფანჯარასთან მდგარ ცოლს უთხრა:

- გაიხედე... შეიცვალა ქვეყანა?

გაიხედა ცოლმა ფანჯრიდან, მერე კი თქვა:

- არა... არ შეცვლილა.

- მაშინ ერთი დღე წავუძინებ.

ერთი კვირა ეძინა. როდესაც გამოეღვიძა, ტანი ოდნავ ჩაფლულიყო ლეიბიში. მერე შეხედა ცოლს და უთხრა:

- გაიხედე... შეიცვალა ქვეყანა?

გაიხედა ცოლმა ფანჯრიდან. მერე თქვა:

- არა... არ შეცვლილა.

- მაშინ ერთი კვირა წავუძინებ.

ერთი წელი ეძინა. როცა გაიღვიძა, ორმო, რომელიც მის სხეულს "გაეთხარა", უფრო გაღრმავებულიყო. ცოლს უთხრა:

- გაიხედე... შეიცვალა ქვეყანა?

გაიხედა ცოლმა ფანჯრიდან. მერე თქვა:

- არა... არ შეცვლილა.

- მაშინ ერთი თვე წავუძინებ.

ხუთი წელი ეძინა. როცა გაიღვიძა, სხეული უფრო მეტად ჩაფლულიყო ლეიბიში. ჩვეულებისამებრ უთხრა ცოლს:

- გაიხედე... შეიცვალა ქვეყანა?

გაიხედა ცოლმა ფანჯრიდან. მერე თქვა:

- არა... არ შეცვლილა.

- მაშინ ერთი წელი წავუძინებ.

ათი წელი ეძინა. ღრმა ორმოდ ქცეულიყო ლეიბი მისი სხეულისთვის. მომკვდარა კიდევ, გადააფარეს სუდარა, რომლის ზედაპირი ისე მოსწორდა, რომ ნაოჭიც არ გაუკეთებია. გაიტანეს ლეიბიანად, რომელიც საფლავის ნიშად ქცეულიყო და მოისროლეს ფანჯრიდან ქუჩის მაგარ მიწაზე.

ამ დროს ცოლმა, მას შემდეგ, რაც უყურა, თუ როგორ მიებარა სამარის ნიშად ქცეული ლეიბი მის უკანასკნელ ადგილსამყოფელს, გაიხედა ფანჯრიდან, თვალი შეავლო სივრცეს და თქვა:

- ო, ღმერთო! ნამდვილად შეიცვალა ქვეყანა.

არაბულიდან თარგმანა იხმ(ილ)და ბრძმლიმქმ

ეგვიპტელი ჯოკონდა

ეს ჩემი პირველი მცდელობა როდია, ალბათ მესამე ან მეოთხე იქნება და ყოველ ჯერზე, როცა კი მოვიხდომებ ამის დაწერას, ვგრძნობ, რომ ენა, რომელსაც ვიყენებ, ბევრად უხეში, მოუქნელი და მშრალია საიმისოდ, რომ ამის გადმოცემა შეძლოს. ისეთი გრძობა მაქვს, რომ ჩვენი ენა, რომელზეც ვსაუბრობთ და ვწერთ, შექმნილია დიდთა ამბავთა და დიდთა გრძობათა ალსაწერად, იმ კლდისა არ იყოს, რომელიც დაქუცმაცებულიც კი სრულიად ხელშესახები ღორღი და ქვიშაა, მე კი რისი აღწერაც მსურს, მუსიკასავით ნაზია და ფქვილივით წმინდა, თითქოს ბნელ ოთახში სინათლის სხივს შემოყოლილი მტვრის ნამცეცია... არა, იგი ვიოლინოს ხმას ან ფლეიტის კვენსას კი არა ჰგავს, უფრო იმ მელოდიის მაგვარია, რომლის მოსმენაც მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ ხმაური შეწყდება მთელ დუნიაზე და სრულიად მიჩუმდება მთელი სამყარო, შემდეგ სული დაგენმინდება ყველა ამქვეყნიური სანუხარისგან, წარმავალი, მიწიერი გრძნობებისგან და შენში გაიღვიძებს ჭეშმარიტი მნიშვნელობები გულმონყალებისა, სიყვარულისა, თანაგრძნობისა და ადამიანობისა - უკვდავი, მარადიული ცნებები, რომელთა ოდესმე ხორცშესხმის იმედიც ასულდგმულებს კაცობრიობას და მხოლოდ მაშინ, საკუთარი თავის შემზადების ხანგრძლივი ძალისხმევის, ხანგრძლივი ჩაფიქრებისა და დუმილის შემდეგ აღმოაჩენ - ნაზ, სუსტ მელოდიას შეუმჩნევლად დაუნყია შენში შემოსვლა - არა მხოლოდ ყურთასმენის გზით, არამედ მთელი არსობიდან მთელ შენს არსებაში. ეს მელოდია ისეთნაირად აღწევს შენში, რომ თავადაც ამავე მოტივად გაქცევს, თითქოს მართლაც შეერთვი მუსიკას რაღაც უზომოდ გამჭვირვალე ერთობით.

საიდან უნდა გამაჩნდეს ისეთი სიტყვები, ამის აღწერას რომ შეძლებენ, მაშინ, როცა ჩვენი სიტყვები შექმნილია გარკვეული, მკაფიო მნიშვნელობებისთვის, ყოველგვარ ეჭვსა და ცდომილებას რომ გამორიცხავენ. საიდან მოვიტანო სიტყვები, რომლებიც შეძლებენ იოტისოდენა მღელვარების, სულ მცირედი კრთომის, სუსტი, გამაფრებული ჩქამის აღწერას, რომელიც ლამის სმენასაც გამოეპაროს?

საიდან უნდა მქონდეს ფერები, რომლითაც შემეძლებოდა ქრისტიანი გოგოს, ჰანუნას კანის ფერის აღწერა! ეს ხომ იმ ფერს ხელწინფება, რომელიც არც თეთრია და არც ხორბლისფერი, არც ვეროპული და არც აღმოსავლური, არც ჩემი ეგვიპტური და არც ნილოსის უვიდარესი ჩრდილოური; ფერს, რომლის გამაშიც ლაჟვარდი ურევია, მაგრამ არა მკვდრის სილურჯე, არამედ რიჟრჟის მტრედისფერი, თუნებისას რომ იცის ხოლმე, ანაც ზღვის ლაჟვარდი, როცა იგი დამცხრალია და მისი ტალღები თვინიერად მიმოიქცევიან ნაპირთან, უბრუნდებიან თავიანთ ნავსაყუდელს მშვიდად, თავმოდრეკით, თან გიხმობენ, რომ გადაეშვა ზღვაში და მისი ლაჟვარდოვნება ბოლომდე შეისრუტო.

როგორ დავიწყო ეს ამბავი, როცა გონებაში მკაფიოდ დასაწყისი არა მაქვს და როცა იგი სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი ურთიერთობა ადამიანებისა ერთმანეთთან, საერთო წარმოშობა, ბავშვობა, შემდეგ ახალგაზრდობა... მქრქალი ქლიავისფერი შალი და ოთახი, სადაც არავინ იყო ჩვენს მეტი. წმინდა პური, შემდეგ ზომით პატარა სახარება, მრავალფერულნიანი, დაწერილი არაბულ ენაზე, რომელსაც თავისებური, განსაკუთრებული გემო დაჰკრავდა.

სიმნიფის ასაკში ვიყავი. ხანაში, როცა გრძობა, რომ არსებობს წუთისოფელი და ეს სიმართლეა. არის განთიადი, მზე და მთვარე, არის შორეული, შორეული ქვეყნები ზღვამდე, ზღვის გასწვრივ და ზღვის გადაღმა, ტუმბოები თავისი კუპრივით შავი, საშიში ვეებერთელობით,



სორია უიქოლანდ ბასიბი

თავისი შეკავებული, დინჯი, გაჭიანურებული ხმით, არის წყალი, იდუმლად მოჯადოებული და შემაშინებლად მდუმარე ტუმბოთა პირის დაღებამდე, ხოლო მქუხარე და მრისხანე, თავდავიწყებით გამოჩქეფარე მილიდან გადმოდინებისას. არიან ყვავები და ბელურები, არიან მართლმორწმუნე ღვთისმოსავნი, არის ყურანი და აიები, რომელთა ზეპირად დასწავლაც გმართებს. ისინი ყველანი უცხო და მეტად ლამაზ სამოთხესა და ჯოჯოხეთის ცეცხლზე მოგვითხრობენ, რომლის შიშითაც ძრწის შენი სხეული, ჯილდო-საზღაურსა და ტანჯვაზე, სააქაოსა და საიქიოზე. არის აგრეთვე - და ეს საზგასმულად მნიშვნელოვანია - შეის მუსტაფას ჯოხი. იმ მუსტაფასი, ჩალმიან თავს საჭიროზე ხშირად რომ უკრავს ყველას. გრძელკანჭება მუსტაფასი, მუხლები ასანთის ღერების თავებივით რომ წამოასხდება, როცა გრძელ წვივს წვივზე გადაიდებს და ფერგადასული, პირაშვებული ფესსაცმელი ფეხზე ჩამოევიდება. თავს გიკანტურებს და ზედ ჩალმა უცანცარებს, თან ამბობს: სმენა იყოს, შეილო ჩემო! და კიდევ არის რაღაც, მართლაც არის. რაღაც, რასაც ვერ ვხედავთ და ვერ შევიგრძნობთ. არა ალ-კადრის ღამე(1), არა სიკვდილი, არა ის დიდი და ძლიერი სიყვარული, მამაჩემის მიმართ რომ განვიცდი, არამედ რაღაც სხვა რამ, მისივე ნება-სურვილით ყველაფრისგან განსხვავებული, რაც თავად არ სურს, რომ გამჟღავნდეს. შესაძლოა იმიტომაც, რომ ისევე ჩვენს გამო ფრთხილობს, ვაითუ მართლაც გულები დაგვიხეთქოს ელდამ, მასთან პირისპირ დარჩენის შიშმა... ეს რაღაც სხვაა, არა იფრითები(2), რადგან იფრითებში, ყველაფრისგან მიუხედავად, არის რაღაც სასაცილო, მაგრამ ეს კი არასდროს არ არის სიცილის მომგვრელი. იგი მკაცრია, სერიოზული, მზრუნველი და მწყალობელი.

ვუთხარი ჰანუნას ისე, რომ ნამდვილად არ მესმოდა, რას ვამბობდი:

- მსურს შენისთანა ვიყო...

უეჭველია, გოგო ჩემზე დიდი იქნებოდა ერთი ან ორი წლით. უფრო მაღალიც იყო ჩემზე, უფრო გამხდარიც, რაც მთავარია, ყოველთვის უფრო გონიერიც და ჭკვიანიც. ახლა კი ნამდვილად უძლური ვარ გადმოვცე - მისი სული ის შეგრძნება იყო, მისგანვე რომ გეფინებოდა სინათლესავით, იმ სინათლესავით, საიდანაც რომ მოედინება, მაგრამ არ იცი, საიდან და რა გზით. ეს სული ემატებოდა და ავსებდა მის სიტყვებს, მის სიარულს, იმ კამარას, მისი ხელი რომ შეკრავდა ხოლმე აქნევა-დაქნევისას, ან იმ მანერას, როცა წინა კბილებით წმინდა პურის პატარა ლუქმას მოციცქნიდა ხოლმე... სინმინდის, უცოდველობისა და გრაცვიოზულობის უცხო იერი გარწმუნებდათ, რომ იგი მინიერ არსებათაგანი როდი იყო, თითქოს რაღაც სხვა ჯიშისა გახლდათ, იმათაგანი, ვისაც ანგელოზებთან გაუბამს კავშირი.

არ მახსოვს, რა მიპასუხა... ისიც კი ვერ გამიხსენებია ზუსტად, საერთოდ მიპასუხა კი?!


ან რა მითხრა სახარებაზე, წმინდა პურსა და კირიელისონზე, რომელიც, როგორც მან მასწავლა, "ო, უფალო, შემინყალე"-ს ნიშნავს. მერე გავიგონე, ქალაქიდან ჩამოსული ღვთის მსახური როგორ იმეორებდა ამ სიტყვას მოკრძალებულ ქორწილზე, როცა ჰანუნა გათხოვდა რამდენიმე თვის წინ. მისი პასუხებიდან დავიწყე გაცნობიერება იმისა, რომ თურმე ამქვეყნად სხვა ხალხიც ყოფილა, ჩვენგან განსხვავებული, მე რომ მთელი დუნია მუსლიმი მეგონა! და რომ ეს სხვა, ჩემთვის ახალი რელიგია სავსეა ისეთი რამეებით, წარმოსახვაზე რომ მოქმედებს და ძლიერ ცნობისწადილში გაგდებს. კერძოდ კი ის, რომ ქალაქში ეკლესია ჰქონიათ, როგორც ჰანუნასგან გავიგე. მასში კი მაცხოვრის დიდი სურათი ყოფილა, სანთლები და ელექტროჭალები. გალობა ცოდნით, მეტიც, მთელი მათი ლოცვები სულ საგალობლები ყოფილა თურმე.

უკვე აღარ ვიცი, ნუთუ ჩემს მიერ ჰანუნას ფეხდაფეხ დევნის საიდუმლო, - მაშინაც კი, როცა ის დასაძინებლად მიდიოდა - მხოლოდ უფრო მეტი მცდელობა იყო ამ რელიგიის შესახებ კიდევ სხვა რამეთა ჩასანჯვდომად და გასაგებად, თუ უფრო იმ გამოსხივებას დამორჩილება და დანებება, დაუბრკოლებლად და მარად რომ გამოედინებოდა მისგან, მისკენ იზიდავდა სულიერს თუ უსულოს და ყველაფერს, რასაც კი ჰანუნა აკეთებდა, აქცევდა ბრწყინვალე, შესანიშნავ, ნაზ და ამაღლებველ რამედ.

მაგრამ ის კი ვიცი, მარტო ძლიერ მიზიდულობას როდი ვგრძნობდი, დროდადრო ვაცნობიერებდი, რომ უბრალოდ ვერ ვცილდებოდი, თითქოს მისი ჩრდილი ვიყავი და ეს შეგრძნება მხოლოდ მასთან განშორების წამებში შემიპყრობდა ხოლმე.

ვაი, რომ მასთან ყოფნისას საკუთარ თავს ვეღარ აღვიქვამდი, ვერც იმას, საერთოდ რას ვაკეთებდი. მთლიანად ვდნებოდი და ვიკარგებოდი იმ განუწყვეტელ და მარდიულ შეხვედრაში მასთან და სხვა საზრუნავი არა მქონდა რა მისი ჭვრეტის მეტი, იმის თვალყურის დევნების მეტი, რასაც ის იტყოდა ან აკეთებდა. იმ დიდი სასწაულით მონუსხულივით ვიყავ, მარადეჟამს რომ ხდება და რომლის მხილველსაც არ ტოვებს ამ სასწაულის შეგრძნება და არც არაფერი სურს ამ გაბრუნებულ-გაოგნებულ მდგომარეობაში მარადეჟამს ყოფნის მეტი; ოღონდ არ მიატოვოს იგი ამ საოცრებამ, ან თავად არ დაშორდეს მას ნუთითაც კი.

მეჩვენება, რომ სამყაროს პრობლემები სწორედ იქიდან იღებენ სათავეს, რომ ჩენ არასდროს შეგვიძლია ყოფიერების მოვლენათა მოთმინებით ატანა, ანაც მოვლენებზე ძალდაუტანებელი, სპონტანური რეაქცია და ეს



პრობლემებიც წარმოიშობა, იზრდება, განიტოტება და ყვავის ყოველთვის მხოლოდ ჩვენივე უგუნური ნება-სურვილით და ჩვენი კანონებით, რომლებიც პედანტმა და სიზუსტის მოყვარულმა ძველებმა გამოიგონეს. ყოველთვის ვერებოთ, ან ცუდი, ან თუნდაც კარგი განზრახვით, მაგრამ მაინც ვერებოთ და ამ ჩვენი ჩარევით ვცდილობთ თავს მოხვევას, დათრგუნვას, განწყვეტასა და სწრაფად გულდაჯერებას, ცხოვრების წეს-ჩვეულებათა გამრუდებას.

საკითხავია, მამ რა უშლიდა ხელს, რომ გაგრძელებულიყო ჩვენი ამგვარი ურთიერთობა - უბრალო, მოკრძალებული ყვავილი, ამოსული რთულ, ერთმანეთს გადახლართულ სოციალურ ურთიერთობათა, ადამიანურ ბუნებათა და მისწრაფებათა შიგ შუაგულ ტყეში; ყვავილი, რომელმაც ამ ყველაფერისა არა უწყყადა რა!

და რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მე ტუმბოთა ინჟინრის ვაჟი ვიყავ, ჰანუნას მამა კი ოსტატთა უფროსი, რომ მე ბიჭი ვიყავი და ის გოგო და რომ ხალხის ნაუბარი ჭრელია, თანაც თუ ეს ხალხი იმ დასახლებაში, რომელშიც ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ცოტაა. ყველა მათგანს საცხოვრებელი ბინები ირიგაციის სამინისტრომ დაურიგა ამ შემაშინებლად დიდი ტუმბოების ნაგებობასთან ახლოს. დასახლებაც, მისი საზოგადოებაცა და ტუმბოებიც დელტის ჩრდილოეთიდან ერთ შორ, გადაკარგულ ადგილასაა. პატარა საზოგადოება პატარა თემებისგან შედგება - მუსლიმებისა და ქრისტიანების. იმ დროს კი ჩემს თვალში ეს ლამის მთელი მსოფლიო იყო. ამ ყველაფერს თანათასი პრობლემა ახლდა, ათასი ეკალი მწარედ და მტკივნეულად ჩხვლეტდა და ეჩხირებოდა ყელში ქვეყნის დასალიერში მყოფ ამ რამდენიმე ათეულ ადამიანს.

საქმე დედაჩემის მიერ მამაჩემისთვის შეჩვილებით დაიწყო. მამაჩემი კი დედაჩემის მორჩილი მას მერეა, რაც ფეხი მოსწყდა თუ ტუმბოთა პროპელერმა ჩაითრია, არ ვიცი. უმრავლეს შემთხვევაში ეს ისტორია არ მოიცილება, რამეთუ მას ყოველთვის მხოლოდ მძიმე და ტკივილიანი მოგონება ახლავს თან. მას მერე, რაც მამაჩემი ცალფეხა დარჩა, დედაჩემმა სამი ფეხი, ათი ხელი და ასი ენა გამოიბა.

ამრიგად, გამაჩერა მე ამ კეთილმა კაცმა - მამაჩემმა ერთ დილას, როცა მე შეიხ მუსტაფას დაწყებით სკოლაში მივდიოდი და მიმხვედრა იმგვარად, ყოველგვარ შემკამათებას რომ უაზროს ხდიდა - სკოლის შემდეგ პირდაპირ შინ უნდა დავბრუნებულიყავი.

ამ კეთილმა კაცმა არ მოინდომა ჩემთვის ტკივილის მოყენება ჰანუნასა და ჩემი მასთან გამაშული ისტორიის ხსენებით. ამჯობინა, დანარჩენის მიხვედრა ჩემთვის მოენდო. არც მე მსურდა შედაგება, თუმც პირველივე ნუთიდან გადავწყვიტე, არ დავმორჩილებოდი ამ გადანწყვეტილებას, მეცრუა და მაინც შეხვედროდი ჰანუნას. განა შემედლო, უარი მეთქვა ისეთ რამეზე, რომლის კეთება ჩემს ნებას არ ექვემდებარებოდა! მე ხომ მხოლოდ თავს აღმოვაჩინდი ხოლმე ამგვარ მდგომარეობაში ისევე, როგორც შიმშილის, წყურვილის გრძნობათა მოკვლისას ვმოქმედებ დაუფიქრებლად, გაუაზრებლად და ყოველგვარი ალბათობის გარეშე ვიღებ გადაწყვეტილებას. ჩვენ, ბავშვები და ყმანივლები უფრო გულწრფელები ვიქნებო-

დით საკუთარ თავთანაც და ჩვენს სასურველთანაც, ჩვენი სასურველიც უფრო გულწრფელი იქნებოდა თავად ცხოვრებასთან, მაგრამ... საქმე იმაშია, რომ ჩვენ, უმცროსები, ამქვეყნად ის არსებები ვართ, ვინც ცხოვრებასა და მის კანონებს როდი ემორჩილებიან, მხოლოდ დიდები უმყარებენ მათ წესრიგს, უდაგენენ კანონებს და მართავენ. დიდები აუცილებლად და ყოველთვის ერევიან ჩვენს საქმეებში და როცა ამას აკეთებენ, ამით მხოლოდ იმას გვაძიულებენ, რომ თავი კი არ შევიკავოთ და უარი ვთქვათ ჩვენს სასურველზე, არამედ ვითვალთმაქცოთ, ვატყუოთ და გვეზარებოდნენ ისინი, როგორც არ გვიყვარს და გვეზარება სასჯელი.

არ ვიცი დანამდვილებით, იქით ჰანუნას რაღა შეემთხვა, მაგრამ ჩვენს ჩვეულ ადგილას, წყალვარდნილთან, რომელიც ღრმა ჭაა, სადაც უდიდესი სადრენაჟო არხებიდან გამოსული წყლები ჩაედინება, მერე ტუმბოები რომ ქაჩვენ ზემოთ, ხმელთაშუა ზღვის დონეზე, რათა ამ წყლების გაშვება-დაცლა გახდეს შესაძლებელი; დელტასა და მის ჩრდილოეთში ხომ მინისქვეშა წყლები ზღვის დონეზე დაბალია და ზემოთ აქაჩვა სჭირდება, რისთვისაც მოიგონეს კიდევ ეს ტუმბოები; მოკლედ, ამ ჩვენი შესვედრის ადგილას ჰანუნა არ დამსვედრია. შევიცადე. დიდხანს ვუცქირე, როგორ ეცემოდა წყალი ზემოდან, დიდ წრეებად როგორ ბრუნავდა, ქვემოთ დაშვებისას უფრო და უფრო რომ პატარავდებოდნენ და ძაბრისებრ ღრმულად მორევედებოდნენ, რომლის ფსკერიც, როგორც ამბობენ, კაცს ისე ჩაითრევეს და დაფარავს, რომ მისი კვალიც აღარსად გამოჩნდება. ჰანუნა მაინც არ მოსულა. მის სახლთან შორიახლოს შეგჩერდი და პირველად ვიგრძენი, რომ უფროსების მართლაც უხეშმა ხელმა თავისი შავი საქმე უკვე ჰქმნა და რომ ის დღესასწაული, ერთი მთლიანი, ტკბილი და განელილ-გაჭიანურებული, უკვე დასრულებულიყო.

ფანჯარაში ჰანუნა დავლანდე. მწუხრის უამი დგებოდა. მზე შუადღის საშინელი, ჯოჯოხეთური ხვატიდან მხოლოდ და მხოლოდ ყვითელი, ნაზი შუქის მანათობელ ლამპრად ქცეულიყო და ფანჯარას მისდგომოდა. ამ ცოცხალი სიყვითლის შარავანდედი, ჰანუნას სახეს რომ ევლებოდა, რაღაც უცხო იერს აძლევდა მას, რომელიც რკინის მუქი შტორების მიღმა ისე გამოკრთოდა, თითქოს მის სახეს სხვა მზედ აქცევდა, მიმცხრალ, ფერგამკრთალ, მილეულ მნათობად.

შეგჩერდი მისგან ნიშნის მოლოდინში, თუნდაც ნამიერი მზერისა, რომელიც მანიშნებდა, რომ დამინახა, რომ ჩემი ნახვა სურდა, მაგრამ ის მდუმარე და მიბინდული გაქვავებულივით იდგა, თითქოს მარიამ ღვთისმშობლის ხატი იყო, სწორედ ის ხატი, მის ოთახში კედელზე რომ ეკიდა და რომელიც ახლა ფანჯარაში დაესვენებინათ. აუცილებლად უნდა ვნახო! მე ვიცნობ ქალბატონს, ჰანუნას დედას და თუმცა ამბობენ, რომ ის მეტად ამპარტავანი და მბრძანებლობის მოყვარულია, ისიც ვიცი, რომ ჩემს მიმართ კეთილგანწყობილია. თითქოს ქვეშეცნეუ-



ლად, ცუდი თვალით არ უნდა უყურებდეს მის ქალიშვილთან ჩემს მეგობრობას. სშირად მიდებს ხოლმე ჯიბეში ფორთოხალს ან კანფეტებს და ყოველთვის სალაშს მბარებს დედაჩემთან, რომელსაც, რა თქმა უნდა, მე არ გადავცემ, რადგან უკვე ვიცი რა აზრისაა მასზე დედაჩემი და მისი აზრიც დედაჩემზე კარგად მომესხენება.

კარი ღია იყო. ზარი ხომ არ დამერეკა?.. შევაბიჯე. ჰანუნას დედა მაშინვე გამოვიდა სამზარეულოდან. გაზქურის ჭვარტლის ნამცეცები მის პირისკანზე, თეთრი თმის კონოლები და ტანსაცმელი მის სახეს ღმილით ანათებდა; თითქოს ჩახვდაო ჩემი მისვლის მიზეზს, მაშინვე გამომეტყველება შეეცვალა, ნაკეთები გაუშეშდა, თითქოს სანუხარი და საფრთხე გააცნობიერაო. ენა აერია, აუბორძიკდა, რაღაც გაურკვეველად ნაიბურტყუნა და შეტრიალდა, თითქოს ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმისო, ისევ სამზარეულოში შებრუნდა.

საიდან უნდა მცოდნოდა, მაგრამ მისი ეს მოძრაობა თითქოს კეთილგანწყობის ნიშნად მივიღე. ისარავით შევვარდი ჰანუნას ოთახში. ჰანუნა მომღიმიარი იდგა და თავჩაღუნული მელოდა. თვალებში ლამაზი და უბოროტო, ალალი ეშმაკუნები ესხდნენ, შეყვარებულებს რომ ჰყავთ ხოლმე, ისეთი.

ჩემდა გასაოცრად, ისეთი შეუჩვეველი მოძრაობა გააკეთა, მისგან საერთოდ რომ არ ველოდი! ხელი გამომინოდა ჩამოსართმევად! თავს ძალა დავატანე და მეც გავუნოდე, მის ხელს ისე ძლიერ ჩაეჭვიდე, ჩანს, ვატკინე. ჩვენ ხომ ერთმანეთსაც ვხვდებოდით, ერთადაც დავდიოდით, რამე საქმის კეთებასაც ერთად შევუდგებოდით ხოლმე, ერთმანეთისთვის კი ხელი ჯერაც არ ჩამოგვერთმია. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ. პატარა ხელი ჰქონდა, ჩემი კი, მიუხედავად ჩვენს შორის ორი წლის ასაკობრივი სხვაობისა, გაცილებით დიდი აღმოჩნდა. ნაზი მტევანი ასეთივე თხელი, ჩამოქნილი თითებით ბოლოვდებოდა, თითქოს ხელში ფანქრების კონა გეჭირა, მაგრამ არა, ფანქრები კი არა, ცოცხალი, თბილი თითები იყო და მათში იმდენი და ისეთი განსაკუთრებული გამოსხივება იყო ჩაგროვილი, ლამის ხელი კი არა, მფეთქავი გული გეგონებოდა, სწორედ ის გული, რომლის ცემა მაშინ მესმოდა, მის მკერდს სახეს განზრახ რომ მივუახლოვებდი ხოლმე. ხელის ჩამორთმევამ შემაშინა, ჭკუიდან გადამიყვანა!

ვუთხარი ჰანუნას:

- ქალწულ მარიამს ჰგავხარ!

მოჩვენებითი გაჯავრებით წარბი ასნია, მაგრამ თან კვლავ ისე ელიმებოდა, თითქოს რასაც ვამბობდი, სირცხვილი იყო და მიუხედავად ამისა, მაინც ჩამეკითხა:

- როგორ?..

მივუგე: ფანჯარაში შეგნიშნე და ღვთისმშობელს ჰგავდი-მეთქი, იესოლა გაკლდა-მეთქი, ჰანუნა! ო, ჰანუნა... როგორ მსიამოვნებდა ყოველთვის მისთვის სახელით ხმობა, თითქოს ენაზე ვიგემოვნებდი მის სახელს, მისი გემო მრჩებოდა პირში... მე ვიქნები იესო და შენ ქალწული მარიამი! მომეცი ნება, ვიყო შენი მაცხოვარი და შენ - ჩემი ღვთისმშობელი!

ლამის კი არა, მართლა ნამარტყა ხელზე. რბილად, შემწყნარებლურად გამანყვეტინა, მაგრამ ამ უნებლიე აზრს თვითნებურად უკვე მოეცვა ჩემი გონება და თანაც იგი იმ ნამის ნაშობი როდი იყო! უდავოდ იმ დღეს უნდა დაბადებულიყო, როცა, ჩვეულებისამებრ, მათ სახლში ვიყავით განმარტოებულნი. თვალგაშტერებული მივჩერებოდი ქალწულ მარიამის სურათს, მაცხოვარი რომ ჰყავდა მიკრული მკერდზე მეტისმეტი მზრუნველობით და სინაზით. სურათი ძველი იყო და ფერმიძქრალი. მარიამის თავიდან სხივები მიემართებოდა ყოველ მხარეს. იესო ძალიან ლამაზი ბავშვი იყო და იმ ძის ბედნი-

ერი ღიმილით იღიმებოდა, რომელმაც უწყის, რომ დედის მკლავებშია, მის მზრუნველ კალთაში, მისი სინაზის ფრთებქვეშ. მარიამიც იღიმებოდა და ამ ღიმილის ნათელი მის სახეს და ბაგეებს ისე გადასდებოდა, თითქოს ხვდებოდა, რომ სურათს გადაუღებდნენ და სურდა, ამ სურათში ჩაეტია ვაჟის დედობით გაბედნიერებული დედის ღიმილი. როგორც კი ჰანუნას მივუბრუნდი დასალაპარაკებლად, მაშინვე ვიგრძენი, მსურდა, რომ ყრმად ვქცეულიყავ და ჰანუნას გულში ვყოლოდი ჩაკრული; ისეთი ბედნიერი ყოფილიყო ჩემით, როგორც ქალწული მარიამი თავისი იესოთი.

იმ დღეს, როცა მე ჰანუნას ვთხოვედი, რომ ჩემი ღვთისმშობელი ყოფილიყო, მე კი მისი იესო და არ დამათავრებინა, თუმცა გონებაში მიტრიალებდა ფიქრი დედის მკერდს მიკრულ ჩვილად ქცევისა, ჩემი ამ თხოვნის მიღმა ძლიერი, ძველი და დაუოკებელი სურვილი გაყურსულიყო - ჩავეკარი გულში ჰანუნას, შემომეხვია მისთვის მკლავები და ჩავკროდი, ოღონდ უხეშად და ღონივრად კი არა, მე ხომ ვიცოდი, რა სუსტი და სიფრიფანაც იყო, ნაზად, ფაქიზად, მსუბუქად მსურდა ჩავკროდი და როცა მოვეხვეოდი, მთლიანად ჩემს მკლავებში მომექცია, დამეპატარავებინა და რამენაირად, რაიმე გზით და საშუალებით ჩემს გულში ჩამესვა, იქ მიმეჩინა მისთვის ბინა. ჩემი ჭკუით, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ ჩემი მასთან სიახლოვის, მიკვრისა და მინებების გამუდმებული სურვილის გრძნობა ჩამეჩუმებინა.

მასთან მეტი სიახლოვე მწყურდა. ბევრად მეტი, ვიდრე ეს გოგოებთან გვაქვს ხოლმე, როცა სახლობანას და ცოლქმრობანას ვთამაშობთ ძველ საწყობებში.

დიდხანს დაუინებოთ მივშტერებოდი ჰანუნას. პირველად ვხედავდი, ისიც ასე უცნაურად რომ მომჩერებოდა. ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს თავს, რა აზრის იყო ჩემზე, ან ჩემს მიმართ რას განიცდიდა. მის ჩემდამი დანოკიდებულებაში არ მიგრძენია რაიმე განსაკუთრებული, ისეთი, რაც განსაკუთრებულ ურთიერთობებს გამოარჩევს ხოლმე. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მის თვალში მხოლოდ ერთი 14 წლის ბიჭი ვიყავი, უბრალოდ ერთი სხვა ბიჭი მისი 16 წლის გადმოსახედიდან, რომელთანაც მას მეგობრული ურთიერთობა, კეთილგანწყობა და ურთიერთგაგება აკავშირებდა, მაგრამ არაფერი სხვა ამზე მეტი და ამჯერად, მის დაუინებულ მზერაში მოულოდნელად ვიგრძენი, იმგვარი ელვა გაკრთა, რომელსაც დიდი ხანია სულმოუთქმელად ველოდი, მეტად პირადული ბუნებისაა. ვიგრძენი, რომ ეს იყო მზერა, მომართული სწორედ ჩემსკენ და მეუბნებოდა იმ დიდ სათქმელს, რომლის თქმაც თავად მას რცხვენოდა და რომელსაც მხოლოდ მზერა ამხელდა. მეტიც, ეს სათქმელი შეუძლებელი იყო (ან ჩემს თვალში ჩანდა შეუძლებლად), თავად მას ეთქვა და სწორედ ამ მიზეზით, ეს იყო სათქმელი, რომელმაც გამაბედინა, მივახლოებოდა. ჩვენ ხშირად მივხუტებივართ ერთმანეთს, როცა ხელისხელგადახვეული მივდიოდით ხოლმე, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა იყო ამ ზომამდე სიახლოვის. ვერც წარმოვიდგენდი, რომ არსება, რომელსაც დასტრიალებდა ჩემი სიზმრები და ოცნებები, იმას მოიმოქმედებდა, რაც გააკეთა. მოულოდნელად ჰანუნამ მკერდზე მიმიკრა მოცანცახე, აჩქარებული, უცაბედი მოძრაობით. ვიგრძენი, შუბლზე სწრაფი კოცნა აღმებეჭდა. რა თქმა უნდა, ძლიერ ავიღენე. მან თავი ამინა და ჩვენი სახეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ორივე მძიმედ ვესუთქავდით და აი, მეორე მშვენიერი მოულოდნელობის ჯერიც დადგა - ის ჩემსკენ დაიხარა, მე ხომ მასზე ცოტათი დაბალი ვიყავი და ბაგეზე მაკოცა. ისიც სწრაფი კოცნა იყო, მეტად ამაღელვებელი, ჟრუანტლის მომგვრელი. ვიგრძენი, ცახცახის ტალღები, მის ტუჩებს რომ გადაეგლო, ჩემს ბაგეზეც აღიბეჭდა. ელვასავით

სწრაფი კოცნა იყო, მაგრამ ამ ელვამ მართლაც ელვებში რონივით დამიარა, მისმა სუსხმა სულის ყველა ტალღი დახსნა, გული ამიფრთხილა გაზაფხულის პირველი მერცხალივით. ამ წუთამდე ამაზე დიდი მღელვარება არ განმეცადა ჩემს ცხოვრებაში. თითქოს ამ კონცით უეცრად ჩავწვდი, რომ ჰანუნა გოგო იყო და მასშიც იყო ის რალაც, რაც ქალთა სქესს გამოარჩევს. აუჩვეულებს მათ ამგვარი ფერადოვნებითა და ამგვარი სამოსით, სუნამოთა კეთილსურნელებას აპკურებს და მძივებითა და ყელსაკიდებით, სამაჯურებითა და ბეჭდებით ამკობს. რალაც, რაც ინვეს მათში მკერდის ზრდას და მათ კანს აბრეშუმის სირბილეს და ხმას კი ხავერდოვნებასა და მელოდიურობას ანიჭებს, განასხვავებს მამაკაცის ხმისგან, რომელიც უხეშია, როგორც მისივე სხეული, ზღარბივით ეკლიანი, გარუჯული სახითა და ბანჯვლიანი მკერდით. ჰანუნა მდებრი ყოფილა, ჩემი მღელვარების მიზეზი კი ის იყო, რომ ამას ვერ წარმოვიდგენდი და არც დამსიზმრებია მანამდე. ჰანუნა ჩემს თვალში ღვთისმშობელივით იყო, ღვთაებასავით, მიზეზთა მიზეზი ყოველი ბედნიერი თრთოლისა, რომელიც კი ყოფიერებას ავსებდა. ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი! დიდება უფალს, მან მომიტყუოს მე შეცოდება! მდებრი! წამის რალაც მათეთიდი გრძნობა დამიბრუნდა. გონს მოვევა და აღმოვაჩინე, მისი ამ უცაბედი გულში ჩაკვრის პასუხად ჩემი ხელი მჭიდროდ შემორტყმოდა მას და ესვეოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, ყოფიერების მარადიულ, დაუსაბამო უმნიცვლობას ვეკვროდი. გრძნობა დამიბრუნდა და აღარც დაუჭოვებოვარ, ოღონდ ჩემი გონების ფსკერზე დაეშვა და იქ დარჩა. დარჩა, როგორც იქ დაძირული ფარული ოცნებები - საყოველთაო ეტიკეტის, გონივრულის ლოგიკისა და ტრადიციათა კულტის გამოკეტილი ტყვეები; ნატვრა იმისა, რომ გადნე, განილო და ჩაიკარგო შენ, უმცირესი არსება, უზენაეს არსში და გიყვარდეს უფალი სიკვდილამდე, გქონდეს მარადიული კავშირი ყოფიერების უზენაეს საიდუმლოსთან.

და თუმცა მეტ-ნაკლები წარმატებით შევძელი ჰანუნას მდებრად გაცნობიერება და მისი ციური საბრძანებლიდან მიწაზე ჩამოყვანა სხეულებრივად, სისხლ-ხორცეულად, მაინც აბსურდულად მეჩვენებოდა ამ წარმოდგენის ჩემს საკუთარ თავთან დაკავშირება. შეუძლებლად მიმაჩნდა ჰანუნა მდებრთან ჩემი რაიმე ურთიერთობის წარმოდგენა, თუნდაც ისეთივე დამოკიდებულებისა, როგორიც დანარჩენ გოგოებთან მქონდა. შეშლილივით ვცდილობდი, სინამდვილე თავის ადგილას დამებრუნებინა, აღმედგინა ჩემი განცდა, რომ ის უზენაესია და რომ ამ სილამაზეს, გრაციოზულობას და აღმატებულებას, რასაც ასხივებდა ამქვეყნად, ჰანუნა ადამიანური მოდგმის არსებათა დონეზე მაღლა აწყავდა, ზეცად აღამაღლებდა. გამეტვებით ვცდილობდი, ცნობიერება დამებრუნებინა, რომ ის მაინც აღდგომოდა წინ ახლადგამოჩეკილ ყმანვილკაცს, მდებრის ძახილის პასუხად უეცრად რომ გამოკრთა ჩემში. ძახილის, რომელმაც მოულოდნელად ჰანუნაც ქალად აქცია. მაგრამ ვაი, რომ შეუძლებელს ვცდილობდი! დუნის ყველა სინამდვილე უძლურია, დაამოროს ერთმანეთს სიცოცხლის ორი უდიდესი ძალა, თუკი მათ ერთმანეთი იპოვეს - ქალი და მამაკაცი, თუ მათ შორის მესამე - ეშმაკისეული კანონი არ ჩადგა, რომლის დარღვევა და დაუმორჩილებლობა შეუძლებელია. მისმა კოცნამ მე, მასავით ათრთოლებულ, აღელვებულ ბიჭს მომაკრებინა მთელი ჩემი ადრეული მამაკაცობა, მიმელო იგი, როგორც არ უნდა ყოფილიყო, მინიერი თუ ზეციური, წმინდანი თუ ერთი ჩვეულებრივი, უბრალო გოგო; მთავარია, რომ მე ვუყვარდი და მე მიყვარდა, მთავარია, რომ ის არსებობდა და ისლა დამრჩენოდა, თავფეხიანად გადავშვებულებიყავ იმ სიტკბოების უეცარ, უცნაურ ზღვა-

ში, მოულოდნელად რომ გადამიხსნა მისმა ბაგეებმა. ო, რა ბაგაბუგი გაუდიოდა მის გულს! ყური მის მკერდზე მქონდა მიდებული და ეს კოსმიური ცემა ლამის ცას და მიწას აზანზარებდა, მეც მარყევდა. ო, რა სახე ჰქონდა! მის სახეზე ხან მიწას ვხედავდი მთელი თავისი მშვენიერებით და ხან ცას მთელი სინმინდით. ხან არააქვეყნიური იერი ედო და ხან მიწიერი. წითლდებოდა და ყვითლდებოდა, ხან ნალველი ეფინებოდა და ხანაც ქალწულებრივი ლიმილი აცისკროვნებდა. მღელვარე, ბობოქარ ზღვასავით ბორგავდა. მისი სხეულის მდუმარე, უჩუმარი როკვა უსიტყვოდ ლაპარაკობდა. ქალწული იყო და მეც უმნიკვლო ვიყავ; არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა და სურდა, რომ სცოდნოდა, ცდილობდა, რომ გაეგო. ლობრი, რომელიც ჩვენს თვალებს ეფარა და ერთმანეთის დანახვას გვიშლიდა, დაინმინდა და გამოჩნდა ციებ-ცხელება, ოლონდ არა შეუცნობლის, გაუაზრებლის, არამედ შლეგური შეცნობისა და დაუფლების, სიტკობების და აღმოჩენის და ბოლოს, კოსმიური საიდუმლოს ციებ-ცხელება. ის ციებ-ცხელება, როცა შენ ალ-კადრის იმ ძღვევამოსილი ლამის(3) მოლოდინში დგახარ, შენს წინაშე მართლაც იხსნება ცის კარი და იქიდან ციური საიდუმლო გაცხადდება შენთვის; ან ის ციებ-ცხელება, როცა ქალი იხსნება შენს თვალწინ, შენთვის მანამდე იდუმალი და დაფარული უეცრად გაცხადდება მხოლოდ და მხოლოდ შენთვის.

რამდენიც გამახსენდებოდა და ვეცდებოდი მის გოგოდ, მდებრად წარმოვდგენას, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს რაღაც დიდი ცოდვის ჩადენის პირას ვიყავ, რომელიც მიწას და ცას შეძრავდა, უდიდესი ცოდვისა, რომელიც კი ოდესმე ადამის მოდგმას ჩაუდენია. რამდენიც წარმოვიდგენდი ამას, ვგრძნობდი, ჩემი ადრინდელი თავშეკავება ჯებირებს მოსკდომოდა და გადმოხეთქილიყო. ვეხვეოდი, ვწურავდი და ვლეჭავდი ამ თბილ გველს - მდებრს, ვგორავდი და ვისვრებოდი მასში, მისგან განდგომილებაში, მის სინმინდში და უდიდეს ცოდვაში მისი მოდგმისა. იმ უსაშველოდ გრძელ დროში, რომელიც მის თავყანისცემში გავატარე, მსგავსი აბსურდული და უსაფუძვლო ოცნებები არც კი შემომპარვია, იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა და აი, ახლა, მე, მის მონასა და მოთაყვანეს მეძლეოდა იგი, ჩემი სათაყვანო!

ჰო, რას ვამბობდი?! იმას ხომ არა, რომ სინმინდე, რომელიც მას მოსავდა, მის ხმას და მისი ხელის ყველა მოძრაობას აფერადებდა, მდებრის გამოძახილი ყოფილა, ქალის გამოსხივება, წმინდა და ნათელი! ეს სქესის, ქალწულობის გამოსხივება ყოფილა მასში კონცენტრირებული, როგორც ობიექტივის შუქი. ჰანუნას სინაზის, მისი ქრისტიანობის, მისი სილამაზის, მისი გამოხედვის, ჩემი მისდამი თაყვანისცემის - ამ ყველაფრის მიზეზი და თავი და თავი მისი ქალურობა აღმოჩნდა! მას შემდეგ მრავალმა ხელმა ჩაიარა, ბევრი ქალიც შევიცანი, მაგრამ ის გრძნობა მდებრის შეცნობისა, იმ დღეს რომ მქონდა, აღარ განმიცდია. იმ დღეს დავკაცდი და იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე ის კაცი ვარ.

თითქოს წყლის მოძრაობა წყალვარდნილში საოცრად მიწყნარდა, შენელდა. ჭაც აღარ ჩანდა ისე ღრმა თითქოს და მდუმარებას, სიჩუმეს მისცემოდა

თითქოს ზღვა, რომელიც მთელი დუნის სიგრძე-სი-

განით გადმოსკდა ჰანუნას ბაგეებიდან, გაიყინა და მისი ზედაპირი შუშად იქცა.


ძლივს შევძელით თავშეკავება. ის დარცხვნილი იყო, მაგრამ სინანული არ ეტყობოდა. მეც სირცხვილმა შემოიპყრო, როცა კართან უეცრად შუქმა იელვა და ამ შუქს, რომლის სიღრმესაც უმაღ ჩაგვწვდი, ეფენდის, იგივე ფაშას, ჰანუნას მამის სათვალეები ირეკლავდა. იგი მაღალი კაცი იყო, მუდამ დაღლილი თვალეებით, რომელთა კუთხეებზეც წირპლის თუ ანთების თეთრი ნერტილები ესხდა, როცა კი არ უნდა გენახათ.

დარცხვნილი ვიყავი, მაგრამ თან იმ მორწმუნეს ვგავდი, რომელიც თავისი მორწმუნეობრივი ცხოვრების მანძილზე პირველად უკავშირდება ჭეშმარიტად, ცხადლივ და ხელშესახებად თავის შემოქმედს. ხდება საოცრება და მისი რწმენა გარდაისახება გამოცხადებაში, უტყუარ, უჭეველ ჭეშმარიტებაში და ისიც გულწრფელად მზადა თავი და სიცოცხლე დათმოს მისი გულისთვის. ამრიგად, როცა ჰანუნა ოთახიდან კატასავით გაიძურნა და მე კი გული დანაშაულზე წასწრებული ყმანვილივით ამიძგერდა, გულისცემის შეჩერება რწმენით აღსავსე, ფანატიკოსი მორწმუნის შეუპოვრობითა და სიჯიუტით მოვახერხე, ჰანუნას გახსენებით და ყველაფრით, რაც მასთან იყო დაკავშირებული. ჩემს ვალად ვრცხადი, რომ ჩემი მასთან ურთიერთობა მარად გაგრძელებულიყო, თუნდაც ამისთვის ჭეყვანა ყირაზე დამდგარიყო, ვეცემე ეფენდის, ან გვეჩხუბა, გაელანძა დედამის დედაჩემი და ყელში მცემოდა დედაჩემი დასასრულობად, მამაჩემს ძველისძველი შაშხანა გამოეთრია კარადიდან და ტყვია დაეშინა ეფენდის მთელი ოჯახისთვის ან თუნდაც მხოლოდ ჩემთვის. დაე, მომხდარიყო ეს ყველაფერი! ოლონდ როგორც კერპთაყვანისმცემელი ლოცულობს ღვთაებაზე, როგორც სხივები მარად კავშირშია დედა-მზესთან, როგორც ვარსკვლავნი ვერ მოსწყდებიან ლამეს, ასევე ჩემი ჰანუნასთან კავშირი, ყველა ამ აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე კიდევ უფრო შეუტყვევადი, რჩებოდა მუდმივი და გასტანდა ჩემს სიკვდილამდე, ან სანამ ერთად არ დავიხოცებოდით და ალბათ თვით სიკვდილის შემდეგაც კი.

მაგრამ ჩანს, ამ ჩემი საშინელი შინაგანი განცდის მიუხედავად, გარეგნულად ჩემი სახე, ჩემს წინ ასევეტილი ეფენდის დანახვაზე, სადღაც შორს, ექსტაზში წასული ეგგონებოდათ. თითქოს ჩემი სხეული ისხლისგან სრულიად დანრეტილიყო და ეს სისხლი ოთახის იატაკზე ღვარად დიოდა. ვიდექი გაქვავებული, უსიცოცხლო, გაყინული თვალეებით, მზერადახრილი ველოდი სასჯელს. თუმცა ვხვდებოდი, რომ ის იმ დროს მოვიდა, არ შეეძლო მიმხვდარიყო, სინამდვილეში რა მოხდა, მაინც დაჟინებით ველოდი სასჯელს. ნეტავ დავესაჯე, ნეტავ ვეცემე ან გაველანძღე, ან თუნდაც მამაჩემისთვის მაინც მიეტანა ენა და მოვეკალი მამაჩემს! მან კი დიდი ხნის დუმილის შემდეგ მხოლოდ ის გააკეთა, რომ მითხრა:

- მე შენ კარგად აღზრდილი ყმანვილი მეგონე, მუჰამედ!

სიტყვები, წარუშლელად რომ აეკვიცა გონებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ხშირად რომ ხშიანობენ ყურში და უცაბედად აღმოაჩენ, წარსულის წყვდიადი გამოურღვევით და თავს გახსენებენ, ხან შენს ბაგეებზეც კი პოულობ მათ, შენი ტუჩები წარმოთქვამენ და იმეორებენ. სირცხვილის ძრწოლა გიპყრობს შენი თავის გამო. თითქოს ეს ისევ ის ძრწოლაა, მათი პირველად მოსმენისას რომ დაგეუფლა. რამდენჯერაც იგონებ მათ, გახსენდება და წარმოგიდგება მთლიანად, სრულიად, იმ ტონით და მანერით, რომლითაც ისინი წარმოითქვა. ზუსტად არ ვიცი, მომხდარის შემდეგ თვეებმა განვლო თუ წლებმა, რადგან დრო, რომელიც მას მოჰყვა, მხოლოდ მოსანყენი, სევდიანი, უმიზნოდ და უსასრულოდ გაჭიანურებული, განელილი დღეები იყო. ათასგზის ვუვლიდი მის სახლს



გარშემო, თვალი ერთხელ მაინც რომ მომეკრა. ვიცოდი, განაჩენი უკვე გამოტანილი იყო, რომ დედ-მამისგან ცხადად, გასაგებად და გადაჭრით ნაბრძანები ჰქონდა, არ ვენახე, თუნდაც სულაც მოვმკვდარიყავი ჩემი ამგვარი ყოფისგან. ხანდახან, ძალიან იშვიათად, ათასში ერთხელ, ვხედავდი შორიდან. ხარბად ვაკვირდებოდი და შორით ჭკრეტით ვკმაყოფილდებოდი, როგორც ციურ ვარსკვლავებს უტყერენ ხოლმე. ხან უძლიერესი სურვილი წამომივლიდა, მასთან მიახლოებისკენ მიბიძგებდა. შორიასლოს მივდიოდი, ისე, რომ მისი მხედველობის არეალში მოვხვედრილიყავ. ვეძახდი, ვუხმობდი მას ხან ჩურჩულით, ხანაც ხმაპალა. ვანიშნებდი მოცანცხაზე ხელით. ფანატივით დაუღალავად, უთვალავჯერ ვიქნევდი მკლავს ჰაერში ისე, რომ ლამის სხეულიც თან მიჰყვებოდა. თითქოს ხილვადობის იმ რალაც დაფარულ, უხილავ ძაფს მსურდა ჩავჭიდებოდი და ჩავბლაუჭებოდი, მის გაშეშებულ, გაყინულ მზერასა და ჰორიზონტს შორის რომ გადიოდა. მაგრამ ერთხელაც კი არ შესტოკებია წამწამი ჩემი არსებობის, ჩემი იქ ყოფნის მიხვედრის ნიშნად. გამუდმებით იდგა ხოლმე ფანჯარასთან მზის ყვითელ კვადრატში მოქცეული, ეს სიყვითლე რკინის შტორებში ატანდა. ვგრძნობდი, იცოდა ჩემი არსებობა, მზად ვარ დავიფიცო, მაგრამ ვიცოდი, არ შეიძნევედა, არ უნდა შეემჩნია. ვიცი, უდავოდ ფიცი ექნებოდა მშობლებისთვის მიცემული და ჰანუნას აღთქმა კი ჰანუნასავითაა, წმინდა, დაურღვეველი, ვდნებოდი მონატრებით და მაგონდებოდა. განუწყვეტლივ ვისხენებდი ყველაფერს გაცნობის ნუთით იმ დიდი შეცნობის ნუთამდე. ვისხენებდი მის ყოველ მოძრაობას, მის ყოველ სიტყვას, ყოველ გამოხედვას, რომელიც კი მის სახეს ოდესმე დასჩენია. ვიგონებდი და ვდნებოდი სიყვარულით და მონატრებით, თავს ვიკლავდი სინანულით. ნუთუ აუცილებელი იყო იმ დიდი შეცნობის ზღვრამდე მივსულიყავი, ნუთუ უბრალო სიახლოვე საკმარისი არ იყო?! რა უმნიშვნელო და იოლი ყოფილა ათასჯერ გაქრობა სრულ განშორებასთან შედარებით. "ათას ერთი ლამის" გმირს ვგავდი, რომელიც იმ სასახლეში დატოვებს, 7 კარი რომ ჰქონდა და უბრძანეს, არ გაელო მეშიდე ოთახის კარი. ისიც ცხოვრობდა ბედნიერად სასახლეში, ტკებოდა და განცხრომა-ნეტარებას ეძლეოდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, წინ აღდგომოდა უდიდეს ცდუნებას - გაელო მეშიდე კარი. გაალო კიდეც და იხილა ის, რაც არ უნახავს კაცის თვალს და გულს, მაგრამ საბოლოოდ სასახლის გარეთ აღმოჩნდა გამოძევებული სწორედ იმავე ჯადოსნური წერტილთან, საიდანაც სასახლის კარი გაიღო მისთვის. თითქოს მე ის ჩემი წინაპარი ვიყავი, რომელიც თავის ძველ, ჩვეულ სამყაროს დაუბრუნდა და დახვდა იქ ექვსი კაცი, შავად შემოსილი, გამუდმებულ გლოვაში მყოფი, მათაც იგივე გადახდომოდით მასზე უწინ და სინანულს მისცემოდნენ. შეუერთდათ მათ მალიქ ალ-ჰაზინი(4), თავის შავ სამოსში გამოწყობილი, რათა მეშიდე ყოფილიყო მათ შორის. ნუთუ აუცილებელი იყო ის მეშიდე კარი და ის უზენაესი ტკებობა? მალიქ ალ-ჰაზინივით ვტიროდი და სინანული ახალი ძალით მიტევდა. სამყარო იყო სევდიანი და უხალისო, დღეები უსაშველო გაჭიანურებით დაბერებული, რუხი და დაუძლურებული, ღამეები კი უთავბოლო, არც შუაღამე ეტყობოდა, არც რიჟრაჟი, არც დილა... ცხოვრება დროის გარეშე მიდიოდა, სანამ არ დადგა შემოდგომა. ჭორები გავრცელდა, თუმცა მე არ ვიჯერებდი. დაინიშნა დღე, ბიროვნებაც დადგინდა. ის საღამოც მოვიდა. დასახლებაში გაზის ლამპიონები აინთო. სინათლეებმა დასახლების შუაგულში, ვრცელ დარბაზში მოიყარა თავი. შექები ვაშკაშით ფანტავდა სიბნელეს. იყო უამრავი, უთვალავი სანთელი. სანთლების კეთილსურნელებაც კი შორიდანვე იგრძნობოდა. ჰანუნას ბიძაშვილი ჩამოსულიყო ზემო ეკვიპტიდან მასზე დასაქორწინებლად, ისინიც ზარ-

ზეიმით ატანდნენ მას. იგივე ღვთისმსახური, რომელიც მათთან დროდადრო დადიოდა, მოსულიყო პროვინციული ცენტრის ეკლესიიდან. ყველა მღეროდა და ღვთისმსახურის კვალდაკვალ იმეორებდნენ: კირიელისონ!.. უფალო, შემინყალე!.. უფალო შემინყალე!.. ჰანუნა იდგა თავის თვალისმომჭრელ თეთრ სამოსში, თეთრი ჟასმინის ყელსაკიდით და ფატიო. სახე მისთვის საჭიროზე ბევრად მეტი ფერ-უმარილით მოეხატათ, თუმცა გამოხედვას, თვალების გამომეტყველებას ხომ ვერ შეუღებავდნენ! შემკრთალ, არეულ მზერას წინ და უკან აცეცებდა, იძვროდა აქეთ-იქიდან მრავალი ხელის ნაკვრით, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს რომ ენეოდნენ. მოძრაობდა, როგორც მთვარეული, მაგნიტური მიზიდულობის ქვეშ, თითქოს რალაც როლს თამაშობსო. სახეზე ფერწასული, მკრთალი ღიმილი არ შორდებოდა. გვერდით ნეფე-ბატონი ედგა, რომელიც ალბათ ამ საღამომდე ცხოვრებაში თვალთ არც ენახა. ზორბა ტანის, მსხვილი შავი უღვაშით. შავი პალტო ეცვა და თმა ბრიოლინით მეტისმეტად ულაპლაპებდა. სასიძო სიამაყით ისე გაბერილიყო, თითქოს სწორედ ახლა ხელსაყრელი, მომგებიანი გარიგება დაუდევსო. სიტყვებს ტკეპნიდა და გულიდან წამოსული როხროხით იცინოდა, ხანდახან ძალდატანებით. ჰანუნა მის გვერდზე მოთვინიერებული, წყნარი მტრედივით იყო, ხელის ნაკვრით რომ ამოძრავებდნენ აქეთ-იქით. ფერდაკარგული ილიმებოდა. მისი თვალების მოხეტიალე მზერა რალაცას ეძებდა ციურ ვარსკვლავთა შორის. ღვთისმშობელს ჰგავდა, რომლისთვისაც იესო წაერთმიათ. მორჩილ, უკან დახეული, მოთმინებით აღვსილ, მარტოსულ ქალწულს, ხსნის ძიებაში მზერით რომ ჩხრეკდა ცის თაღს. ვინ იცის, იქნებ მე მეძებდა, მაშინ როცა მე მიწაზე გართხმული ვეშუოდი ტკივილით, სინანულით და ძრწოლით. ყველა კი ერთხმად იმეორებდა: კირიელისონ!.. კირიელისონ!..


არაბულიდან თარგმან ღარქაზან ბარღაზაქიმ

- (1) ალ-კადრის ღამე - მუსლიმური კალენდრით რამადანის თვის 27-ე ღამე. იხ. ყურანის 97-ე სურა.
- (2) იფრიტი - ავი სული, ბოროტი სული, დემონი. ჯინის ნაირსახეობა არაბულ დემონოლოგიაში.
- (3) კვლავ რამადანის თვის 27-ე ღამე იგულისხმება.
- (4) მალიქ ალ-ჰაზინი - ზღაპრის გმირი მამაკაცის საკუთარი სახელი. არაბულად "მწუხარეს, დამწუხრებულს" ნიშნავს.



“ყოველ ნიჭს თავისი ასაკი აქვს“

ინტერვიუ ნაჯიბ მაჰმუდთან



როდესაც ნაჯიბ მაჰმუდთან ამ შეხვედრის ნებართვა ვითხოვე, უარს ველოდი მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ ის, ჩვეულებისამებრ, დამთანხმდა, უნინდელი კეთილგანწყობით მიმიღო და ხანგრძლივი დროც დამითმო, მიუხედავად მტანჯველი ტკივილებისა; სხვათა შორის, მას არც ჩვეული ხალისი დაუპარგავს. ჯანმრთელობის თაობაზე რომ ვკითხე, მიპასუხა: “მტკივან ხელს ახლაც ვმკურნალობო“, შემდეგ კი სიცილით დააყოლა: “მაგრამ სმენა და მხედველობა ისე დამიქვეითდა, მკურნალობა ვეღარას უშველისო“. მან მწერლობასა და ლიტერატურაში განვიღო გზაზე, იმ უმნიშვნელოვანეს ქმნილებებზე ისაუბრა, რომლებშიც საკუთარ თავს ხედავს, ცენზურაზე და იმაზეც, თრგუნავს თუ არა იგი მხატვრულ შემოქმედებას.

- როგორია თქვენი დღის განრიგი, უნინდებურად დათქმული შეხვედრებით არის შეზღუდული?

- ჩემი დღე იწყება ჩემს მეგობარ მუჰამედ საბრისთან ერთად. ის გაზეთ “ალ-აჰრამის“ თანამშრომელია და პრესას მიკითხავს ხოლმე. ამის შემდეგ ველოდები მკურნალ ექიმს, შუადღისას ვსადილობ და ცოტა ხნით ვიძინებ. ძალიან ხშირად მოდიან ჩემთან მეგობრები, რომელთა მეშვეობითაც ვცნობი პოლიტიკისა და ლიტერატურის სიახლეებს, რადგან მე ვერ ვკითხულობ, ვერ ვუყურებ ტელევიზორს და ვერ ვუსმენ რადიოს.

- თქვენზე მოწყობილი თავდასხმისა და ამ ამბის შედეგებზე მინდა გკითხოთ...

- (ირონიულად იღიმება) ამ უბედურების შედეგად, უკვე ორი წელია, ვეღარ ვწერ. ჯერაც ვმკურნალობ და კალამს ხელში მხოლოდ სავარჯიშოდ ვიღებ. ვიმედოვნებ, წერას ისევ შევძლებ.

- არ გიფიქრიათ, უკარნახოთ ვინმეს და ჩაანერინოთ, რათა თქვენს ნაწერებთან შეხვედრის სიხარული არ მოაკლდეს კალამს მონატრებულ მკითხველს?

- მართალი გითხრათ, არ შემიძლია. მთელი ცხოვრება აზროვნებას და საკუთარი ხელით წერას ვარ შეჩვეული, ახლა ვეღარ გამოვიცვლები. აი, ჩემს მემუარებს კი უკვე სამი წელია ვკარნახობ ჟურნალისტს. ეს მემუარები სადაცაა დასრულდება და მალე ცალკე წიგნადაც გამოვა.

- თქვენი ბოლო ნაწერები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. როგორ იქმნებოდა ისინი და თქვით თუ არა მათში სათქმელი?

- პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ეს ჩემი ბოლო ნაწერები როდია. დავწერე ძალიან მოკლე ნოველები, რომლებიც იბეჭდება ჟურნალში “ნახევარი დუნია“. ამ ნოველებმა მაგრძნობინა, რომ მე კვლავ ვმუშაობ. ავტობიოგრაფია უცნაურ ვითარებაში დაიწერა; კუჭს ვუჩიოდი და ლონდონში აღმოჩნდა, რომ ოპერაცია მჭირდებოდა. ლონდონში წასვლამდე, მერე კი იქიდან დაბრუნებისა და გამოჯანმთელების შემდეგაც ვეძებდი რაიმე თავშესაქცევს. ამიტომაც ვინერდი ყველაფერს, რაც თავში მომდიოდა. გამოქვეყნებაზე კი არ ვფიქრობდი. წერა რომ დავამთავრე, გადავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ ნაწერი რედაქტირებას საჭიროებდა. ჩავასწორე. გამოქვეყნებაზე ისევ არ მიფიქრია, რადგან ჟანრი ვერ მოვუძებნე. ის არც ნოველა იყო, არც რომანი და რასაკვირველია, არც პოეზია... მაშ, რა სახით შემეთავაზებინა იგი მკითხველისთვის? ჩემი მეგობრების ნაწილი მიჩვენდა მის გამოქვეყნებას, ნაწილი წინააღმდეგი იყო. ცოტა არ იყოს, მომწყინდა ეს დაუმ-

თავრებელი ურთიერთდაპირისპირება და მისთვის რომ ბოლო მომეღო, ავდექი და “ალ-აჰრამს“ გავუგზავნე. დაიბეჭდა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ იგი ბევრს მოეწონა.

- მოგენატრებათ ხოლმე თქვენი რომელიმე ნაწარმოების წაკითხვა?

- მართალი გითხრათ, არასოდეს მიყვარდა ჩემი ნაწარმოებების კითხვა მათი დაწერის შემდეგ, მაგრამ ვუყურებდი კი მათ ტელევიზიით ან კინოში; თუმცა, ამჟამად, ორივე ერთნაირად მიჭირს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ფილმებად ან სერიალებად ეკრანიზებული ჩემი ნაწარმოებების უმრავლესობა სავსებით მისაღები მგონია, მცირე გამოწკლისთა გარდა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს რომანებს ეკრანიზებამ პოპულარობა შეჰმატა?

- შედარებაც არ არის ნაბეჭდ ჩარჩოში მომწყვედი ნაშრომსა და მის ეკრანიზებულ ვარიანტს შორის, იქნება ეს სატელევიზიო თუ კინემატოგრაფიული ვარიანტი. ჩემი ტექსტები ზეპირად იცის მილიონმა მაყურებელმა მაშინ, როცა მათი მკითხველი რამდენიმე ათასს არ აღემატება. ეკრანიზება ლიტერატურისთვის სასარგებლოა, რადგან იგი ავრცელებს მას იმ ხალხ-



შიც, რომელიც არ კითხულობს.

- **თქვენი რომანების ეკრანიზებული ვარიანტიები ნაჯიბ მაჭფუზის პიროვნების ამსახველია თუ რეჟისორის?**

- კინემატოგრაფიულ ფილმებში რეჟისორი ნომერ პირველი ფიგურაა, რადგან ის ასრულებს მთავარ სამუშაოს. იგი მწერლის ნაწარმოებს მისეული თვალთახედვით გვთავაზობს. ასევე ხდება ტელევიზიაშიც. ნანერი, რომელიც ხილულ მხატვრულ ნაწარმოებად იქცევა, უკვე რეჟისორს ემორჩილება. არასოდეს მიცდია საკუთარი აზრი მომხვდია თავზე რომელიმე რეჟისორისთვის. მათ თავიანთი შეხედულებისამებრ მოქმედების სრულ თავისუფლებას ვუტოვებდი.

- **თქვენი რომანებიდან რომელია ყველაზე ახლოს თქვენს გონებასა და გულთან?**

- არ არსებობს ასეთი განსაზღვრული რომანი. როგორც შვილებს არ არჩევენ, ისე მათ ვერ განვასხვავებ. თუმცა ზოგ რომანზე მეტი ჯაფა მაქვს განუვლი სხვებთან შედარებით, მაგალითად, ტრილოგიაში, ეპოპეაში "ალ-ხარაფიში", "ათას ერთ ღამეში" და ზოგ ნოველაში.

- **ნაჯიბ მაჭფუზი თუა მისი რომანების გამირთა შორის?**

- ზუსტად მისი მსგავსი არა, მაგრამ ბევრჯერ მითქვამს, რომ ქემალი, ტრილოგიაში, წარმოადგენს იმ ინტელექტუალურ და სულიერ განათლებას, რომელზეც გაიზარდა მთელი ჩემი თაობა.

- **დიდტანიანი რომანი კონტრასტს ხომ არ ქმნის ჩვენი ეპოქის სწრაფ რიტმთან?**

- ლოგიკა ამას ადასტურებს. სწრაფ ეპოქას უფრო მსუბუქი ნაწარმოები ესადაგება, თუმცა რომანს თავისი მკითხველი ჰყავს მთელ მსოფლიოში. ისე კი, ღმერთმანი, არ ვიცი, ამ ინტერნეტის ეპოქაში ეყოლებოდა მკითხველი 1000-გვერდიან რომანს?

- **ნასესხობა თუ მიგაჩნიათ დასაშვებად ლიტერატურაში?**

- ნანერი, პირველ რიგში, ავტორის სულის გამოძახილი უნდა იყოს, სხვა მწერლების რა გავლენის ქვეშაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ნასესხობა ალბათ უფრო კინოში შეიძლება მოხდეს...

- **აქვს თუ არა ტალანტს განსაზღვრული ასაკი?**

- ვილაცა დიდხანს წერდა ბევრს, ვილაცა უფრო ნაკლებს, ვილაც კი მთელი სიცოცხლე ერთ რომანს წერს... ყოველ ნიჭს თავისი ასაკი აქვს. მე ვიცნობ ხალხს, რომელთაც ერთი ან ორი ნაწარმოები შექმნეს და ამის შემდეგ აღარაფერი.

- **შეიძლება მწერალმა დროებითი უნაყოფობის შემდეგ ისევ განაგრძოს წერა?**

- ეს მე შემემთხვა. 5 წელი (1952-57 წ.წ.) წერა შეწყვეტილი მქონდა, მხოლოდ კინოსცენარებს ვწერდი, შემდეგ კვლავ დავუბრუნდი ლიტერატურას.

- **თქვენ სახელმწიფო მოხელე იყავით და თან მწერალი, მოქმედებს თუ არა თანამედრობა მწერალზე?**

- მოქმედებს და ეს გავლენა პოზიტიურიცაა და ნეგატიურიც. ყველაზე უარყოფითი თვისება, რაც ამას თან ახლავს, ეს მწერლის აქტივობის სამსახურისთვის ხარჯვაა, პოზიტიური მხარე კი ცხოვრებისეული გამოცდილება და იმ პიროვნებებთან ნაცნობობაა, რომლებთანაც მას სამსახური აკავშირებს.

- **სიყვარული? უნდა გამოსცადოს იგი მწერალ-**

მა, რომ წეროს მასზე?

- მე ასე მგონია, თუ კაცი შეყვარებულია, ის უკეთ წერს. როცა უყვარს, მისი სული უფრო სავსე და მდიდარია, რაც განაწყობს როგორც სიყვარულზე, ისე სხვა თემებზე საწერად.

- **შეიძლება წერა შემოსავლის მიღებისა და კომერციული მიზნით?**

- ეს პიროვნებასა და მის ზნეობაზეა დამოკიდებული. ზოგი კარგად გამოიძიებს ხოლმე, ხალხს რა სჭირდება. წერს და აქვეყნებს მას და შემოსავალსაც იღებს, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი მწერლობა, ეს წერის გარკვეული სახეა, იგი მწერლის შინაგანი "მე"-დან მოდის, რომელიც ამ თავისი ექსპერიმენტით საკუთარ კმაყოფილებას უფრო წინ აყენებს, ვიდრე ნაწერის მკითხველი საზოგადოებისთვის მისაღებლობა-მიუღებლობას.

- **ნაჯიბ მაჭფუზის შემოქმედებას რა გამოარჩევს სხვათაგან?**

- ერთი ნიშნით მისი დახასიათება არ შემიძლია, რადგან ის ერთმანეთს უთავსებს ისტორიულ მწერლობას, რომანტიზმს, რეალიზმს, სიმბოლიზმსა და ექსპრესიონიზმს.

- **თქვენ ხანმოკლე პერიოდი (სულ 10 თვე) ხელოვნების ნაწარმოებთა ცენზურას ხელმძღვანელობდით. ცენზურა ესმარება ხელოვნებას?**

- მიმაჩნია, რომ გონივრული ცენზურა თავად შემოქმედთა სასიკეთოდ მუშაობს. იგი კანონის და ზნეობრივი ეთიკის საფუძველზე განსაზღვრავს დასაშვებასა და აკრძალულს. ცენზურაში მუშაობის მანძილზე ვიყავი ხელოვნების ქომაგი და ამასვე ვითხოვდი ჩემი კოლეგებისგან... ისე, მწერალს ბევრად მეტი თავისუფლების მიცემის საშუალება აქვს საკუთარი თავისთვის, ვიდრე კინემატოგრაფისტს.

- **როგორ გგონიათ, თქვენს მიერ ნობელის პრემიის მიღებით, არაბული რომანი მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაზე გავიდა?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ არაბ ლიტერატორს შეიძლება ეწოდოს მსოფლიო დონის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წაკითხვა შესაძლებელია მშობლიური გარემოს ფარგლებს გარეთაც.

- **ისრაელთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე რა აზრისა ხართ?**

- ნორმალიზაცია ზავსა და მშვიდობას გულისხმობს, მათ პარალელურად მიმდინარეობს. მშვიდობას კი ამჟამად წინ დაბრკოლებები ელოდება.


- **მიმდინარე ვითარებაში, როცა სამშვიდობო პროცესი კრიზისს განიცდის, დასაშვებად მიგაჩნიათ ისრაელელ მწერლებთან შეხვედრა?**

- ამასთან მაგას რა კავშირი აქვს! თვით ომის პირობებშიც კი შეუძლიათ ჩემთან კონტაქტი. ხელის შემშლელი რა უნდა იყოს? რატომ ვეტყვი უარს ვინმეს, თუკი იგი ჩემთან შეხვედრას ითხოვს?! რისი უნდა მეწინოდეს?!

არაბულიდან თარგმნა ღარამჯან ბარღაგამძემ



ალმატებულეზასთან



სხალი, შეუსახლებელი შენობის სანახავად წავედი. იქ ჯერ კიდევ შეუმშრალი საღებავის სუნი იდგა. მინის ოთხკუთხედი ნაკვეთი ეკავა და ცოტა ხანში მისი შესასვლელის თავი უნდა დაემშვენებინა ჩვენი უზარმაზარი დეპარტამენტის სახელწოდებთან დიდ აბრას. ის ბედნიერი შემთხვევა, რომლის წყალობითაც აირჩიეს და იჯარით აიღეს ეს შენობა, ჩემთან იყო დაკავშირებული. მე ყველა-საგან მივიწყებული არქივის გადამწერი ვიყავი, მაგრამ ოქმის მწარმოებლად შემიყვანეს იმ კაბინეტში, რომელიც დეპარტამენტისათვის ახალი შენობის შესარჩევად შეიქმნა - დეპარტამენტის ფილიალები ხომ დიდი ქალაქის ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ უბნებში იყო მიმოხეული. ყოველ დილით ძველი დეპარტამენტისაკენ მიმავალ გზაზე ამ შენობას ჩავუვლიდი ხოლმე და ერთხელაც, მოვიწვიე კომიტეტი მის დასათვალიერებლად. ყველა საჭირო ფორმალობა დაუყოვნებლივ შესრულდა და მალე ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შენობის მფლობელთან.

ერთხელ დილით, როდესაც ჩვეულებისამებრ ახალ შენობას ჩავუარე, ერთგვარმა სიამაყემ და მეპატრონის მოჩვენებითა გრძნობამ მიბიძგა კიდევ ერთხელ ვწვეოდი ცარიელ შენობას, როგორც ეს ნამდვილ ბიუროკრატებს სჩევიათ, მით უმეტეს, რომ გადაბარდება ჯერ არ დაწყებულიყო. ადრინდელი ოფიციალური ვიზიტების წყალობით კარისკაცი დიდი პატივით შემეგება. რა იცოდა ამ გულუბრყვილო კაცმა, რამდენად დამცირებულად ვგრძნობდი თავს - მე ხომ ყველაზე დაბალი რანგის მოხელე ვიყავი, ამასთან, მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონიც, რომელიც ხორცს მხოლოდ დღესასწაულებზე თუ იგემებდა ხოლმე.

შენობის ეზოში ვილაც კაცს შევეჩხვებ. გაუგებარი იყო, საიდან გაჩნდა იგი აქ. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი გახდა ის, რომ კაცი მტკიცედ და თავდაჯერებულად დაბაიჯებდა თავისი საიმედო და ძლიერი ფეხებით. ჩავთვა-

ლე, რომ ეს კაცი აქ ბინის დასაქირავებლად მოვიდა და მოველოდი, რომ გულითადად მომესალმებოდა, მაგრამ მან თავიდანვე არ მომაქცია ყურადღება - ჩამიარა და თან ყველაფერს ქედმაღლურად ათვალიერებდა. მის გამოხედვას შეეძლო ჩემნაირი მოხელეც კი განერისხებინა, რაგინდ სახალალო არ უნდა ყოფილიყო მისი მდგომარეობა. ეს შენობა ხომ მე აღმოვაჩინე, გარდა ამისა, იმ ძალის წარმომადგენელიც ვიყავი, რომელიც მას რამდენიმე დღეში დაეპატრონებოდა. ამიტომ მოვემზადე კაცისთვის შენიშვნების მისაცემად, თუმც კი გონიერების ფარგლებში. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი მის ჩაფსკვილ სხეულს, მაგრამ მან დამასწრო და არც კი მომსალმებია, ისე მკითხა: - სახლის პატრონების წარმომადგენელი ხარ? იმ დეპარტამენტის კომიტეტის წევრი ვარ, რომელმაც შენობა იჯარით აიღო, - ვუპასუხე ამაყად. ძალიან კარგი. მინდა შენობა შეგინადან დავათვალიერო, - თქვა მან დინჯად. - კი, მაგრამ, ვინ ბრძანდება თქვენი ალმატებულება? დეპარტამენტის დირექტორი, - მომიგო უბრალოდ. გავოგნდი, ხელ-ფეხი გამიშეშედა, ანგარიშშიუცემლად წელში მოვიხარე, თითქოს მისი პიროვნებიდან ჩემს უძლურ არსებაზე გადმოსული ელექტრომუხტის პასუხად. მორჩილად ჩავილაპარაკე: მომიტევეთ, თქვენო ალმატებულებავ! წინ გამიძეხ! - თქვა მან გულგრილად. მომიჩვენა, რომ ცის კარიბჭე გაიხსნა და მისი ალმატებულების მეშვეობით, ღვთის კურთხევამ და წყალობამ ინიჭიმა ჩემს თავზე. წინ მივუძღოდი მას ერთი ოთახიდან მეორეში, თან ვცდილობდი ამეწერა მისთვის ყოველივე - ვაზვიადებდი სახლის ღირსებებს, მისი ყურადღება მივაპყარი კაბინეტებს, დარბაზებსა და ვესტიბიულებს, მივუთითებდი მათ უალრეს გემოვნებით მოპირკეთებულ კედლებსა და სათავსების ელეგანტურობაზე. შემდეგ კიდევ უფრო გავთამამდი და ვუთხარი: - თქვენო ალმატებულებავ! მე მიმანია, რომ მესამე სართული თქვენთვის ყველაზე შესაფერისი იქნება. ის საკმარისად მაღლაა და ქუჩის სმაურიც არ აღწევს იქამდე, ამავე დროს, ლიფტის გაფუჭების შემთხვევაში ასვლა-ჩასვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. შემდეგ დაფუმატე: - ზღვისკენ გამავალ ფრთას საგრძნობი გეოგრაფიული უპირატესობაც აქვს: ორი მხრიდან ქუჩა ეკვრის, მესამედან კი - ბენზინგასამართი სადგურის დაბალი შენობა. ამ ფრთას ყოველთვის დაუვლის ნიავი და მზის შუქი.

ახლა ყველაზე დიდ ოთახზე მივუთითე და ვთქვი: ეს თქვენი კაბინეტი, თუ კედელს მოვანგრევთ, ადვილად შეიძლება მისი გაერთიანება მომდევნო ოთახთან, რომ სხდომებისა და კრებებისათვის საკმაო ადგილი გექნეთ, ხოლო თუ კარს გაჭრით წინა კედელში, მაშინ კაბინეტი თქვენი პირადი მდივნის ოთახს დაუკავშირდება. სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა. სასარგებლო და ბედნიერი ექსკურსიის შემდეგ ეზოში გამოვედი. ზეციური შთაგონებითა და უეცარი სიახლისგან მთვრალი ვიყავი. მისმა ბრწყინვალეობამ მკითხა: შენ რომელი განყოფილებიდან ხარ? მოხერხებულად ვისარგებლე ბედნიერი შემთხვევით: არქივის გადამწერი ვარ, თქვენო ბრწყინვალეობავ, ყველასაგან დაკონსტრუირებული გადამწერი, დიდი ხანია მინდა გთხოვოთ... - სხვა დროს, სხვა დროს! - შემამწყვეტინა; მეც მოვიბოდიშე: მომიტევეთ თქვენი ალმატებულებავ, ჩემს თხოვნას სხვა დროს გაახლებთ.

გავიდა გარეთ, უკან გავეყვი. წინ გაზეთების გამყიდველი შემოგვხვდა. ჟურნალი და ნიგნი იყიდა. ორივე ერთად 25 კირში ღირდა. ჩემთვის ცხადი გახდა,



რომ დირექტორი საკმარის ხურდას ვერ იპოვიდა, ხოლო გამყიდველს მსხვილი ბანკოტის ხურდა არ ექნებოდა. ასე რომ, დირექტორმა ჟურნალის და წიგნის დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მე დავასწარი და ხელგაშლილად გადავიხადე საჭირო თანხა. დირექტორმა ცოტა ხანს იყოყმანა, შემდეგ შეურიგდა მომხდარს და მითხრა: ჩემს კაბინეტში შემოიარე ფულის მისაღებადო. დამტოვა იმედების ორომტრიალში და უცნობი ბედნიერების მოლოდინში. ასეთ მდგომარეობაში შეიძლებოდა მანქანასაც გავეტანე, ისე ვიყავი ალტაცებისა და ოცნებების ზღვაში ჩაძირული. თავს ვირწმუნებდი, რომ შრომითა და სიძნელეებით აღსავსე ჩემს ცხოვრებაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი იშლებოდა. მე ხომ გენერალური დირექტორი გავიცანი, მეგზურად გამოვადექი, ჩემი მდგომარეობაც შეჭვივლე და მან აღმითქვა, რომ ჩემს თხოვნას მიხედავდა და ერთ კურთხეულ წამს, გარემოცულს ანგელოზების სუნთქვით, 25 კირშიც კი ვასესხე. ალაჰმა დამიფაროს, ვალი მოვთხოვო, ან ვინმესთან წამომცდეს ამის შესახებ. ეს თანხა მსხვერპლი იყო, რომელიც მის კეთილგანწყობას მაჩუქებდა და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მის კარსაც გამიღებდა.

დიას, თანხა უზარმაზარი, მოითხოვს მომჭირნეობის ახალი ზომების მიღებას, ვიდრე ჩემი დარღვეული ბიუჯეტის ერთგვარი წონასწორობა აღდგება და უზრუნველყოფს ჩემს სიცოცხლეს თვის ბოლომდე, თუნდაც უმდაბლეს დონეზე. ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ კი ჩემივე ხელით არ გავწყვიტო სახსლოვის ძაფი, რომელიც გაიბა ჩემსა და მის აღმატებულებას შორის.

დამთავრდა ახალ შენობაში გადაბარგება, და, როგორც მიღებულია, ჩვენ, არქივის მოხელეებს ბინა დაგვიდეს ნახევრადსარდაფში. განუწყვეტლივ ვფიქრობდი ფარულ ბედნიერ კავშირზე, რომელიც გაიბა ჩემსა და მის აღმატებულებას შორის. რა თქმა უნდა, არც მიფიქრია მის კაბინეტში მისვლა გასესხებული თანხისათვის, როგორც მან მიბრძანა და, მადლობა ალაჰს, არც მან გამომიგზავნა ფული რომელიმე მოხელის ხელით. გაირბინა რამდენიმე დღემ და შიშმა შემიპყრო, რომ მას დავავიწყდი მრავალრიცხოვანი საქმეების ორომტრიალში და რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის შემთხვევა ხელიდან გამისხლტა. ალაჰს კურთხევას და მფარველობას შევევედრე და გადაწყვიტე მიღება მეთხოვა გენერალური დირექტორისათვის, მაგრამ როდესაც მისი პირადი მდივნის ოთახში შესვლა დავაპირე, წინ გადამელობა შიკრიკი და ამიხსნა, რომ მდივანი ძალიან დაკავებულია. ამასთან მამცნო, რომ თვითონ მზადაა მოახსენოს მდივანს ჩემი თხოვნის შესახებ. მაშინ წარმოვთქვი: - გთხოვთ, დამინიშნოთ დრო, როდესაც მექნება პატივი წარვდე გენერალური დირექტორის წინაშე. შიკრიკმა აღმაცერად შეხედა ჩემს გაცვეთილ კოსტიუმს, მაგრამ ერთი წამით მაინც გაუჩინარდა დაკვეთილი კარის უკან, დაბრუნების შემდეგ კი მითხრა: - დანერე შენი თხოვნა სპეციალურ ბლანკზე და გაგზავნე ოფიციალური არხებით. მას ვერაფერში შეედავებოდი. იგი ისევე დახშული იყო, როგორც კარი, რომლის წინაც იჯდა. დაბრუნდი ჩემს განყოფილებაში. თავს უსამართლოდ დანაგრულად ვგრძნობდი, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი მიზნისთვის მიმეღწია, რადაც არ უნდა დამჯდომოდა ეს. არც დავფიქრებულვარ, ისე მივმართე ჩვენი არქივის უფროსს. იგი ყოველთვის იზიარებდა ჩვენს გასაჭირს და არაფრით გამოირჩეოდა ჩვენგან, გარდა ასაკისა. მთელი ჩემი არსებით მივისწრაფოდი თანაგრძნობა მეპოვნა. გავუზიარე არქივის უფროსს გენერალურ დირექტორთან ჩემი შესვედრის სურვილი, ვკითხე რას აზრისა იყო ამაზე და რჩევა ვკითხე:

- რატომ მიისწრაფი ასე ამ უძნელესი შესვედრისაკენ?
- თხოვნა მინდა მივართვა.
- განა ყველანი ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში არა

ვართ?

- დირექტორმა თვითონ მიბიძგა იმისკენ, რომ ეს გამებედა.
- მართლა?!... როდის და როგორ?
- ვუამბე მნიშვნელოვანი შესვედრის შესახებ ახალ შენობაში. ცოტა ხანს დაფიქრდა და მითხრა:
- ეს ფრთიანი სიტყვაა... წამოცდენილი. ასეთ ნათქვამს არავინ ენდობა.
- არაფრით არ დავეუკარგავ საკუთარ თავს და შეილებს ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას, რომლის მსგავსს იშვიათად გვიგზავნის ზეცა.
- გირჩევ, ხელი აიღო შენს განზრახვაზე.
- ეს ერთადერთი იმედია ჩემს ცხოვრებაში.
- ჩაფიქრებულმა თავი გაიქნია და დავინახე, რომ სხვა გამოსავალი აღარ იყო - უკანასკნელი ტყვია უნდა გამესროლა და ყურში ჩაეჭურჩულე:
- საიდუმლოს გაგანდობ შენ, როგორც კეთილშობილ კაცს - მისმა მოწყალემა ჩემგან ოცდახუთი კირში ისესხა. ამგვარმა გაზვიადებამ ჭარმაგი კაცი დააბნია და სახეში უნდობლად შემომხედა. აღელვებულმა დავუდასტურე:
- დამიჯერე, მენდე, სრულ ჭკუაზე ვარ.
- დანვრილებით ვუამბე იმ ფულის ამბავი, მას რომ ვასესხე. დაეჭვებულმა მკითხა:
- ადრე გინახავს გენერალური დირექტორი?
- არა.
- ვინ გითხრა, რომ ის კაცი გენერალური დირექტორი იყო?
- ეს აბსოლუტურად უეჭველია.
- ვიღაც ხუმარა არ იყოს, რომელმაც შენი გულუბრყვილობით ისარგებლა.
- შეუძლებელია... მოდი, აგინერ მას...
- მაგრამ მან შემანყვეტინა:
- რა აზრი აქვს. ერთი წამით მოგკარი თვალი რამდენიმე წლის წინ და ისიც შორიდან...
- ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს გენერალური დირექტორია.
- საარაკო ამბავია!
- მინდოდა კამათი ამით დამემთავრებინა.
- შედი ჩემს მდგომარეობაში და მიჩიე, როგორ მივართვა თხოვნა გენერალურ დირექტორს.



- კარგი. დანერე თხოვნა სპეციალურ ბლანკზე და წარ-
მომიდგინე მე, როგორც შენს უშუალო უფროსს. დავამონ-
მებ, შემდეგ წაიღებ კანცელარიის უფროსთან; ის, თავის
მხრივ, დავამონებს და მიართმევს უფროს ინსპექტორს,
რომ მანაც დავამონმოს. შემდეგ კი გადაგზავნის გენერალუ-
რი დირექტორის კანცელარიაში. მაგრამ აი რას გირჩევ!
ალაჰის გულისთვის არავისთან ახსენო ოცდახუთი კირში
ამბავი!

გულმოდგინედ შევადგინე თხოვნა, წარვუდგინე ის ჩემს
უშუალო უფროსს, რომელმაც ხელი მოაწერა და წავიღე
არზა კანცელარიის უფროსის მდივანთან. მდივანმა ჩემი
არზა თხოვნათა მთელი გროვის ქვეშ ამოდო და თავის
საქმეს მიუბრუნდა.

- როდის ინებებ მიართვა კანცელარიის უფროსს?

ქალაქიდან თავი არ აუწვია, ისე მიპასუხა:

- ეს შენ არ გეტყბა.

- ეს განსაკუთრებული თხოვნაა. ვგულისხმობ, რომ იგი
თვით მისი მონყალების, გენერალური დირექტორის გან-
კარგულებით დავნერე.

უცნაურად შემომხედა და დაცინვით მკითხა:

- მისი აღმატებულება შენი ნათესავია თუ ახლობელი?

- მართალს ვამბობ. ხუმრობის გარეშე.

- თავის დროზე წარვუდგენ მას. თუ არა და წაიღე და
წადი.

- ნუ ბრაზობ. როდის შემოვიარო პასუხისთვის?

- როდესაც წარუდგენენ.

- როდის იქნება ეს, ალაჰის ნებით?

- წარდგენილი იქნება თავის დროზე!

და ზურგი ისეთი მოძრაობით შემაქცია, გაგდებას უდ-
რიდა. დავბრუნდი არქივში. ვწყველიდი ყველა ბიუროკ-
რატს, რა თქმა უნდა, მისი აღმატებულების, გენერალური
დირექტორის გარდა. ჩემს უფროსს ვთხოვე ეშუამდგომლა
ჩემთვის კანცელარიის უფროსის მდივნის წინაშე, მაგრამ
უარით გამომისტუმრა - ეს ყმანვილი მერიის მეტად გა-
უზრდელი და ქედმაღალი ვინმეაო. დღეები გადიოდა. ვე-
ლოდი და თმენა მელეოდა.

ერთ დილას, როდესაც კოლეგასთან ერთად შემოსავ-
ლის ბალანსს ვადგენდი, კოლეგა ჩემსკენ გადმოიხარა და
ჩურჩულით მკითხა:

- მართალია, რომ გენერალურ დირექტორს 25 კირში
ასესხე?

ძალიან ავლელდი, შიშმა ამიტანა და ვკითხე, ვისგან გა-
იგონა ასეთი რამ? მითხრა, რომ არქივში გაერცელდა ამგ-
ვარი ხმები. ო, უბედურებისაგან დამფარველო, შენ შეგ-
ვინყალე! პირველად ჩემი უფროსი დავადანაშაულე, მაგრამ
მან შეიღებო დაიფიცა, რომ სიტყვაც არავისთან წამოსც-
დენია. შემდეგ მეუღლეს დავაბრალებ, მას ხომ მეგობრები
ჰყავდა მოხელეთა მეუღლეებს შორის, მაგრამ მანაც იუარა.
არ ვიცი, მართლა უდანაშაულო იყო, თუ ჩემი შეეშინდა.
გულში შხამი ჩამელვარა და მეჩვენებოდა, რომ განუწყვეტ-
ლივ თან მდევდა თანამშრომლების გაკვირვებული და დამ-
ცინავი მხერა. მეჩვენებოდა, რომ ისინი, ვინც ასე მიყურებ-
დნენ, მალე როგორც რეგენს ან შეშლილს შემომხედავდ-
ნენ. მოვლენები უნდა დამეჩქარებინა, ვიდრე ისეთი რამ არ
დატრიალებულიყო, რაც ჩემს ანგარიშში არ შედიოდა.

კანცელარიის უფროსის მდივანს მივაკითხე. მისაღმებ-
ზე არ მიპასუხა. მხოლოდ ჩემს განცხადებაზე მიმითითა
უკმაყოფილო სახით. მადლობა გადავუხადე, არზა გამო-
ვართვი და მთავარი ინსპექტორის მდივანს მივაშურე. მი-
ვართვი მას ჩემი არზა და ის იყო იმის განმარტებას ვა-
პირებდი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისი შინაარსი,
რომ მდივანმა დამასწრო:

- დატოვე და წადი!

მისთვის რომ მეამებინა, კარისკენ დავიძარი, მაგრამ მა-
ინც ვკითხე:

- პასუხი როდის იქნება?

- არ იქნება!

სასწარვეთილმა დავინყე:

- ჩემი თხოვნა...

თვალეები ჭერს მიაპყრო, თითქოს ალაჰს უხმობდა ჩე-
მი თავხედობის მოწმედ. ამასობაში ოთახში თავმოყრილმა
ხალხმა დამინყო დარიგება დავმორჩილებოდი მდივანს და
სამუშაოდ წავსულიყავი. შიშმა ამიტანა. შიკრიკმა ზრდი-
ლობიანად მომკიდა ხელი მკლავზე, თან სახეზე კეთილგან-
წყობა გამოეხატა. დერეფანში შიკრიკმა ამიხსნა, რომ მთა-
ვარი ინსპექტორის კანცელარია თავის ფოსტას პირდაპირ
გენერალური დირექტორის კანცელარიას უგზავნის.

- მე როგორ გავიგო, რომ ჩემი არზა გადმოგზავნი-
ლია?

- ერთი კვირაში ან 10 დღეში გამოიარე და მიმართე
მოხელეს, რომელსაც აბარია გამავალი ქალაქები მთავა-
რი ინსპექტორის კანცელარიაში. ის მოგცემს ნომერს და
თარიღს და ამით იპოვებ შენს განცხადებას...

ჩემი უძლურების დასაფარვად ვთქვი:

- წარმოიდგინე, რომ მისი აღმატებულების, გენერალუ-
რი დირექტორის კანცელარიაში ისეთი პატივით შემხვდებ-
იან, რომლის მეათედსაც არავის მიაგებენ თქვენთან.

შიკრიკმა დამლოცა: - უფალომ ჩვენმა სულ უფრო და
უფრო მეტი ძალა მოგცეს...

დავბრუნდი განყოფილებაში, თან ვვიქრობდი: გამაგრ-
დი, კრიზისი მალე ჩაივლის! ასე მეგონა, ამ დღეებში გა-
დატანილი ტანჯვა სამოთხეში შესვლის სანინდარი იქნებო-
და; ვიმედოვნებდი, რომ წყვილიად ნათელი მოჰყვებოდა და
აღრე თუ გვიან, მოვიპოვებდი ღვთის წყალობას. დამცინა-
ვი თვალეები კი არ მეშეგებოდნენ, მათ არ შემინყალეს და
კვლავ დაუფარავად მიცქერდნენ.

ერთი კოლეგა მეკითხება:

- როგორ? როდის? რა ვითარებაში ასესხე გენერალურ
დირექტორს 25 კირში?

მეორე ჩამკიებია:

- არ დაუბრუნებია გენერალურ დირექტორს თავისი
ვალი?

ერთხელ ასეთი რამეც გავიგონე:

- ეს ის მათხოვარია, რომელმაც გენერალურ დირექ-
ტორს ასესხა:

ალაჰს ვევედრებოდი ჩემთვის იობის მოთმინება მოეცა,
რადგან რწმენა, რომ უფალი მოწყალეა, არ შემრყევია. გა-
ვისხენე, როგორ დასცინოდა ნოეს მისი ოჯახი და რა საზ-
ღაურს მიაღებინებდნენ ღვთისმოსიშნი. მოხელესთან, რო-
მელსაც გასაგზავნი კორესპონდენცია ეხებოდა გენერალუ-
რი დირექტორის კანცელარიაში, სრული ორი კვირის შემ-
დეგ მივედი. მან წერილის ნომერი და თარიღი მომცა.
ზრდილობიანად ვკითხე:

- როდის იქნება შესაძლებელი გავიგო შედეგი?

ყოვლად გაუმართლებელი აღშფოთებით მითხრა:

- ეს მხოლოდ ყოვლისმცოდნემ იცის.

ასე იყო, თუ ისე, ჩემმა თხოვნამ გენერალური დირექ-
ტორის კანცელარიას მიაღწია. გაავსენდები, შესაძლოა გა-
მომიძახოს ან დამესმარება მაინც. ბედნიერ სიზმრებს ვნე-
დავდი, თავს ვიიმედებდი სამასურში დანინაურებით ან
ჯამაგირის მომატებით, რაც ჩემი შეიღების სარჩენ თანხას
მიემატებოდა. ერთხელ, არქივში ვბრუნდებოდი, ფოსტა
მომქონდა, თან ტახტის აიას ვიმეორებდი. ერთი მოხელე
წინ გადამიდგა და დამინყო გამოკითხვა:

- მართალია, რომ...?

დამცინავ პროვოკაციებს ველარ ვიტანდი, ამიტომ შე-
ვანყვეტინე:

- გაჩუმდი, უზრდელო!

დაბნეულმა უკან დაიხია, თან ბურტყუნებდა:

- შენ შეშლილი ხარ, ეს უეჭველია.

- მომშორდი, თორემ გავისდი ფეხსაცმელს და თავზე დაგაფხრენ!

კეთილი და ბოროტი ადამიანები მაშინვე ჩადგნენ ჩვენს შორის და მეორე დღეს დისციპლინარულ კომისიაში მიხმეს. თავმჯდომარემ მითხრა:

- შენ ბრალი გედება იმაში, რომ რევიზორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენე და მის ცემასაც აპირებდიო.

- მე ერთი საცოდავი კაცი ვარ. მას ჩემი გამასხარავება უნდოდა და თავიდან მოვიშორე. ეს არის და ეს-მეთქი.

რევიზორი ამტიკცებდა, რომ მას უნდოდა მხოლოდ ეკითხა ჩემთვის, ხომ არ მოსულა ხაზინიდან მისი კორესპონდენცია. მისმა კოლეგებმა და ჩემმა თანამშრომლებმაც მხარი დაუჭირეს. ბოლოს მეც ვირწმუნე, რომ ის მართალს ამბობდა და მივხვდი, რომ ყოველივე მომეჩვენა. უკან დავიხიე:

- იმდენი მამასხარავებს, რომ ისიც ერთ-ერთი მათგანი მეგონა.

დისციპლინარული კომისიის თავმჯდომარემ მკითხა:

- რატომ გამასხარავებენ?

დავდუმდი. მონმებმა დაიწყეს სესხის ამბის მოყოლა. ავეყვირდი:

- ტყუიან! მსგავსი არაფერი მომხდარა. ბოროტი მონაჭორია!

ჩემსა და მონმებებს შორის დაიწყო კამათი, რომელიც ზრდილობის საზღვრებს გადასცდა და კინალამ ცემა-ტყეპით დამთავრდა. საბოლოოდ გულგატეხილმა დავტოვე იქაურობა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა უფროსმა მისმო და სევდიანად მითხრა:

- დაადგინეს, 5 დღის ხელფასი დაგიქვითონ.

- ეს აშკარა უსამართლობაა. ისედაც ძლივს ვარჩენ ბავშვებს...

- შემდეგში მეტ თავშეკავებულობას გამოიჩენ...

- შევცდი, მაგრამ საპატიო მიზეზი მაქვს. როგორ ფიქრობ, ხომ არ მიაღწია ამ სესხის ამბავმა მისი აღმატებულების გენერალური დირექტორის ყურამდე?

- ჩვენს სამმართველოში ვერავინ გაბედავს უთხრას მას ასეთი რამ.

ათასგვარი უბედურების მიუხედავად, ჩემი რწმენა ალაჰისადმი არ შერყეულა. თავს ვირწმუნებდი, იგი ისე მიხსნიდა ჩემი უბედურებებისგან, როგორც იოსები გამოიყვანა საპყრობილიდან. რაც მეტად უარესდებოდა ჩემი მდგომარეობა, მით უფრო მეტს ვოცნებობდი აღთქმულ ბედნიერებაზე, მით უფრო მეტად მწამდა ბედნიერების დადგომის შესაძლებლობა. კარგა ხანს შევიცადე და მეორე მივადექი მოხელეს, რომელიც კორესპონდენციას იღებდა მისი აღმატებულების კანცელარიაში. სრულიად უმიზეზოდ მკვახედ მომახალა:

- ცნობებს მხოლოდ ხუთშაბათობით ვიძლევი.

ორშაბათი იყო და რადგან უკვე ვინწინე სამართლის ძალა დისციპლინარულ კომისიაში, უსიტყვოდ გაგვრუნდი. ახალი უბედურება ჩემს უფროსს შევჩივლე და მან ხაზინის ვექილთან წამიყვანა, რომელიც კანცელარიის იმ მოხელის ნათესავი იყო, რომელსაც კორესპონდენცია ებარა. ვექილი დათანხმდა დაერეკა ნათესავისთვის და გამოეკითხა ჩემი განცხადების შესახებ. ერთხანს დუმდა და ისე უსმენდა ხმას ყურმილში, ბოლოს ყურმილი დადო და თქვა:

- ვწუხვარ, მაგრამ თხოვნაზე უარი გითხრეს,

ამ ცნობამ თავზარი დამცა, ჩემი იმედები სულს დაფავდნენ, მათი ნანგრევების ქვეშ მოყოლილმა მაინც ვიკითხე:

- ჩემი თხოვნა მის აღმატებულებას გენერალურ დირექტორს თუ წარუდგინეს?

- რა თქმა უნდა. უარი მისი ბრძანებით გითხრეს.

- შეუძლებელია!

უკომენტაროდ გაიღიმეს.

- მოველოდი, რომ თავისთან მიხმობდა!

ვექილმა თვალის დაუხამხამებლად შემომხედა. უკან დაგვრუნდით. თან ვწურწურებდით:

- არ მჯერა.

- ყველა თხოვნას ასეთი ბედი ეწევა ხოლმე.

- მაგრამ მან ხომ თვითონ მიბრძანა არზა დამეწერა.

- მე მაინც ფიქრობ, რომ ვილაც ხუმარას მსვერპლი გახდი.

- არა... არა...

- მაშინ, ალბათ, დაავინყდა. უამრავმა საზრუნავმა გადაავინყა.

- მაშ, რა ვქნა?

- ალაჰს მიანდე შენი საქმე...

მაგრამ უკვე სიჯიუტემ შემიპყრო. დანვრილებით შევისწავლე დირექტორის ცხოვრების განრიგი, მისი გადაადგილების გრაფიკი და დასვენების საათები და გადავწყვიტე, არც უხემ ძალას, არც ბრმა საკანცელარიო ბრძანებებს არ დავმორჩილებოდი.

დირექტორის მანქანა დაიძრა, რათა სამმართველოს შენობის წინ დახვედროდა მას. კარისკაცი, შიკრიკები და საპოლიციო დაცვა ორ რიგად დალაგდნენ. მე კი შესასვლელში დავიმალე დიდი პლაკატის უკან, რომელიც ხალხს მოუწოდებდა აუქციონს სწვეოდნენ. ეზოდან ხმაური მოისმა და გამოჩნდა დირექტორის კორტეჟი; როდესაც მომიახლოვდნენ წავიბურტყუნე "სახელითა ალაჰისა, მონყალისა, მწყალობელისა!" და გზა გადავუჭერი დირექტორს, რომ მუხლი მომეყარა მის წინაშე წყალობის სათხოვნელად.

ვილაცამ დაიყვირა:


- გიჟი... ფრთხილად, თქვენო აღმატებულებავ!

აქ საერთო არეულობა დაიწყო და საშინელი ხმაური ატყდა. წესიერად ვერც კი გავიგე, რა მოხდა. მიწა შექანდა ჩემს ფეხქვეშ და ათობით ძლიერმა ხელმა გამაკავა.

რა მეთქმის ამის შემდეგ?! სერიოზული გამოძიება ჩატარდა, რადგან პოლიტიკურ დამნაშავედ მიმიჩნიეს, მაგრამ როდესაც შეცდომა ცხადი გახდა, წარმომიდგინეს ბრალდება, რომ დირექტორს თავს დავესხი, რადგან მან თხოვნაზე უარი მითხრა.

ციხეში დურგლობა ვისწავლე; დღეს ამით ვირჩენ თავს და ვზრდი შვილებს...

არაბულიდან თარგმნა მამია ანდრონიკაშვილმა



ჯარისკაცობიდან ინტიმურ პოეზიამდე

სჰმად ტაჰა ეგვიპტის თანამედროვე ლიტერატორთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურაა - ადამიანი, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ. თუმცა თავად იგი ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ის 1952 წელს დაიბადა შუბრაში (კაიროს ერთ-ერთი რაიონი). ბავშვობაში "ქუთაბის" (დანეებითი სკოლა, სადაც ყურანს ასწავლიან) სკოლა გაიარა, რითაც მყარი საფუძველი ჩაუყარა კლასიკური არაბულის კარგ ცოდნას. შესაძლოა, ამის გამო აირჩია სალიტერატურო ენა თავისი ლექსების ენად მაშინ, როცა თანამედროვე ეგვიპტურ პოეზიაში დიალექტზე წერა მიიჩნევა პრიორიტეტულად. ოცი წლის იყო, როცა მეგობრებთან ერთად "სამოცდაცამეტი წლის" ომში წავიდა. მაშინ მარქსისტიც იყო და ნაციონალისტიც.

როგორც განათლებულ ჯარისკაცს, ტაჰას ოფიცრობისთვის ამზადებდნენ, თუმცა ის ხედავდა კლასობრივ დაპირისპირებას მაღალჩინოსან სამხედროებსა და რიგითებს შორის. ერთხელ ლექციაც ჩაუტარა უბრალო ჯარისკაცებს და უთხრა მათ, რომ უიაფესნი იყვნენ ამ ომში, რომ კარგებიც კი მათზე ძვირად ფასობდა. ამის გამო ტაჰა ერთი კვირით დააპატიმრებული ჰყავდა. ასე მოელო ბოლო მის ნაციონალისტურ იდეას. შედარებით დიდხანს გასტანა მარქსიზმის რწმენამ. თუმცა ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა სამხედროებთან ურთიერთობა საკმარისი აღმოჩნდა სრული იმედგაცრუებისთვის.

დემოიზილიზაციის შემდეგ ტაჰამ უფრო აქტიურად მიჰყო ხელი ლიტერატურულ მოღვაწეობას. მუშაობა დაიწყო ჟურნალში "ალ-ქათბ" ("მწერალი"). 70-იან წლებში რამდენიმე მეგობართან ერთად საზოგადოება "ალ-ასვათი" ("ხმები") დააარსა. გამოსცა ლექსთა პირველი კრებული "ნუ დაშორდები ჩემს სახელს" (1981 წელი). ამას მოჰყვა "ალ-ასვათის" ჯგუფთან ერთად შექმნილი ჟურნალი "ალ-ქითაბათუ სსავდა" ("სადა მწერლობა", რომელიც 1988 წელს გამოვიდა. ტაჰა მასპინძლობდა თითქმის რეგულარულ ლიტერატურულ შეკრებებს თავის ბინაში, კაიროში. უცხოელ ჟურნალისტებს ხშირად აძლევდა ინტერვიუს, რითაც მთავრობის ყურადღება მიიპყრო.

1985 წელს სახელმწიფოს, მემარცხენეების, ისლამისტებისა და "ცრულობერალთა" მხრიდან გადამწყვეტი თავდასხმა განხორციელდა პოეტზე. მის ბინაზე გამართული ლიტერატურული საღამოები ძირგამომხრელ, ფეთქებადსაშიშ მოღვაწეობად მიიჩნიეს. ორთვიანი პატიმრობის შემდეგ ტაჰა გაათავისუფლეს, მაგრამ მისი ნიგნები, ხელნაწერები კონფისკაციის შემდეგ აღარ დაუბრუნებიათ: - "მათ ნამართვეს მთელი ჩემი ხსოვნა არაფრის გულისთვის". ეს დანაკარგი იმდენად დიდი მორალური დარტყმა იყო, რომ პოეტმა წერა შეწყვიტა.

ამ მისთვის ურთულეს პერიოდში ტაჰამ კაიროს ერთ-ერთ კავშიში სიურეალისტტი, ფილოსოფოსი ანვარ ქამელი გაიცნო. ეს უკანასკნელი ჯორჯ ჰენანთან ერთად ოცდაათიან წლებში ეგვიპტური სიურეალისტური დაჯგუფების ლიდერი იყო. აზრთა თუ ასაკის სხვაობის მიუხედავად, ისინი დამეგობრდნენ.

ექს-მარქსისტი პოეტი კაპიტალიზმის ცენტრში გაემგზავრა. შვიდი წელი იცხოვრა ამერიკაში - ლექციებს კითხულობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, ასწავლიდა არაბულს. იქ ყოფნამ თითქოს გააახალგაზრდავა ტაჰა, ენერგიით აღავსო ის, მაგრამ რაღაც ძალა ეგვიპტისკენ ექაჩებოდა და 1993 წელს დაბრუნდა კიდეც. მისი თქმით, ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, აუცილებლად დარჩებოდა ამერიკაში, მაგრამ ამ დროისთვის ეგ-

ვიპტესთან სხვა ემოცია აკავშირებდა, აქ იყო მისი მეგობრების დიდი ნაწილი. უკვე არც კაიროში უნდოდა ცხოვრება და აღარც ამერიკაში შეეძლო. აშშ-ში ცხოვრებისას დანერვილმა ლექსებმა თავი მოიყარა ტაჰას მეორე კრებულში "მაგიდა 48".

ბევრი ადამიანის გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ტაჰა სიამაყით აღნიშნავდა, თუ როგორ შეხვდა და დაუმეგობრდა ებრაელებს. მითქმა-მოთქმა გამწვავდა 1999 წლის ზაფხულში, როცა ის და ჰუდა ჰუსეინი საფრანგეთში ხმელთაშუა ზღვის ლიტერატურულ კონფერენციაზე სხვა ეგვიპტელ პოეტთა მსგავსად იგნორირებას კი არ უკეთებდნენ ისრაელის წარმომადგენლებს, არამედ იდეებიც გაუზიარეს ამირ ორსა და რონი სომექს. თავად ტაჰა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: "დავიბადე რა შუბრაში, ბავშვობა მრავალეროვან, მულტიეთნიკურ გარემოში გავატარე. ჩვენი მეგობრები იყვნენ სომხები, ბერძნები, ებრაელები. ასე რომ, მე არ მაქვს პრობლემა რასასთან და რელიგიასთან".

ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებული ტაჰა მიხვდა, რომ მისი თაობის პოეტებმა შეწყვიტეს განვითარება, აღარ სურდათ შეცვლა. ამიტომაც ახალ პროექტზე დაიწყო ფიქრი. გამოსცა ჟურნალი "ალ-ჯარადი" ("კალიები"). მასთან ძირითადად ის მოწინავე ახალგაზრდა ხელოვანები თანამშრომლობდნენ, რომლებიც ანგრევდნენ და არღვევდნენ ტაჰუს როგორც ლიტერატურულს, ასევე სექსუალურს. ჰუდა ჰუსეინი, მუჰამედ მეთვალი (ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში), ბაჰა ავადი, მუჰამედ ლაშინი, მაჰერ საბრი - არც ერთი მათგანი არ მიიღო ლიტერატურულმა ელიტამ. ისინი გარიყულები აღმოჩნდნენ. ახლადგამოცემულ, სტილთა დიფუზიურობით და ანარქიზმით გამორჩეულ ჟურნალს კი შინაარსის გამო "ამერიკული" უწოდეს.

1999 წლის დასაწყისში დევნილი პოეტი პრესტიჟული სახელმწიფო ორგანოს, ჟურნალ "ალ-კაჰირას" (კაირო) რედაქტორი გახდა. ეს ეგვიპტური ნიგნის გენერალური ორგანიზაციის (General Egyptian book Organization) თავმჯდომარის სამირ სარჰანის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. სარჰანი ხედავდა, რომ ჟურნალის დონემ კატასტროფულად დაინია და საქმის გამოსწორება ტაჰას მიანდო. ტაჰამ გააკეთა ეს, თუმცა მხოლოდ ხუთი ნომრის გამოცემა მოასწრო. წინ წამოსწია ფემინიზმისა და პოსტკოლონიური ლიტერატურის თემები. ჟურნალი დახურეს. აჰმად ტაჰა, რომლის მოსაზრებებს ვერაფრით შეეგუა ერთ-ერთი გამომცემელი, ისრაელის მოძულე აბუ ოუფი, ამერიკის ჯაშუშად გამოაცხადეს. ეს კონფლიქტი პოლიციაში დასრულდა.

ტაჰა "ალ-ჯარადის" შემდეგ ნომერს მიუბრუნდა, სადაც ასპრეზი ისევ ახალგაზრდებს ეთმობათ. ტაჰა ბევრს მუშაობს ახალგაზრდებთან. "შესაძლოა მათ სიღრმე აკლიათ, მაგრამ გულწრფელნი არიან და იციან, თუ რა ხდება მათ გარშემო", - აღნიშნავს პოეტი. 1987-1992 წლებში შექმნილი მისი ლექსები გაერთიანდა კრებულში სახელწოდებით "კედლები იმპერია". ეს გამოცემა, ისევე, როგორც "მაგიდა 48", თარგმნილია ინგლისურად.

ამჟამად ტაჰა ლექსების მეოთხე კრებულზე მუშაობს.

მეთევზე

კუძღვნი ვაილი-ლ-მაითს

ის ზანგი კაცი სამოცდაათს მიტანებული
იჯდა ტბის პირას შაბათის დილას
ველოსიპედი ელო გვერდით
მაგნიტოფონი
და სულ ცოტა მარინუანა.
იცოდა კაცმა, ეს იყო მისი უკანასკნელი მშვენიერი დილა
ამ ტბაზე

და შემდეგ დილას
წარსდგებოდა იგი მორჩილად უფლის წინაშე
ჯიბეში თავისი ქერა ქალების ალბომი ელო
რომელიც არ დავიწყებოდა, თუმც სიკვდილისთვის
ემზადებოდა
ალბომში ყველა სურათი დროის, წუთების მიხედვით ეწყო
რომ ეპასუხა ღმერთის კითხვებზე და დაეფარა
დაბნეულობა

ის კაცი ძალიან მაღალი იყო
და იყო მარტოსული
და სწამდა იმ კაცს, რომ სამოთხეში იქნებოდა მისი ადგილი
არა იმიტომ, რომ რამდენიმე დილაა უკვე
რაც სმას მოეშვა
ანდა ქალები მიატოვა სიკვდილის შემდეგ
მარინუანას ქისაც დაკარგა
დასაფლავების ზედანორაში
არამედ
იმიტომ, რომ ბოლო წამში ალბომის ყდაში
თავისი შიშველი ქალების გვერდით
ქრისტეს სურათის მოთავსება
არ დაავიწყდა.



ანგარი

გადააქვს ერთ მწყემსს მთაგრეხილზე
თავისი კოსმიური საზიდავი
ჩაუჭიდა ხელი უხეში ბაწრისთვის
შორდება იგი ჭრელ ამულეტებს და ჩივილს მტანჯველ
ტკივილზე

კეტავს გალავანს არაბესკის
და კეტავს მის მცველს
მცველს ასობის თუ სახელების
ტოვებს თაფლის და ცომის ბურთებს აალებულეებს
ტოვებს გზებსა და თავშესაფრებს
ქალებს და კაცებს უთავოებს და უტანოებს
კეტავს მთვლემარეთ და კეტავს მშვიგრებს
ნაწილებისგან შიშველ სხეულებს
ავადმყოფებს თუ ექსტაზში მყოფთ
უგერგილოებს
აი, ასე...
გრძნობს ახლა მწყემსი ნეტარებას სიტყვებით უთქმელს
და ისვრის ლასოს ქალაქებისკენ
რომლებიც პანიკური შიშით მოცულნი გარბიან სადღაც
მათი ეპოქები ერთმანეთში გადახლართულა
და ეჩხება გალავნები გალავნებს, კედლები კედლებს:
კაიროსი და მანილის
ხიროსიმისა და ბეირუთის

ბაღდადისა და სანტიაგოს
იოჰანესბურგისა და თელავის
სწორედ ამ დროს...
გრძნობს მწყემსი თრობას
და ისვრის ლასოს მეორედ დროის მიმართულებით
დროის, იმ დროის, დედამიწის გულს და კუდს რომ ჰყოფს
და იჭერს ქალს, რომელიც თავისი კაცის სხეულის ნაწილებს
აგროვებს ჭაობის შლამში
ასევე კაცს, რომელიც თავისი ქალის სახელს კრეფს
მეხსიერებაში ბი...იმ... თუ...

ამგვარად
აღწევს მწყემსი ორგაზმს
და ეუფლება თავისი კოსმიური საზიდავის ხორცს
და აგდებს მას
დედამიწისგან ძალიან შორს.

“არაბესკა“

ღვას არაბესკი, ვით დაბრკოლება ჩვენს და მათ შორის
მაღე შთანთქავენ მას ქვემეხები, მაგრამ ლოცვა ისევე
ალადგენს

მის ხვრელებს გასწვრივ ერთმანეთს ცვლიან
ხან სიკვდილი და ხან გენერლები:
თავის ქალები
ნახევარმთვარეები
სამშობლოები
საბრძოლო მოწყობილობები
მეორე მხარეს კი თავს იყრიან
მცველები
ბრძელები
კეთროვნები და სულელები
ყოველი მათგანი მისკენ მიდის
ყველა სხეული იქ გაიფრევებს
ხოლო გული კი თითოეული
იწვება მასში.

უკანასკნელი ცეკვა ანვარ ძამელთან

როგორც ყოველთვის
მომავალშიც შენგან სულ ოდნავ განსხვავებული აზრი
მექნება -
ვინ უნდა მოკვდეს უფრო ადრე
მარქსი
თუ ქმარი იმ ქალისა, გვერდით რომ მიწევს
ხაკისფერებში გამოწყობილი გენერალი
თუ გენერალი ჯინსიანი
მაგრამ როს დამე უკანასკნელ წუთებს დაითვლის
ჩვენ შევთანხმდებით, რომ სუყველა გარდაიცვლება
ჩვენ შევთანხმდებით და ყველაფერს მივუჩინებ ადგილს
მამინ, როდესაც მომდევნო მიმწუხრს
ამ ცხოვრებიდან შენი ბოლო და სამუდამო გამგზავრების
ჟამი დადგება.



"არيلي" مجلة أدبية تسعى أن تعكس وتشمل التطورات الأدبية لا في جورجيا وحدها بل في العالم كله . هذا العدد من المجلة يتركز على نماذج الأدب العربي في جورجيا مدرسة علمية مشهورة للدراسات الشرقية والعربية خاصة وبالرغم من الجهود الواسعة التي بذلها المستعمرون الجورجيين في بحث الأدب العربي وترجمته الى اللغة الجورجية ونشر هذه الترجمات عدد كبير من نماذج الأدب العربي البديعة لم يترجم الى اللغة الجورجية بعد . يخدم هذا العدد سدّ هذا النقص جزئياً .

في السنوات الأخيرة بعد أن أقامت جورجيا العلاقات المباشرة بالعالم العربي تمكن المستعمرون الجورجيين من الاتصال الوثيق بالأوساط العلمية والثقافية العربية واختيار نماذج الأدب العربي للترجمة بذوقهم وبهذا الصد من الجدير بالذكر الدورات في اطار البرامج التدريبية التي يعقدها سنوياً مركز اللغة العربية لجامعة القاهرة بمساعدة الصندوق المصري للتعاون الفني مع دول الكومنولث والدول الاسلامية الأوروبية والدول المستقلة حديثا بوزارة الخارجية وتتيح هذه الدورات للمستشرقين الجورجيين الفرصة السعيدة للتعرف من كتب الى الحياة الادبية المصرية والعربية عموما

يهدف هذا العدد الى القاء بعض الضوء على الأدب العربي المعاصر وتامل هيئة التحرير للمجلة أن البلدان العربية تهدي المبادرة الماثلة في نقل نماذج الادب الجورجي الى اللغة العربية .

<http://www.opentext.org.ge/arili>

ბ 57 / 22



„ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, პოეტს სამი კითხვის გამო უხდება ჩაფიქრება: რისთვის, რატომ და როგორ იცხოვროს. „ბუკოლიკები“, „გეორგიკები“ და „ენეიდა“ პასუხს გვაძლევენ სამივე შეკითხვაზე და ეს პასუხები ერთნაირად გამოსაძეგია, როგორც იმპერატორისათვის, ისე მის ქვეშევრდომთათვის, როგორც ანტიკურობისთვის, ისე ჩვენი დროისთვის. თანამედროვე მკითხველისთვის ვერგილიუსი იქნება ისეთივე მეგზური, როგორიც დანტესათვის იყო სამოთხის და განსამნდელის გავლის უამს.“

იოსებ ბროდსკი